

F-133  
1964

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზღვრო  
სამსახური



F 2854

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

1964 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოს დადგენილებები

- 42. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის და სამტრედიის განყოფილებებში საყრდნობი სადგურების მოწყობის შესახებ.
- 43. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს გარდაქმნისა და მისი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
- 44. საქართველოს სსრ ტყევისა და აბრეშუმის მრეწველობის დარგების საწარმოო გაერთიანებათა მოწყობის შესახებ.
- 45. „სატვირთო საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის განვითარების ზომების შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 დეკემბრის № 878 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს  
დადგენილებები

- 46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნეთობპროდუქტების მომარაგების და გასაღების სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.
- 47. კინემატოგრაფიისა და ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტებისა და საწარმოებისა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების დაწყების პირობების შესახებ.

საბჭო  
საქართველოს  
სსრ მინისტრთა  
საბჭოს  
დადგენილება  
1964 წლის  
ნოემბერი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

48. რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების დებულებათა დამტკიცების შესახებ.
49. საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის დროს გზაში ავტომობილების გასაწყობათ საწვავი და საცხები მასალების გაცემისა და ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ.
50. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულების დებულების დამტკიცების შესახებ.
51. „საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლმეურნეობის ყოფილ წევრთა მუშაობის სტაჟის გამოთვლისა და პენსიის დანიშვნის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების შესახებ.
52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილების დამატების შესახებ.
53. თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილებისათვის შ. ა. მიქელაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
54. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაცო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისათვის ი. გ. ქუთათელაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
55. ფარმაცევტ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ.
56. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
57. საქონლის ნისიად გაყიდვის საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ.
58. ავტოტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესებისა და იმ სახის ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებისათვისაც შეიძლება ჯარიმების დადება ადმინისტრაციული წესით.
59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებაში ზოგიერთი დამატების შეტანის შესახებ.
60. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
61. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ცხვრის ზონალური შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების შესახებ.
62. ზესტაფონის სახალხო თეატრისათვის უ. ჩხეიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
63. იმის შესახებ რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დაეკისროს დაჯილდოება ზეთოვანი კულტურების განვითარების საქმეში საუკეთესო მიღწევებისათვის.
64. საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ პირუტყვის უმეფალყურო ძოვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.
65. იმ ღონისძიებათა სისტემის გაფართოების შესახებ, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე.
66. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 სექტემბრის № 664 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

67. საქართველოს სსრ მინისტრობა საბჭოს 1964 წლის 4 მაისის № 256 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილებების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.
68. საქართველოს სსრ მინისტრობა საბჭოს 1960 წლის 26 სექტემბრის № 664 დადგენილების დამატების შესახებ.
69. უმაღლესი და საშუალო სპეციალური და საღამოს განათლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.
70. იმ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და რთული მანქანების ნუსხების დამტკიცების შესახებ, რომელთა წარმოებისა და გამოყენების მაჩვენებლები უნდა დაედოს საფუძვლად „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციითა მუშაების საქმიანობის შეფასებას დაჯილდოების დროს.
71. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.
72. რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში საქონლის ჩამოფასებისა და ჩამოფასებული საქონლის დაყიდვის მოწესრიგების ზომების შესახებ.
73. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული ვულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

## საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**42** ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის და სამტრედიის განყოფილებებში საყრდნობი სადგურების მოწყობის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სახალხო-სამეურნეო ტვირთების, განსაკუთრებით მინერალური სასუქების, დატვირთვა-გადმოტვირთვა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის და თბილისის განყოფილებათა სადგურებში, არასაკმაო ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ვაგონებისა და ავტომანქანების დატვირთვა-გადმოტვირთვას ამჟამად ეწევა ბევრი ორგანიზაცია და საწარმო, რომლებიც იძულებული არიან ამ მიზნით მოსწყვიტონ მუშები, კოლმეურნეები თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას და გაგზავნონ ისინი რკინიგზის სადგურებზე.

ამის გარდა, ვინაიდან სატვირთო ოპერაციები დაქსაქსულია მრავალრიცხოვან ნაკლებად დატვირთულ სადგურებზე, ძნელდება მექანიზაციის გამოყენება, ძვირდება ტვირთის გადამუშავების თვითღირებულება და ნელდება ვაგონების მიმოქცევა.

ზშირია შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელზე მოსული მინერალური სასუქები იტვირთება ღია, ამისათვის მოუწყობელ მრედნებზე და ხანგრძლივი დროით გვიანდება სასუქების გატანა სადგურებიდან, რის შედეგადაც დიდძალი სასუქი იკარგება და ფუჭდება.

სკკვ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის და 1964 წლის თებერვლის პლენუმების დადგენილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მინერალური სასუქების გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებებს, მოითხოვენ აღნიშნულ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრას და საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამრეწველო საწარმოების სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიღებულ იქნას ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს ამიერკავკასიის რკინიგზის

სამტრედიისა და თბილისის განყოფილებებში საყრდნობი სადგურები, № 1 დანართის თანახმად.

დაწესდეს, რომ დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები საყრდნობი სადგურების საერთო სარგებლობის ლიანდაგებზე გამგზავნა და მიმღებთა სრული სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებით უნდა წარმოებდეს რკინიგზის საშუალებებით, ხოლო ტვირთების შეტანა და გატანა — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომანქანებით.

2. დაევალთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის და სამტრედიის განყოფილებებთან ერთად, მოაწყოს ტვირთების მიტანა საყრდნობი სადგურებიდან ტვირთმიმღებებთან და პირიქით ავტომანქანებით ცენტრალიზებული წესით, ამასთან ექსპედიტორების მოვალეობა დააკისრონ ავტომანქანების მძღოლებს.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ საყრდნობი სადგურების სატვირთო მეურნეობის განვითარებისათვის წარმართოს საჭირო კაპიტალდაბანდებანი, დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მანქანები და სხვა საჭირო საშუალებანი, ამასთან დაამთავროს აღნიშნული მუშაობა ორი წლის ვადაში.

4. ნება დაერთოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება აღჭურვილი საყრდნობი სადგურები შესაბამისი მექანიზმებით და სასაწყობო მოწყობილობებით, აგრეთვე როგორც კი მოეწყობა მისასვლელი გზები ავტომანქანებისათვის, თანდათანობით დახუროს 1964—1965 წლების განმავლობაში, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული ადმინისტრაციული რაიონის ინტერესებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით, — ნაკლებად დატვირთული სადგურები სატვირთო ოპერაციების წარმოებისათვის საერთო სარგებლობის ლიანდაგებზე, № 2 დანართის თანახმად, რაც დროზე აცნობოს ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს; ამასთან დატოვონ ამ სადგურებზე სამგზავრო და საბარგო ოპერაციები, აგრეთვე რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგების, ჩიხებისა და რკინიგზისპირა საწყობების მომსახურების ოპერაციები.

5. წინადადება მიეცეს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ გზავნოს მინერალური სასუქები ტრანზიტად მხოლოდ იმ ორგანიზაციების სახელზე, რომლებსაც რკინიგზისპირა საწყობები აქვთ.



ყველა დანარჩენ შემთხვევაში სასუქები უნდა გაგზავნონ და გადმოტვირთონ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ბაზებმა, ამასთან სასუქები მიტანილ უნდა იქნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცენტრალიზებული წესით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და „საქსოფლტექნიკის“ ავტოტრანსპორტით.

დაწესდეს, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო უზრუნველყოფს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ყველა არსებული და ახლად აშენებული რკინიგზისპირა საწყობების რეგულარულ მომსახურებას (ვაგონების მიწოდება და გაყვანა).

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გადასინჯოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საკუთარი საბრუნავი სახსრების დაწესებული ოდენობა, მინერალური სასუქების სასაწყობო საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით, და თავისი წინადადებანი ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს გადასაწყვეტად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად გადასინჯოს ტვირთზიდვის გეგმები და საყრდნობი სადგურების მოწყობის მიხედვით შეიტანოს შესაბამისი კორექტივები.

8. დაევალოს საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტკომებს, სამრეწველო-საწარმოო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

— ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საყრდნობი სადგურების სწორი განლაგებისა და მათი მუშაობის ორგანიზაციის, აგრეთვე ტვირთის ცენტრალიზებული წესით მიტანის საქმეში;

— განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ადგილობრივი გზების მოყვანა სათანადო მდგომარეობაში საყრდნობი სადგურებიდან ავტომობილების გადმოსატვირთავ პუნქტებამდე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

**3. შყავანაძე,** **3. ჯავახიშვილი.**



საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 12 მაისის № 284  
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ბ

საყრდნობი სადგურებისა, რომლებიც იქმნება ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის და თბილისის განყოფილებებში

- |                  |                  |
|------------------|------------------|
| 1. ვაგრა         | 22. აგარა        |
| 2. გუდაუთა       | 23. გორი         |
| 3. სოხუმი        | 24. ცხინვალი     |
| 4. ოჩამჩირე      | 25. კასპი        |
| 5. ინგირი        | 26. მცხეთა       |
| 6. ცხაკაია       | 27. თბილისი      |
| 7. ფოთი-სატვირთო | 28. ნავთლული-I   |
| 8. სამტრედია     | 29. რუსთავი      |
| 9. ლანჩხუთი      | 30. მარნეული     |
| 10. მახარაძე     | 31. საგარეჯო     |
| 11. ქობულეთი     | 32. გურჯაანი     |
| 12. ბათუმი       | 33. თელავი       |
| 13. ქუთაისი — II | 34. წნორის წყალი |
| 14. ტყიბული      | 35. წითელი წყარო |
| 15. ზესტაფონი    | 36. აბაშა        |
| 16. ჭიათურა      | 37. ბადიაური     |
| 17. საჩხერე      | 38. გალი         |
| 18. ხარაგოული    | 39. ნატანები     |
| 19. ხაშური       | 40. ვაჩიანი      |
| 20. ბორჯომი      | 41. ჩაქვა        |
| 21. ახალციხე     | 42. განთიადი     |

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 12 მაისის № 284  
დადგენილების დანართი № 2

## ს ი ბ

ნაკლებად დატვირთული სადგურებისა, რომლებიც უნდა დაიხუროს სატვირთო ოპერაციებისათვის

- |                |             |
|----------------|-------------|
| 1. ბზიბი       | 3. ეშერა    |
| 2. ახალი აფონი | 4. კელასური |

- |                    |                 |
|--------------------|-----------------|
| 5. დრანდა          | 27. ახალდაბა    |
| 6. ზუგდიდი         | 28. ლარები      |
| 7. ხეთა            | 29. აწყური      |
| 8. ქალაღიდი        | 30. პორსა       |
| 9. ფოთი-ნავსადგური | 31. ლიბანი      |
| 10. საჯავახო       | 32. ვალე        |
| 11. ნიგოთი         | 33. ბაკურიანი   |
| 12. ჯუმათი         | 34. გომი        |
| 13. ურეკი          | 35. ქარელი      |
| 14. მერია          | 36. თეძამი      |
| 15. ოჩხამური       | 37. მეტეხი      |
| 16. გუმბრინი       | 38. კასპი       |
| 17. რიონი          | 39. ნავთლული-II |
| 18. აჯამეთი        | 40. გარდაბანი   |
| 19. სვირი          | 41. სოღანლული   |
| 20. არგვეთა        | 42. შულავერი    |
| 21. შორაპანი       | 43. სადახლო     |
| 22. ძირულა         | 44. ვაზიანი     |
| 23. მარელისი       | 45. კაქრეთი     |
| 24. მოლითი         | 46. კარდანახი   |
| 25. წიფა           | 47. მუკუზანი    |
| 26. სურამი         | 48. შრომა       |

**43** საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს გარდაქმნისა და მისი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ თავმოყრილ იქნას კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოში საკოლმეურნეო მშენებლობისადმი, საკოლმეურნეობათა შორისო სამშენებლო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებისადმი ხელმძღვანელობა და მშენებელთა ხელმძღვანელი კადრების შერჩევა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველო გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნე-



ობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოდ (სამშენებლო მთავარკოლმეურნეობაში).

2. დაეკისროს „საქმთავარკოლმეურნეობის“ კოლმეურნეობებში მშენებლობისადმი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება, საკოლმეურნეობათა შორისო სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის ბალანსების, სამუშაოთა გეგმების განხილვა, მათი ხელმძღვანელი კადრების შერჩევა ფონდირებული საშენი მასალების, მექანიზმების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა განაწილება.

დაევალოს „საქმთავარკოლმეურნეობის“ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის მთავარ სამმართველოს საშენი მასალები, მექანიზმები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და მათი რეალიზაცია აწარმოოს „საქმთავარკოლმეურნეობის“ განაწილებით.

4. დაევალოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიულ კომიტეტებს და საწარმოო სამმართველოებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოსთან ერთად, სისტემატურად განიხილონ კოლმეურნეობებში მშენებლობის მიმდინარეობის საკითხები.

საქართველოს კვ	საქართველოს სსრ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი	მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
<b>პ. როდიონოვი.</b>	<b>პ. ჯავახიშვილი.</b>

ქ. თბილისი, 1964 წ. 9 ივნისი, № 351.

**44** საქართველოს სსრ ტყავისა და აბრეშუმის მრეწველობის დარგების საწარმოო გაერთიანებათა მოწყობის შესახებ

მრეწველობაში არსებული რეზერვების უკეთ გამოყენებისა და მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით და ლენინგრადის დარ-

გობრივი საწარმოო გაერთიანებათა მუშაობის იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც მოწონებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 29 დეკემბერს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს საქართველოს ტყავის საწარმოო გაერთიანება და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება — „საქაბრეშუმი“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოაწყოს ქ. თბილისში ტყავისა და აბრეშუმის საწარმოების ორი საწარმოო გაერთიანება:

ა) საქართველოს ტყავის საწარმოო გაერთიანება მთავარი საწარმოთი — თბილისის ტყავის ქარხანა № 1.

ამ გაერთიანებას მიაკუთვნოს თბილისის ტყავის ქარხანა № 2, ბათუმის ტყავის ქარხანა № 3, თბილისისა და ბათუმის ტყავნეღლეულის ქარხნები და ფაბრიკა „ქურჭბეწვეული“;

ბ) აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება „საქაბრეშუმი“ მთავარი საწარმოთი — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა.

ამ გაერთიანებას მიაკუთვნოს ქუთაისის აბრეშუმკომბინატი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ აღნიშნული მთავარი საწარმოებისა და მათი ფილიალების სტრუქტურა და საშტატო განრიგი, აგრეთვე დებულება საწარმოო გაერთიანებათა შესახებ.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებანი 1964 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში, შემოსავალ-გასავლის ბალანსებსა (საფინანსო გეგმები) და ხარჯთაღრიცხვებში ისე, რომ უცვლელი დარჩეს მთლიანად ბიუჯეტთან ურთიერთობა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შეისწავლოს მრეწველობის სხვა დარგების გამსხვილებისა და სპეციალიზაციის საკითხი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**3. მუხაშანიძე.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 16 ივნისი, № 369.

**45** „სატვირთო საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის განვითარების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 დეკემბრის № 878 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 დეკემბრის № 878 დადგენილების მე-13 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დროებით ნება დაერთოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიაწოდოს ტვირთგამგზავნებს რკინიგზის ვაგონები ტვირთის გადასაზიდად, დანართით გათვალისწინებულ მიმართულებათა და სახეობათა მიხედვით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ საჭირო ზომები, რათა გადაყვანილ იქნას დანართში აღნიშნული ტვირთიდან საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვაზე.

3. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ტორფის გადაზიდვა ფოთის ტორფის ქარხნიდან ლანჩხუთის, მახარაძისა და ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს 1964 წლის 1 აგვისტომდე მოიყვანოს გზის სავალი ნაწილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ჭალადიდი-ხოზის, ნატანები-სუფსის, სუფსა-ლესა-მახარაძის უბნებზე.

4. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ველების დაწესებული მოცულობის ტორფის გადაზიდვა რკინიგზის ვაგონებით ფოთის სადგურიდან მახარაძისა და ლანჩხუთის სადგურებამდე მანამ, ვიდრე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იქნებოდეს მოყვანილი ამ დადგენილების მე-3 პუნქტში აღნიშნული საავტომობილო გზების უბნები.

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**3. შაჰვანაძე.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**3. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 16 ივნისი, № 370.

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 ივნისის № 370 დადგენილების დანართი

**ნ უ ს ხ ა**

მოკლეგარბენის ტვირთებისა, რომელთა გადაზიდვა დროებით ნებადართულია რკინიგზის ტრანსპორტით

ტვირთები	ვაგზავნის სადგური	დანიშნულების უახლოესი სადგური
ცემენტი	რუსთავი	რუსთავი
"	"	საგარეჯო და შემდეგ მარნეული
კირი	ცხაკაია	ფოთი
ქვიშა	სვირი	ქუთაისი
ღორღი	მარნეული	თბილისი
"	"	ლილო
"	"	სოლანლული
ფქვილი	ფოთი	ცხაკაია
"	ნავთლული	მარნეული
"	ნავთლული-1	რუსთავი
მარცვალი	მარნეული	ნავთლული
შავი ლითონები	ქუთაისი	ზესტაფონი
"	რუსთავი	აგვალა
"	თბილისი	რუსთავი
ლითონის ჯართი	სამტრედია	ქუთაისი
"	ქუთაისი	ზესტაფონი
"	აგვალა	რუსთავი
"	ჯუღსთავი	თბილისი
ტორფი	ფოთი	ცხაკაია
ხალცედონი	რიონი	ზესტაფონი
ამიაკის გვარჯილა	რუსთავი	შინდისი
ლითონის სხმული	აგვალა	საგარეჯო
"	აგვალა	მარნეული
"	"	აგვალა
"	"	თბილისი

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროუსაბჭოს დადგენილებები

**46** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

2. საწარმოთა იმ კოლექტივების წასახალისებლად, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ, დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები.

პრემიების გაცემა მოხდეს ზეგეგმითი დაგროვებიდან პრემიების III სკალის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 11 აპრილის № 232 დადგენილებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

4. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფ-

კავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველკვარტალურად შეჯამება.

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე  
**ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა  
 რესპუბლიკური საბჭოს  
 თავმჯდომარე  
**შ. დოლიძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 12 მაისი, № 275.

**47** კინემატოგრაფიისა და ბექდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტების საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების პირობების შესახებ

„სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების პირობების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 12 მარტის № 160 დადგენილების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენ:

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიისა და ბექდვითი სიტყვის ახლადშექმნილ კომიტეტებს, კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად, დაამტკიცონ აღნიშნული კომიტეტების სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებისათვის სოციალისტური შეჯიბრების პირობები იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც დასახულია პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს სათანადო დადგენილებებით.

საქართველოს სსრ  
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე  
**ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს  
 პროფსაბჭოს თავმჯდომარე  
**შ. დოლიძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 ივნისი, № 385.



# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**48** რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების დებულებათა, დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულებანი:

1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ შესახებ.
2. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 3 აპრილი, № 191.

დამტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 3 აპრილის № 191  
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების რესპუბლიკური გაერთიანების („საქსოფლტექნიკის“) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება, „საქსოფლტექნიკა“, რომელიც შექმნილია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961

წლის 20 თებერვლის № 151 დადგენილების და საქართველოს  
 უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 28 თებერვლის ბრძა-  
 ნებულების საფუძველზე, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ  
 ორგანოს და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 და საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ შედის საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში, წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე იმ გეგმების, დავალებებისა და ღიმიტების შესაბამისად, რომლებსაც დაამტკიცებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

2. რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მთავარი ამოცანებია:

ა) განახორციელოს პარტიისა და მთავრობის დირექტივები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პოლიტიკის გატარებისა და ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფისათვის;

ბ) უზრუნველყოს რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა მეშვეობით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებანი, მათი განაცხადების გათვალისწინებით, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მშენებლობისათვის;

გ) ფართოდ განახორციელოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი: სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის განვითარება, ახალი, მაღალმწარმოებლური ტექნიკის, ელექტროენერჯის, მექანიზებულ საშუალოთა პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა სოფლის მეურნეობაში, მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიკატების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ქიმიკატების დარგში;

დ) მოაწყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანების მალაღმწარმოებლური გამოყენება, ტექნიკური მომსახურება, რემონტი და შენახვა;

ე) მოაწყოს მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა სწორად გამოყენება, ტრანსპორტირება და შენახვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

3. რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური (ასსრ) გაერთიანებების მეშვეობით გამოავლენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებას მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, რომელთა გაყიდვა და მიწოდება ხორციელდება რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ორგანიზაციების მეშვეობით, აგრეთვე მოთხოვნილებას ნავთობპროდუქტებზე;

რესპუბლიკური (ასსრ) გაერთიანებების, რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების მეშვეობით დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე განაცხადების შედგენასა და მათი მოთხოვნილების გაანგარიშებათა დასაბუთებაში;

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად განახორციელებს „სოფლტექნიკის“ რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო გაერთიანებების მიერ წარდგენილი განაცხადების ანალიზს, შეადგენს შეჯამებითს განაცხადებს და წარუდგენს მათ თავისი დასკვნით საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას იმისათვის, რომ გამოიყოს ფონდები და განაწილდეს შეკვეთები მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა წარმოებისათვის, დამტკიცებული ნომენკლატურის თანახმად;

ბ) შეიმუშავეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა რაიონების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკების, სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით განაწილების გეგმის პროექტს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ნომენკლატურით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წარსადგენად; გაანაწილებს რაიონებსა, ოლქსა, ავტონომიურ რესპუბლიკებსა, სამი-

ნისტროებსა და უწყებებს შორის, მათი განაცხადების გათვალისწინებით, სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც რეალიზებულ უნდა იქნან საქართველოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ორგანიზაციების მეშვეობით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებული ნომენკლატურით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგენს ცნობებს განაწილების შესახებ, მოაწიფებს იმ პროდუქციის შეტანას „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებებსა და განყოფილებებში, რომელიც რეალიზებულ უნდა იქნას რესპუბლიკური გაერთიანების სისტემის მეშვეობით;

გ) რესპუბლიკისათვის გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ფონდების შესაბამისად, „სოფლტექნიკის“ რესპუბლიკური (ასრ), საოლქო და რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების მეშვეობით, მიღებული შეკვეთების გათვალისწინებით მიჰყიდის და მიაწოდებს:

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — ტრაქტორებს, ავტომობილებს, ტრაქტორებისა და ავტომობილების მისაბმელებსა და ნახევარმისაბმელებს, სასოფლო-სამეურნეო, მიწასათხრელ, სამშენებლო და სხვა მანქანებს, სადაზგო სარემონტო-ტექნოლოგიურ მოწყობილობას, საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტსა და ხელსაწყოებს, ძრავებს, ელექტრომასალებსა და ელექტრომოწყობილობას, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს, ჰერბიციდებს, საშენ მასალებს, ლითონს, ლითონის ნაწარმს, ხე-ტყის მასალებს, ნავთობ-მოწყობილობას დიზელიანი ელექტროსადგურებისა და მიწასათხრელი მანქანების სათადარიგო ნაწილებს, ავტოსალტეებს, რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობებს, წვრილ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, აგრეთვე სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მშენებლობისათვის, დამტკიცებული ნომენკლატურის მიხედვით;

ყველა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს — სათადარიგო ნაწილებს, კვანძებსა და აგრეგატებს, ელექტრომოწყობილობას, ხელსაწყოებს, რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობებს (გარდა სალტეებისა და კამერებისა) და ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სხვა მოწყობილობებს, აგრეთვე ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად საჭირო სარემონტო-ტექნოლოგიურ მო-



წყობილობას, წყალსაწევ დანადგარებს, წყალსაწევ კომპებსა და ბაქებს;

დ) მოაწყობს გაერთიანებისათვის გამოყოფილი სასაქონლო ფონდების დროულად გატანას; განახორციელებს „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებებისა და სავაჭრო ბაზების მეშვეობით იმის შემოწმებას, თუ რამდენად ხარისხიანად და დროულად წარმოებს მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის; განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების პრეტენზიებს ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მიწასათხრელი და სამელიორაციო მანქანების, მათი სათადარიგო ნაწილების ხარისხის გამო და მოაწყობს პრეტენზიების წაყენებას დამამზადებელი ქარხნებისათვის;

ე) წარუდგენს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ წინადადებებს სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა განსაკუთრებული პირობების შემუშავებისათვის; ხელმძღვანელობს გაუწევს რესპუბლიკური გაერთიანების სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებების დადებას მიმწოდებელ ქარხნებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდების შესახებ; მოაწყობს „სოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ, საოლქო, რაიონული გაერთიანებების მეშვეობით სავაჭრო ბაზების, საწყობების, მაღაზიების ექსპლუატაციას სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მისაყიდად; შეიმუშავებს და დანერგავს მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების - ტრანსპორტირების, მიღებისა და შენახვის რაციონალურ საშუალებებს; დანერგავს ტვირთის გადამუშავების ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს და დატვირთვა-გადმოტვირთვის და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებებს;

ვ) მოაწყობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად სოფლის მეურნეობაში ისეთი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებასა და დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლებას და მისი პირობების გაუმჯობესებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას;

„შეიმუშავებს და განახორციელებს „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური (ასსრ) გაერთიანებების მეშვეობით ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას, ახალი მალამწარმოებლური ტექნიკის, ახალი სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა სარეველების, მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა დაწერვას;

„სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური (ასსრ) გაერთიანებების მეშვეობით დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სახელშეკრულებო საწყისებზე, ტექნიკისა და მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პროგრესული ტექნოლოგიის ათვისებაში, მოაწვობს ამ მიზნით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა სწავლებას;

ზ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო-კომისიასთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილავს ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აპარატურისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტროფიკაციისათვის საჭირო დანადგარების სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმებს; საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს წინადადებებს სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესახებ; დადებს როგორც დამოუკიდებლად, ისე საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ დავალებით ხელშეკრულებებს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებთან სამეცნიერო-საკვლევ, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო სამუშაოთა შესრულების შესახებ;

თ) მონაწილეობას მიიღებს დადგენილი წესით ახალი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო, მიწსათხრელი და სხვა მანქანების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტროფიკაციისათვის საჭირო დანადგარების, მცენარეთა დამუშავებისა და დაცვის ახალი ქიმიური საშუალებების სახელმწიფო გამოცდებში, აგრეთვე წარმოებაში არსებული ტრაქტორებისა და სასოფლო-

სამეურნეო მანქანების საკონტროლო გამოცდაში, რასაც საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკა“ ატარებს;

მოამზადებს წინადადებებს იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც გამოვლინებულია წარმოებაში არსებული მანქანების ან მანქანათა კომპლექსების საკონტროლო გამოცდის დროს; მონაწილეობას მიიღებს ახალი ხარისხის საწვავისა და საცხები მასალების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნავთობსასაწყობო მეურნეობისათვის საჭირო მოწყობილობის გამოცდაში, რასაც საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკა“ ატარებს.

მოაწყობს საცდელ პარტიებად დამზადებული მანქანების შემოწმებას და მათი მუშაობის მეთვალყურეობას სამეურნეო პირობებში და სამუშაოთა სეზონის დამთავრების შემდეგ საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ წარუდგენს რეკომენდაციებს ცალკეული მანქანებისა და მათი კომპლექსების სამეურნეო შემოწმების შედეგების მიხედვით.

საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ წარუდგენს წინადადებებს იმის შესახებ, რომ დააყენოს წარმოებაში ახალი მანქანები და მანქანათა კომპლექსები საცდელი პარტიების რიცხვიდან, მცენარეთა დამუშავებისა და დაცვის ახალი ქიმიური საშუალებანი, სამეურნეო პირობებში შემოწმებულნი, აგრეთვე, რომ მოიხსნას წარმოებიდან მოძველებული კონსტრუქციების მანქანები;

ი) შეიმუშავებს მოწინავე გამოცდილების და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით და საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ დასამტკიცებლად წარუდგენს წინადადებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და შენახვის წესების შედგენისათვის, შეიმუშავებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად დაამტკიცებს რეკომენდაციებს მათი მაღალმწარმოებლურად გამოყენების ორგანიზაციის შესახებ; დანერგავს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების და მოწყობილობის ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების, შენახვის წესებს და ტექნიკის გამოყენება-შენახვის მოწინავე, დიდადეფექტიანი ორგანიზაციულ-ტექნიკური მეთოდების და მანქანებზე მუშაობის უსაფრთხო პირობების ორგანიზაციის ხერხებს; „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური გაერთიანებების მეშვეობით

ზედამხედველობას გაუწევს მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკურ მდგომარეობას, მაღალმწარმოებლურად გამოყენებას და სწორად შენახვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში; „სოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების სახელმწიფო ტექნიკური ინსპექტორის დებულების შესაბამისად, აკრძალავს იმ მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციას, რომელთა ტექნიკური მდგომარეობა მოითხოვს ტექნიკური მოვლის, რემონტის ჩატარებას ან საფრთხეს უქმნის მათზე მუშაობას; უზრუნველყოფს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკის ჩამოწერის წესისადმი კონტროლს და არ დაუშვებს მის ნაადრევად დაწუნებას;

კ) მოაწყობს „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური გაერთიანებების მეშვეობით ნავთობპროდუქტების აღრიცხვას, მათი სწორად შენახვისა და ხარჯვისადმი კონტროლს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, იმისადმი კონტროლს, თუ რამდენად დროულად ეწევიან ისინი ნავთობპროდუქტების გატანას ნავთობგამსაღებელი ორგანიზაციების ბაზებიდან და რამდენად ხარისხიანია ის ნავთობპროდუქტები, რომლებსაც სოფლის მეურნეობას აწვდიან; კონტროლს გაუწევს ნავთობპროდუქტების ხარჯვის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვას, ნამუშევარი ზეთების ცალკე შეგროვებას და მათ ჩაბარებას ნავთობგამსაღებელი ორგანიზაციების ბაზებში რეგენერაციისათვის; მონაწილეობას მიიღებს საწვავისა და საცხები მასალების ხარჯვის ნორმატივების შემუშავებაში; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად დაადგენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნავთობსაწყობების მშენებლობისა და რემონტის დაფინანსების წესსა და ვადებს;

ლ) დანერგავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ტიპობრივ ტექნოლოგიას და ტექნიკურ პირობებს „სოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ახალი სარემონტო და არასტანდარტიზებული მოწყობილობის ტექნიკურ პირობებს—სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო საწარმოებში, დანერგავს წარმოებაში სარემონტო მასალების ხარჯვის ნორმატივებს, დადგენილი წესით მიიღებს მონაწილეობას ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების ხარჯვის ნორმატივების შემუშავებაში,



განახორციელებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობის რემონტს, აგრეთვე გაცვეთილი დეტალებისა და მანქანათა კვანძების აღდგენას გაერთიანების სისტემის სახელოსნოებსა და სარემონტო ქარხნებში; მოაწყობს და განახორციელებს „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური გაერთიანებების მეშვეობით, სახელმწიკრულებო საწყისებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამანქანო-სატრაქტორო პარკის და მეცხოველეობის ფერმების მოწყობილობის კომპლექსურ და ნაწილობრივ ტექნიკურ მომსახურებას, აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს იმ მხრივ, რომ სწორად მოეწყოს და ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებში;

მ) „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური გაერთიანებების მეშვეობით მოაწყობს და შეასრულებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მეცხოველეობის ფერმების შრომატევად პროცესებში მანქანებისა და მოწყობილობის დანერგვის სამუშაოებს და აწარმოებს სამონტაჟო სამუშაოებს; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ელექტროენერჯის დანერგვისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, აწარმოებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ელექტროძრავების და ასამუშავებელ-მარეგულირებელი ელექტროაპარატურის რემონტს;

ნ) მოაწყობს უშუალოდ და „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური გაერთიანებების მეშვეობით, საიჯარო ორგანიზაციათა ძალებით, აგრეთვე სამეურნეო წესით სარემონტო საწარმოების, სავაჭრო ბაზების, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების საწყობების, სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მისაყიდი მაღაზიების მშენებლობას, რეკონსტრუქციას და კომპლექსურ მექანიზაციას, უზრუნველყოფს ამ ობიექტების მშენებლობისა და მექანიზაციის დაფინანსებას და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ წარუდგენს წინადადებებს საწარმოო სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ტიპობ-

როვი პროექტების შემუშავების შესახებ, მონაწილეობას მიიღებს ამ ობიექტების ტიპობრივი დაპროექტების დავალებათა შემუშავებაში, შეიმუშავებს და დანერგავს მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა შენახვის, მიღებისა და ტრანსპორტირების რაციონალურ საშუალებებს;

განახორციელებს კონტროლს გაერთიანების საწარმოებსა და ორგანიზაციებში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებისა და მშენებლობის მიმდინარეობისადმი;

ო) მოაწიებს, რომ „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური გაერთიანებების მეშვეობით შესრულდეს, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან სახელშეკრულებო საწყისებზე, სამელიორაციო და მიწის სამუშაოები, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის, მარცვალსაშრობ-საწმენდი პუნქტების მოწყობილობის მონტაჟის და სხვა სპეციალიზებული სამუშაოები, რომლებიც საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო საქმიანობისათვის;

პ) მოაწიებს მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პროგრესული ტექნოლოგიის, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ტექნიკის გამოყენების, შენახვისა და რემონტის, საწვავი და საცხები მასალების მიღებისა და გაცემის, შენახვისა და გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერჯის გამოყენების ახალი ორგანიზაციულ-ტექნიკური მეთოდების პრობაგანდას, რისთვისაც მოაწიებს დადგენილი წესით გამოფენებს, მანქანების ჩვენებას მოედნებზე და მუშაობის დროს, კინოს, რადიოს, ტელევიზიის გამოყენებას, გამოსცემს ბიულეტენებს, ცნობარებს, რეკომენდაციებს, პლაკატებს და სხვა საინფორმაციო და სარეკლამო მასალებს;

ჟ) შეიმუშავებს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით და დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომისა და ხელფასის საკითხებზე, მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშავებს დაქვემდებარებულ საწარმოებში წარმოების ორგანიზაციისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს და დახმარებას გაუწევს მათ მიცემული რეკომენდაციების განხორციელებაში, მოაწიებს გამომუშავების ტექნიკურად



დასაბუთებული ნორმების შემუშავებას და დანერგვას მექანიზებულ სამუშაოებსა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის სამუშაოებზე, რომლებსაც დაქვემდებარებული ორგანიზაციები ასრულებენ;

რ) შეიმუშავებს და „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, საოლქო და რესპუბლიკური გაერთიანებების მეშვეობით განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის პირობებისა და მისი დაცვის გაუმჯობესება, გაადვილება, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ორგანიზაცია გაერთიანების სისტემის სარემონტო საწარმოებში, სარემონტო სახელოსნოებში, საწყობებსა და სავაჭრო ბაზებში, სამშენებლო ობიექტებზე, მოაწყობს გაერთიანების საწარმოებში უმარტივესი მოწყობილობის, საცავი მოწყობილობებისა და სამარჯვების დამზადებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოთა უსაფრთხოებას, ჩაატარებს საწარმოო ტრავმატიზმის სისტემატურ ანალიზს, მიიღებს საჭირო ზომებს მისი ლიკვიდაციისათვის სისტემის საწარმოებში, განახორციელებს კონტროლს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკისათვის გაღებული სახსრების სწორად გამოყენებისადმი, განაზოგადებს და გაავრცელებს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სამუშაოთა ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილებას „საქსოფლტექნიკის“ საწარმოებში;

ს) განახორციელებს დადგენილი წესით ხელმძღვანელობას „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების, აგრეთვე გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი; მისცემს მათ რეკომენდაციებსა და მეთოდურ მითითებებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის, მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პროგრესული ტექნოლოგიის, ტექნიკის მაღალმწარმოებლურად გამოყენების, ტექნიკურ მომსახურების, რემონტის და შენახვის საკითხებზე;

დაამტკიცებს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო, სავაჭრო და საფინანსო საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს, უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას, გამოუყოფს საბრუნავ სახსრებს და გადაანაწილებს მათ დადგენილი წესით, განიხილავს და დაამტკიცებს დაქვემდებარებული ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, განახორციელებს კონტროლს მათ მიერ საწარმოო, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის

დაცვისადმი, ჩაატარებს მათი საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, მოაწყობს აღრიცხვასა და ანგარიშგებას, განახორციელებს კონტროლს მათი დაყენებისადმი, განახორციელებს ღონისძიებებს პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციისა და აღრიცხვის შექმნისა და განახლების შემდგომი გამარტივებისა და სრულყოფისათვის, მისცემს მათ მითითებებს საწარმოო, სავაჭრო და საფინანსო საქმიანობის, დაგეგმვისა და აღრიცხვის გაუმჯობესების შესახებ;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა, ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების შემცირება, დაგროვების გეგმებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმების შესრულება, თვითღირებულების შემცირება მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარება, შინაგანი მატერიალური და ფულადი რესურსების მობილიზაცია დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

დანერგავს დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის პრაქტიკაში საწარმოო, სავაჭრო და საფინანსო საქმიანობის დაგეგმვის მეთოდებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს დაფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ მიერ;

ტ) განახორციელებს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმისადმი ხელმძღვანელობას რესპუბლიკური გაერთიანების სისტემის ორგანიზაციებსა და საწარმოებში; შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დარგში, ჩაატარებს ექსპერტიზას გამომგონებლთა სარგებლიანობის თაობაზე, საჭირო დახმარებას გაუწევს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს;

განიხილავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებებს, რომლებიც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულყოფას, და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან ერთად ფართოდ დანერგავს მათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რისთვისაც საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ წარუდგენს წინადადებებს სახალხო მეურნეობის საბჭოების შესაბამისი საწარმოების მიერ გამოშვებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესების შესა-

ნებ, აგრეთვე დაამზადებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების რთულ მოწყობილობებს თავის სარემონტო საწარმოებში და გაავრცელებს ნახაზებს გამოცდილების გაზიარების წესით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეკვეთების მიხედვით;

უ) განიხილავს შესათანხმებლად წარდგენილ წინადადებებს იმის შესახებ, რომ დაწესდეს დროებითი საბითუმო ფასები სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა მიერ ახლად ასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა, მინერალური სასუქებისა, შხამქიმიკატებისა და სოფლის მეურნეობისათვის მისაწოდებელი სხვა პროდუქციისა, აგრეთვე დადგენილი წესით წარუდგენს საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და სამტკიცებლად გაერთიანების სისტემის საწარმოების მიერ დამზადებული იმ პროდუქციის დროებით და მუდმივ საბითუმო ფასებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი პრეისკურანტებით.

დამტკიცებს იმ პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების საბითუმო ფასებს, რომლებსაც კოოპერაციის წესით ამზადებენ გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული საწარმოები. თუ ამ პროდუქციის ფასები არ მტკიცდება საერთოდ დადგენილი წესით;

წარუდგენს დადგენილი წესით საკავშირო-გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ წინადადებებს ტრაქტორების, კომბაინების, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ძრავებისა და მოწყობილობის იმ კაპიტალური რემონტის ერთიან საბითუმო ფასების შესახებ, რომელსაც ასრულებენ „საქსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოები და ორგანიზაციები, და განახორციელებს კონტროლს დამტკიცებული ფასების სწორად შეფარდებისადმი;

უზრუნველყოფს, რომ „საქსოფლტექნიკის“ ყველგან რაიონულ გაეთიანებას, განყოფილებას და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაეგზავნოთ სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ფასების პრეისკურანტები და მათი დამატებანი;

განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ დროზე იქნას წარდგენილი დასამტკიცებლად დადგენილი წესით მთელი იმ პროდუქციის ფასები, რომელსაც „საქსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოები უშვებენ;

ფ) შეიმუშავებს და განახორციელებს დადგენილი წესით ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის მუშაკთა, აგრეთვე კოლ-

მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა რების კვალიფიკაციის ამაღლებას;

ქ) მოაწიებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად „საქსოფლტექნიკის“ სისტემის გაერთიანებებში, განყოფილებებში, ბაზებსა და სხვა საწარმოებში სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების შემცირება, საწარმოთა რენტაბელობის ამაღლება, ახალი ტექნიკისა და მექანიზებულ სამუშაოთა ახალი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა გაყიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესება.

4. გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში შედიან „სოფლტექნიკის“ რესპუბლიკური (ასსრ) საოლქო და რაიონული გაერთიანებები, განყოფილებები, სავაჭრო-შემომტანი ბაზები, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, ზისდამმუშავებელი სახელოსნოები, ზონალური სანორმირებო პუნქტები და დიღმის სარემონტო ქარხანა.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ თავის საქმიანობას ახორციელებს როგორც უშუალოდ, ისე მის სისტემაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მეშვეობითაც.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან (მასთან შეთანხმებული მოცულობით, წესითა და ვადებში), საანგარიშო მონაცემები გაერთიანების სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, რომლებიც ესაჭიროება გაერთიანებას მასზე დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად;

ბ) მიიღოს ადგილობრივი ნავთობგამსაღებელი ორგანიზაციებისაგან ცნობები კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისა-

თვის ნავთობპროდუქტების მიწოდებისა და მათ მიერ ნამუშევარი ზეთების ჩაბარების შესახებ;

გ) დატოვოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში შეუტანელი იმ პროდუქციის გაუნაწილებელი რეზერვი, რომლის განაწილებას ახორციელებს გაერთიანება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებული ნომენკლატურისა და რაოდენობის მიხედვით;

დ) გადაანაწილოს რესპუბლიკურ და საოლქო გაერთიანებებს შორის სავაჭრო ბაზების მიერ გაუყიდავი მანქანები, მოწყობილობა, სათადარიგო ნაწილები და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონელი;

ე) წარუდგინოს წინადადებანი საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ იმის შესახებ, რომ შეწყდეს მიღება და აიკრძალოს ქარხნებიდან გაგზავნა იმ არაკომპლექტური ტრაქტორებისა, მანქანებისა, მოწყობილობისა, სათადარიგო ნაწილებისა, ნავთობტარისა, ნავთობმოწყობილობისა, მინერალური სასუქებისა და შხამჭიმვიკატებისა, რომლებიც არ შეესაბამებიან სახელმწიფო სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს და რომელთა რეალიზაცია წარმოებს გაერთიანების სისტემის ორგანიზაციების მეშვეობით, აგრეთვე ნავთობპროდუქტებისა — სოფლის მეურნეობისათვის;

ვ) საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკასთან“ შეთანხმებით ხელახლა გამოსცეს წესები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები მანქანების, მოწყობილობისა და დანადგარების ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების, შენახვისა და რემონტის ტექნოლოგიის საკითხებზე, აგრეთვე რემონტის ტექნიკური პირობები, რომლებიც სავალდებულოა კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

6. რესპუბლიკურ გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ სათავეში უდგას გაერთიანების თავმჯდომარე.

რესპუბლიკურ გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ხელმძღვანელობს გაერთიანების მთელ საქმიანობას, გამოსცემს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ ბრძანებებისა და მიითებათა საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს იმ სა-

მუხ. 48  
 საქართველოს  
 კომპეტენციაში

კითხვებზე, რომლებიც შეეხება გაერთიანების კომპეტენციაში შემოწმებს მათს შესრულებას; დადგენილი წესით შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და საქირო შემთხვევებში შეცვლის მათს დაქვემდებარებას, დაამტკიცებს დებულებებს გაერთიანების სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წესდებებს (დებულებებს); დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს გაერთიანების ცენტრალური აპარატის და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს.

7. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“ შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: გაერთიანების თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), თავმჯდომარის მოადგილეები და გაერთიანების ხელმძღვანელი მუშაკები.

გაერთიანების კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პოლიტიკის გატარებისა და ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე არსებულ მოთხოვნილების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს; მოისმენს გაერთიანების სამმართველოებისა და განყოფილებების, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაერთიანებების, განყოფილებების, სავაჭრო ბაზებისა და გაერთიანების სისტემის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს, აგრეთვე განიხილავს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.

რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება გაერთიანების თავმჯდომარის ბრძანებებით.

8. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ შემადგენლობაში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიაც შევლენ გაერთიანების, მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების წამყვანი სპეციალისტები, საქართველოს



სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამამუშავების სამინისტროს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის მექანიზატორები, მოწინავეები, მეცნიერების წარმომადგენლები, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკები, სასუქების და დაავადებისა, სარეველებისა და მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოყენების სპეციალისტები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე.

9. იმ მიზნით, რომ უფრო სრულად მოხდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა აღრიცხვა და საშუალება მიეცეთ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქს აქტიური გავლენა იქონიონ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მუშაობაზე, გაერთიანებასთან მოეწყობა საბჭო შემდეგი შემადგენლობით: „სოფლტექნიკის“ რესპუბლიკური, საოლქო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამამუშავების სამინისტროს წარმომადგენლები, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კოლეგიის წევრები, „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების მმართველები, რესპუბლიკის სხვადასხვა ზონის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის წამყვანი ქარხნების დირექტორები.

საბჭოს თავმჯდომარეა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე.

10. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკისთან“ არსებული საბჭო განიხილავს:

ა) სოფლის მეურნეობის ტრაქტორებით, ავტომობილებით, კომბაინებით, სასოფლო-სამეურნეო, მიწასათხრელი, აავზაო და სამშენებლო მანქანებით, სასუქებითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის გეგმების პროექტებს, აგრეთვე ამ გეგმების შესრულების მიმდინარეობას;

ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, კომპლექსური მექანიზაციის, ელექტროენერჯის, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მექანიზებულ სამუშაოთა პროგ-

რესული ტექნოლოგიის დანერგვის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს;

გ) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანებისა და მოწყობილობის მაღალმწარმოებლური გამოყენების, აგრეთვე შენახვის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის უზრუნველყოფის საკითხებს;

დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ვაჭრობის სისტემის სრულყოფის საკითხებს.

საბჭოს რეკომენდაციები რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ზორციელება გაერთიანების თავმჯდომარის ბრძანებებით.

11. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ არსებული საბჭოს სხდომები იმართება წელიწადში ორჯერ მაინც.

12. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ცენტრალური აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

დასტკიცებულია  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 3 აპრილის № 191  
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების  
შესახებ

### I. ზოგადი ნაწილი

1. „სოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებანი შექმნილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 თებერვლის № 151 დადგენილების „სსრ კავში-

რის მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადა-რიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების სრულიად საკავშირო გაერთიანების („საკსოფლტექნიკის“) შექმნის შესახებ“ და აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 აპრილის № 208 დადგენილების შესაბამისად.

2. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანება წარმოდგენს სახელმწიფო ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი მოქმედების ზონაში მასზე დაკისრებული ამოცანა — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და საწარმოო მომსახურებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოსთან კონტაქტში.

3. რაიონული გაერთიანება უშუალოდ ემორჩილება რესპუბლიკურ გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“\*.

4. რაიონული გაერთიანება თავის საქმიანობას ახორციელებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, საწარმოო, სავაჭრო და საფინანსო საქმიანობის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და საანგარიშსწორებო ანგარიში სახელმწიფო ბანკში და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

5. რაიონულ გაერთიანებას ექვემდებარებიან „სოფლტექნიკის“ განყოფილებანი დამოუკიდებელ ბალანსზე და მის შემადგენლობაში შედიან სავაჭრო კანტორა, სავაჭრო ბაზები, ნავთობბაზები, საწყობები და სპეციალიზებული მაღაზიები, სარემონტო სტაციონარული და ავტომობილური სახელოსნოები, სამანქანო-სამელიორაციო და სხვა სპეციალიზებული საწარმოო სადგურები, მექანიზებული რაზმები, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის ბრიგადები, სამშენებლო-სამონტაჟო ბრიგადები, ავტობაზები და ავტოკოლონები,

\* აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონული გაერთიანებანი უშუალოდ ემორჩილებიან შესაბამისად „აფხაზსოფლტექნიკას“, „აჭარსოფლტექნიკას“, სამხრეთ ოსეთის „სოფლტექნიკას“.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურების სპეციალიზებული ბრიგადები და ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურები.

რაიონული გაერთიანების საწარმოებისა და ორგანიზაციების შემადგენლობას განსაზღვრავს შემდგომი გაერთიანება.

6. „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

II. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების ამოცანები და საქმიანობა

7. რაიონული გაერთიანების მთავარი ამოცანებია:

ა) განახორციელოს პარტიისა და მთავრობის დირექტივები რაიონის სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პოლიტიკის გატარებისა და ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფისათვის;

ბ) უზრუნველყოს რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილება, მათი განაცხადების გათვალისწინებით, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მშენებლობისათვის;

გ) უზრუნველყოს რაიონის ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოსა და ორგანიზაციის მოთხოვნილება „ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათანადო რაოდენობაზე“;

დ) ფართოდ განახორციელოს ღონისძიებანი რაიონის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის: სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის განვითარება, ახალი მაღალმწარმოებლური ტექნიკის, ელექტროენერჯის, მექანიზებულ სამუშაოთა პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა სოფლის მეურნეობაში, მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიკატების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ქიმიზაციის დარგში;

ე) მოაწყოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების მაღალმწარმოებლურად გამოყენება, ტექნიკური მომსახურება, რემონტი და შენახვა;



ვ) მოაწყოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მკერძო-ნერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა სწორად გამოყენება, ტრანსპორტირება და შენახვა.

8. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) გამოავლენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებას მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, რომელთა გაყიდვა და მიწოდება ხორციელდება რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციების მეშვეობით, აგრეთვე ნავთობპროდუქტებზე; დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე განაცხადების შედგენასა და მათი მოთხოვნილების გაანგარიშებათა დასაბუთებაში;

ბ) „სოფლტექნიკის“ ზემდგომ გაერთიანებას წარუდგენს შეჯამებითს განაცხადებს მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებისათვის;

გ) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფილი ფონდების შესაბამისად, შემოსული განაცხადების გათვალისწინებით მიჰყიდის და მიაწოდებს:

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — ტრაქტორებს, ავტომობილებს, სასოფლო-სამეურნეო, მიწასათხრელ, სამშენებლო და სხვა მანქანებს, მოწყობილობასა და მექანიზმებს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებისათვის, სადაზგო, სარემონტო-ტექნოლოგიურ მოწყობილობას, საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტს, ძრავებს, ელექტრომასალებსა და ელექტრომოწყობილობას, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს, სამშენებლო მასალებს, ლითონს, ლითონის ნაწარმს, ხე-ტყის მასალას, ნავთობტარას, ნავთობ-მოწყობილობას, დიზელიანი ელექტროსადგურებისა და მიწასათხრელი მანქანების სათადარიგო ნაწილებს, საგორავ საკისარებს, აგრეთვე სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მშენებლობისათვის. „სოფლტექნიკის“ ზემდგომი გაერთიანების მიერ დამტკიცებულ ნომენკლატურის მიხედვით.

ყველა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს — სათადარიგო ნაწილებს, კვანძებსა და აგრეგატებს,

ელექტრომოწყობილობას, ხელსაწყოებს, რეზინა-ტექნიკურ თობებს (გარდა სალტებისა და კამერებისა) და ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სხვა მოწყობილობას, აგრეთვე სარემონტო-ტექნოლოგიურ მოწყობილობას ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, წყალსაწვევი დანადგარების, წყალსაწნევი კოშკებისა და ბაკების რემონტისათვის;

დ) კონტროლს გაუწევს სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ხარისხიანად და დროზე მიწოდებას, განიხილავს და დააკმაყოფილებს დადგენილი წესით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების პრეტენზიებს მიმწოდებელი ქარხნებისადმი იმ შემთხვევაში, თუ არა მეურნეობათა მიზეზით მწყობრიდან გამოვიდა ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მოწყობილობა და მექანიზმები მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებისათვის, მათი სამსახურის საგარანტიო ვადის პერიოდში;

ე) მოაწვობს სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მისაყიდი სავაჭრო ბაზების, საწყობების, მაღაზიების მშენებლობას, ექსპლუატაციას და კომპლექსურ მექანიზაციას; შეიმუშავებს და დანერგავს სასუქებისა და შხამქიმიკატების ტრანსპორტირების, მალეებისა და შენახვის რაციონალურ საშუალებებს;

ვ) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოსთან ერთად შეიმუშავებს სოფლის მეურნეობაში მექანიზბულ სამუშაოთა ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს და გააუმჯობესებს არსებულ პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას; მოაწვობს ახალი ტექნოლოგიის რგოლების მუშაობას, ამასთან გამოიყენებს მანქანების რეკომენდებულ კომპლექსებს და შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმებს;

შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, ახალი, მაღალმწარმოებლური ტექნიკის, ახალი სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა სარეველების, დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა დანერგვა;



სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავებისა და მეცხოველეობაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის მიზნით, უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კომპლექტურად მიწოდებას, შექმნის ტექნიკის გამოყენების სპეციალიზებულ ბრიგადებსა და რგოლებს, ინსტრუქტაჟს გაუწევს ამ ბრიგადებსა და რგოლებს ტექნიკის ათვისების პერიოდის განმავლობაში, კონტრლს გაუწევს მანქანათა კომპლექსების ექსპლუატაციას და შეაჯამებს საუკეთესო ბრიგადებისა და რგოლების მაჩვენებლების შედეგებს, მოაწიებს მათ ფართო ჩვენებას;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოსთან ერთად, გამოავლენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ახალ პროგრესულ მეთოდებს, ხელსაწყოებს, მოწყობილობასა და მანქანების სხვა გაუმჯობესებას, აცნობებს ამ მეთოდების ხელსაწყოების, მოწყობილობისა და გაუმჯობესებათა შესახებ, „სოფლო-ტექნიკის“ ზემდგომ გაერთიანებას და მოაწიებს ტექნიკის გამოყენებისა და მანქანათა სრულყოფის იმ ხერხების დანერგვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც შეიძლება განხორციელდებოდეს იქნან ადგილობრივი ძალებით;

დანმარებას გაუწევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ახალი ტექნიკისა და მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პროგრესული ტექნოლოგიის ათვისებაში;

შეიმუშავებს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად ახალი ტექნოლოგიის, მანქანათა კომპლექსების და მექანიზებულ სამუშაოებზე შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის წლიურ გეგმებს;

ბ) უზრუნველყოფს წარმოებაში მყოფი მანქანების საკონტროლო გამოცდის ჩატარებას, მოაწიებს იმ საცდელ პარტიებიდან მანქანების შემოწმებას სამეურნეო პირობებში, რომლებსაც ამ მიზნებისათვის გამოყოფს ზემდგომი გაერთიანება, უზრუნველყოფს ამ მანქანების გამოცდისა და შემოწმების შედეგების აღრიცხვას, მეთვალყურეობას გაუწევს ახალი მანქანების მუშაობას წარმოებაში მათი დაყენების პირველ წელს და მიღებული მასალების საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნებსა და წინადადებებს;

თ) დანერგავს წარმოებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანების და მოწყობილობის ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და შენახვის წესებს, რომლებიც დამ-

ტკიცებულია საკავშირო გაერთიანება „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის“ დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ტექნიკის გამოყენებისა და შენახვის მოწინავე, დიდად ეფექტური ორგანიზაციულ-ტექნიკური ხერხების დანერგვაში, ზედამხედველობას გაუწევს მანქანების ტექნიკურ მდგომარეობას, მაღალმწარმოებლურად გამოყენებასა და შენახვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველყოფს კონტროლს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკის ჩამოწერის დადგენილი წესის დაცვისადმი და არ დაუშვებს მის ნადრევად დაწუნებას;

გამოავლენს გაერთიანების საქმიანობის ზონაში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და შენახვის მოწინავე მეთოდებს, შეისწავლის მათ და მოაწიებს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას მეურნეობათა მუშაობის პრაქტიკაში;

ბ) მოაწიებს ნავთობპროდუქტების აღრიცხვას და კონტროლს გაუწევს ამ პროდუქტების ხარისხს, სწორად შენახვას და ხარჯვას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოსთან ერთად დანერგავს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ნავთობპროდუქტების ხარჯვის ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს; კონტროლს გაუწევს სოფლის მეურნეობაში ნამუშევარი ზეთების ცალკე შეგროვებას და მათს ჩაბარებას რეგენერაციისათვის; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოსთან ერთად განსაზღვრავს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნავთობსაწყობების მშენებლობისა და რემონტის დაფინანსების წესსა და ვადებს;

გ) დანერგავს წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ტიპობრივ ტექნოლოგიას და ტექნიკურ პირობებს, ახალ სარემონტო და არასტანდარტიზებულ მოწყობილობას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაკეთებლად, აგრეთვე სარემონტო მასალების ხარჯვის ნორმატივებს; განახორციელებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწყობილობის რემონტს სახელშეკრულებო საწყისებზე გაერთიანების სახელოსნოებსა და სარემონტო ქარხნებში;

შექმნის თავის სახელოსნოებში და დანიშნულებისამებრ გამოიყენებს ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და რთული

სასოფლო-სამეურნეო მანქანისათვის საჭირო ძრავების, კვანძებისა და აგრეგატების გადასაცვლელ ფონდს;

მოაწყობს და განახორციელებს სახელშეკრულებო პირობებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის და მეცხოველეობის ფერმების მოწყობილობის ტექნიკურ მომსახურებას, აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ჩატარების სწორად მოწყობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებში;

ლ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერჯის დანერგვისათვის, შეაკეთებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ელექტროძრავებსა და ამუშავების მარეგულირებელ ელექტროაპარატურას;

მ) უზრუნველყოფს იმ კაპიტალურ დახანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, რომლებიც გამოიყოფა სარემონტო საწარმოების, მიწერალური სასუქის საწყობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისათვის;

ნ) შეასრულებს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან სახელშეკრულებო საფუძვლებზე სამელიორაციო და მიწის სამუშაოებს, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის, მარცვალსაშრობ-საწმენდი პუნქტების მოწყობილობის მონტაჟის სამუშაოებს და სხვა სპეციალიზებულ სამუშაოებს, რომლებიც საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო საქმიანობისათვის;

ო) უზრუნველყოფს მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პროგრესული ტექნოლოგიის, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მისი გამოყენების, ტექნიკური მომსახურების, შენახვისა და რემონტის, საცხები და საწვავი მასალის შენახვისა და გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერჯის გამოყენების ახალი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხერხების პროპაგანდას, რისთვისაც დადგენილი წესით მოაწყობს გამოფენებს, მანქანების ჩვენებას მოედნებზე და მუშაობაში, აგრეთვე გამოიყენებს ამ მიზნით პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, გამოსცემს ფურცლებს, ნახაზებს, პლაკატებსა და სხვა ლიტერატურას;

პ) პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით განახორციელებს ხელმძღვანელობას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმისადმი რაიონული გაერთიანების ორგანიზაციებსა და

საწარმოებში, მოახდენს გამოგონებათა სარგებლიანობის ტიხას, საჭირო დახმარებას გაუწევს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს;

დადგენილი წესით გასცემს საავტორო გასამრჯელოს დასაწერ-გავად მიღებული წინადადებებისათვის;

განიხილავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებებს, რომლებიც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულყოფას; საინჟინრო დახმარებას გაუწევს მათ წინადადებათა გაფორმებისა და შემუშავების საქმეში; მოაწყობს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების); საწარმოო სამმართველოსთან ერთად ამ წინადადებათა ფართოდ დანერგვას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში, რისთვისაც ზემდგომ გაერთიანებას წარუდგენს წინადადებებს საწარმოთა მიერ გამოშვებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულყოფის შესახებ, აგრეთვე დაამზადებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების არართულ მოწყობილობებს თავის სარემონტო სახელოსნოში და გაავრცელებს ნახაზებს, მოცულობების გაზიარების წესით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეკვეთებით.

განაზოგადებს და გაავრცელებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობის მოცულობებს თავისი მოქმედების ზონაში და წარუდგენს განაზოგადებულ მასალებს „სოფლტექნიკის“ ზემდგომ გაერთიანებას;

ჟ) ხელმძღვანელობას გაუწევს განყოფილებებისა და სხვა მისდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, პასუხისმგებელია მათი საწარმოო-ტექნიკური, სავაჭრო და საფინანსო საქმიანობისათვის, უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას, განიხილავს და დაამტკიცებს საბუღალტრო ანგარიშებს, განახორციელებს საფინანსო კონტროლს, ჩაატარებს მათი საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს; მოაწყობს და კონტროლს გაუწევს აღრიცხვასა და ანგარიშგებას;

მისცემს სავალდებულო მითითებებს საწარმოო, სამეურნეო, სავაჭრო და საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, განახორციელებს კონტროლს სამუშაოთა ნორმირების, გაცემული საქონლისა და გაწეული მომსახურების ფასებისა და შეფასებათა სწორად შეფარდებისადმი.



რ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება გაერთიანებისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობაში, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა და შინაგანი რეზერვების გამოყენება, მიმოქცევის ხარჯების, სამუშაოთა და მომსახურების თვითღირებულების შემცირება;

ს) შეიმუშავებს და დადგენილი წესით განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რაიონული გაერთიანების ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთა, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას; დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმ მხრივ, რომ აამაღლონ მექანიზატორთა კვალიფიკაცია და ჩაატარონ მათი ხელახალი ატესტაცია შესაბამისი კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის კვალიფიკაციის მისანიჭებლად;

ტ) უზრუნველყოფს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის წესების შესრულებას როგორც დაქვემდებარებულ საწარმოებში, ისე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ ტექნიკის ექსპლუატაციის დროს, რომელიც მიღებულია ტექნიკური მომსახურებისათვის;

უ) პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მოაწყობს დაქვემდებარებულ საწარმოებში სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, საწარმოო და სავაჭრო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების შემცირება, საწარმოთა რენტაბელობის გადიდება, ახალი ტექნიკისა და მექანიზებულ სამუშაოთა ახალი, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა გაყიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესება.

### III. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების სახსრები

9. „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებას მიეცემა საკუთარი საბრუნავი სახსრები დაწესებული ნორმატივების მიხედვით.

რაიონულ გაერთიანებაში არსებული ზედმეტი საბრუნავი რეზერვის (ნორმატივს ზევით) ამოღებას აწარმოებს ზემდგომი გაერთიანება საბრუნავი სახსრების გადანაწილების წესით, გაერთიანების საფინანსო გეგმის შესაბამისად და მისი წლიური ანგარიშის მიხედვით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა საბრუნავი სახსრების ნორმატივი რაიონული გაერთიანების საწარმოო, სამეურნეო და საფინანსო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით.

10. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანება სარგებლობს სახელმწიფო ბანკის კრედიტებით სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით, აწარმოებს საამორტიზაციო ანარიცხებს კაპიტალური რემონტისა და ძირითად საშუალებათა აღსადგენად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათანადო დადგენილებით დამტკიცებული ნორმების მიხედვით.

11. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების გეგმური მოგება, მას შემდეგ, რაც მოხდება სახსრების გადარიცხვა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ფონდში მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების და სავაჭრო საქმიანობის სრულყოფისათვის, გამოიყენება სამეურნეო ანგარიშის საწარმოებისათვის გათვალისწინებული წესით და მოხმარდება პირველ რიგში საკუთარი საბრუნავი სახსრების, კაპიტალური დაბანდებების ზრდისა და გაერთიანების სხვა ხარჯების დაფინანსებას სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო გეგმის შესაბამისად, ხოლო დანარჩენი ნაწილი, მაგრამ არა ნაკლებ 10 პროცენტისა, შეიტანება ანარიცხების სახით რესპუბლიკის ბიუჯეტში.

12. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების ფონდი მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოებისა და სავაჭრო საქმიანობის სრულყოფისათვის შეიქმნება და დაიხარჯება თანახმად დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სრულიად საქავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მიერ 1962 წლის 27 ივნისს № 175.

13. რაიონული გაერთიანება ხარჯავს სახსრებს კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ახალი ტექნიკის ჩვენების სამუშაოთა შესასრულებლად, პროგრესული ტექნოლოგიის პრობაგანდისა და ამ დებულების მე-8 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად, ამასთან იყენებს ამ მიზნისათვის საერთო საქონელბრუნვის ანარიცხებს, რომელთა გადარიცხვა წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა

საბჭოს 1961 წლის 7 აპრილის № 296 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად, იმ ოდენობით, რასაც ყოველწლიურად განსაზღვრავს ზემდგომი გაერთიანება;

გაითვალისწინებს გაერთიანების სამრეწველო-საფინანსო გეგმით სახსრებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხარჯებისათვის ცალკეული ხარჯთაღრიცხვებით იმ წესითა და იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაწესებულია მუხლით 66 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 435 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

#### IV. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების ხელმძღვანელობა

14. „სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებას სათავეში უდგას მმართველი. გაერთიანების მმართველი და მისი მოადგილე დაინიშნებიან და თანამდებობიდან განთავისუფლდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

15. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მმართველი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს გაერთიანებისა და მის შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციების საწარმოო, სავაჭრო და საფინანსო საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დებულების საფუძველზე, განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე;

ბ) დადგენილი წესით დაამტკიცებს გაერთიანების მუშაობის წლიურ, კვარტალურ და თვიურ გეგმებს, აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციების საწარმოო, სავაჭრო და საფინანსო გეგმის მაჩვენებლებს.

გ) განაგებს, კანონის და გაერთიანების ამოცანების შესაბამისად, გაერთიანების მატერიალურ და ფულად სახსრებს, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდებსა და ქონებას; გაანაწილებს და გადაანაწილებს მის განკარგულებაში გამოყოფილ სახბანკის კრედიტებსა და საბიუჯეტო ასიგნობებს, აგრეთვე უზრუნველყოფს მათს გამოყენებას მიზნობრივი დანიშნულებით;

დ) ვახსნის ანგარიშებს საკრედიტო დაწესებულებებში და განაგებს მათ; ხელს მოაწერს ჩეკებს, სავადამხდელო დავალებებს, მოახდენს ანგარიშების აქცეპტს, მიიღებს ბანკის კრედიტებს, ვაცემს და მიიღებს გადასახდელად ვალდებულებებს და განახორციე-

ლებს გაერთიანების ამოცანებიდან გამომდინარე სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ოპერაციებს;

ე) დადებს ხელშეკრულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გაერთიანებაზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას;

ვ) თავის რწმუნებათა ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს გაერთიანებისადმი, გაერთიანების სახელით გამოცა წარმომადგენლად ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მათ შორის სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში.

16. გაერთიანების მმართველი დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს გაერთიანების მუშაკებს, გარდა მმართველის მოადგილეებისა, მთავარი ბუღალტრისა და სხვა მუშაკებისა, რომლებიც „სოფლტექნიკის“ ზემდგომი გაერთიანების ნომენკლატურაში შედიან.

17. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მმართველი მიიღებს ზომებს გაერთიანების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარებისათვის, რაც მიმართულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურების დარგში გაერთიანების მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. ამ მიზნით, მმართველი პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად მოაწყობს გეგმების პროექტების და მათი შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების, შრომის, ხელფასის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის გაუმჯობესების საკითხების, საბინაო მშენებლობის, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების საკითხების განხილვას.

18. რაიონული გაერთიანების მმართველს თავის ძირითად უფლებებთან და მოვალეობებთან ერთად, რომლებიც გაერთიანების ამოცანებიდან გამომდინარეობენ, უფლება აქვს აგრეთვე:

ა) შეასრულოს სარემონტო სამუშაოთა შეკვეთები, დაამზადოს მანქანების დეტალები და კვანძები და სხვა პროდუქცია შემკვეთის ნედლეულისა და მასალებისაგან ან თავისი წარმოების ნარჩენებისაგან ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს ძირითად სარემონტო სამუშაოთა და პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებას;

ბ) გაასაღოს ზედმეტი, გაერთიანებაში გამოუყენებელი მანქანები, მასალები, მოწყობილობა და სხვა მატერიალური ფასეულობანი რესპუბლიკური გაერთიანების მიერ დადგენილი წესით;

გ) აწარმოოს დადგენილი წესით, პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით გამომუშავების მოქველებული და შემცირებუ-

ლი ნორმების შეცვლა ახალი ნორმებით, ამასთან იქონიოს მხედველობაში ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ყოველმხრივ დანერგვა;

დ) დაამტკიცოს პროფკავშირის მუშათა კომიტეტთან შეთანხმებით გაერთიანების შინაგანი შრომითი განაწესი, ამასთან იხელმძღვანელოს საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ტიპობრივი შინაგანი შრომითი განაწესით.

19. რაიონული გაერთიანების მმართველი აჯილდოვებს რაიონული გაერთიანებისა და განყოფილების მუშაკებს, პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, რომლის დროსაც იხელმძღვანელებს მოქმედი დებულებებითა და კანონმდებლობით.

20. გაერთიანების მთავარი ბუღალტერი დაინიშნება და თანამდებობიდან განთავისუფლდება, აგრეთვე თავის საქმიანობას განახორციელებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია დებულებით სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მთავარი (უფროსი) ბუღალტრების შესახებ.

#### V. „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების საბჭო

21. იმ მიზნით, რომ მოეწყოს „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მუშაობა ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, აგრეთვე იმისათვის, რომ უფრო სრულად იქნას აღრიცხული რაიონის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებანი ტექნიკასა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე და გავრცელდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა გავლენა გაერთიანების მუშაობაზე, გაერთიანებასთან შეიქმნება საბჭო.

22. გაერთიანების საბჭოს შემადგენლობაში შედიან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობების, რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოს უფროსი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოწინავეები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წამყვანი სპეციალისტები.

რაიონულ გაერთიანებასთან არსებული საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებენ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს „სოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანებები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის „სოფლტექნიკის“ საოლქო გაერთიანება.

საბჭოს თავმჯდომარეა „სოფლტექნიკის“ გაერთიანების მმართველი.

23. რაიონულ გაერთიანებასთან არსებული საბჭო განიხილავს:

ა) შეჯამებითს განაცხადებს რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ;

ბ) რაიონის სოფლის მეურნეობის ტრაქტორებით, ავტომობილებით, კომბაინებით, სასოფლო-სამეურნეო მიწასათხრელი, საგზაო და სამშენებლო მანქანებით, მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმებისათვის საჭირო მოწყობილობითა და მექანიზმებით, სასუქებითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის გეგმების პროექტებს, აგრეთვე ამ გეგმების შესრულების მიმდინარეობას;

გ) იმას, თუ რა წესით უნდა იქნას უზრუნველყოფილი რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილება ტექნიკისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, რომლებზედაც მოთხოვნილება სრულად არ კმაყოფილდება;



დ) რაიონული გაერთიანების მიერ იმ სამუშაოთა წარმოების გეგმებს, რომლებიც გათვალისწინებულია კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებით, და ცალკეულ კოლმეურნეობებში ამ სამუშაოთა შესრულების რიგითობას;

ე) რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, კომპლექსური მექანიზაციის, ელექტროენერჯის, აგრეთვე მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს;

ვ) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანებისა და მოწყობილობის მაღალმწარმოებლურად გამოყენების, აგრეთვე მათი სწორად შენახვის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის უზრუნველყოფის საკითხებს;

ზ) ისეთი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ვაჭრობის სისტემის გაუმჯობესების საკითხებს, რომლებიც საჭიროა რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის;

თ) ანგარიშებს გაერთიანებისა და მისი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

24. საბჭოს რეკომენდაციები იმ საკითხებზე, რომლებიც რაიონული გაერთიანების კომპეტენციაში შედის, განხორციელდება რაიონული გაერთიანების მმართველის ბრძანებით.

25. გაერთიანების საბჭო შეიკრიბება კვარტალში ერთხელ მაინც.

**49** საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის დროს გზაში ავტომობილების გასაწყობად საწვავი და საცხები მასალების გაცემისა და ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ 1964 წლის 1 ივლისიდან საწვავისა და საცხები მასალების გაცემას საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის დროს გზაში სატვირთო ავტომობილების, ავტობუსებისა და სამარშრუტო ავტომობილების-ტაქსის გასაწყობად ეწვევიან საქნავთობმარაგა-

საღების ავტოგასაწყობი სადგურები წინასწარ განადგებულ ერთიანი ტალონებით.

2. დაეკისროს საქნავთობმარაგასაღებას საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის დროს გზაში სატვირთო ავტომობილების, ავტობუსებისა და სამარშრუტო ავტომობილების-ტაქსის გასაწყობად საწვავისა და საცხები მასალების ერთიანი ტალონების გაყიდვა.

აღნიშნული ერთიანი ტალონების გაყიდვა, ვიდრე ნავთობპროდუქტების ფასების გადასინჯვა მოხდებოდეს, იწარმოებს საწვავი და საცხები მასალების II ზოლის ფასის საფუძველზე, შესაბამისი მომხმარებლებისათვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში.

განსხვავება წინასწარ განადგებულ ერთიანი ტალონებით გაცემული საწვავისა და საცხები მასალების მეორე ზოლის ფასსა და იმ ზოლობრივ ფასს შორის, რაც დაწესებულია საქნავთობმარაგასაღებისათვის, მიეკუთვნოს მოგების ანგარიშს.

საქნავთობმარაგასაღების ფონდში და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გადარიცხული თანხების განსაზღვრის დროს ზეგეგმითი მოგებიდან გამოირიცხება ის მოგება, რომელიც შექმნილია საწვავი და საცხები მასალების ერთიანი ტალონებით გაცემასთან დაკავშირებით.

3. დაევალოს საქნავთობმარაგასაღებას:

ა) ააშენოს 1965 წელს ავტოგასაწყობი სადგურები ხაშურში, ზესტაფონში, ხუნევში, ახალ ათონსა და მცხეთაში. ავტოგასაწყობი სადგურების ტიპობრივი პროექტების მორგება განახორციელოს 1964 წელს;

ბ) უზრუნველყოს ნავთობბაზებისა და ავტოგასაწყობი სადგურების მუშაობის გაუმჯობესება საწვავი და საცხები მასალების გაცემის საქმეში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწვავი და საცხები მასალების მომჭირნეობით ხარჯვას.

5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარმა სამმართველომ მიიღოს ზომები, რათა დამატებით გამოეყოს საქნავთობმარაგასაღებას 70 ცალი ბენზინ-სვეტი ტკ-40 მარკისა და 5 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრის საბჭომ:

ა) გააუქმა 1964 წლის 1 ივლისიდან წესი საწვავი და საცხები მასალების მიცემისა ავტოგასაწყოები სადგურებისათვის ერთიანი ტალონებით ნაღდ ანგარიშზე;

ბ) დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს უზრუნველყოს, რომ დამზადდეს მოკავშირე რესპუბლიკების ნავთობგასაღების ორგანიზაციების შეკვეთებით სახნიშნის საწარმოებში ერთიანი ტალონები, რომლებითაც გაიცემა საწვავი და საცხები მასალები საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის დროს გზაში სატვირთო ავტომობილების, ავტობუსებისა და სამარშრუტო ავტომობილების — ტაქსის გასაწყოებად;

გ) დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ნავთობპროდუქტების ახალი ფასების შემოღების შემდეგ დააწესოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, თუ რომელი ზოლის ფასებში უნდა გაიყიდოს საწვავი და საცხები მასალების გასაცემი ერთიანი ტალონები და როგორ უნდა წარმოებდეს ანგარიშსწორება ნავთობგასაღების ორგანიზაციათა ტერიტორიულ სამმართველოებს შორის ამ ტალონებით საწვავი და საცხები მასალების გაცემისათვის;

დ) დაავალა რუსეთის სფსრ მთავარ ნავთობმარაგგასაღებას სამი თვის ვადაში მოამზადოს პროექტი მითითებებისა, თუ რა წესით უნდა მიეყიდოს სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურ მფლობელებს საწვავი და საცხები მასალები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ ამ მასალების გაცემა უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული ნამუშის წინასწარ განაღდებული ტალონებით და რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაძლებლობა შემდგომი კონტროლისა საწვავი და საცხები მასალების რეალიზაციისა და ხარჯვისადმი.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს დაევალოთ

განიხილონ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცონ ეს მითითებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 10 აპრილი, № 197.

## 50 მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:  
დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პრო-  
დუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ წარმო-  
დგენილი დებულება მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი  
რწმუნებულების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 10 აპრილი, № 199.

დ ა მ ტ კ ი ც ი ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 10 აპრილის № 199  
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულების შესახებ

სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვას საქარანტინო სახის მავნებ-  
ლებისაგან, მცენარეთა დაავადებისა და მავნე სარეველებისაგან,  
რომლებიც არ მოიპოვება ან განსაზღვრული რაოდენობით არის  
გავრცელებული ჩვენს ქვეყანაში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს  
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო  
კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

იმ მიზნით, რომ მუდმივი მეთვალყურეობა გაეწიოს მცენარე-  
თა კარანტინის შიგასამეურნეო ღონისძიებათა დროულად განხორ-  
ციელებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ორგანი-

ზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურის დასაწმარებლად გამოიყოფიან მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები.

### 1. ზოგადი დებულებანი

1. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები გამოიყოფიან აგრონომთა ან სხვა თანამდებობრივ პირთაგან დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ეწევიან საიმპორტო და სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანას, გაყიდვას, დამზადებასა და გადამუშავებას.

მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციასთან შეთანხმებით დაინიშნებიან დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებით, ხოლო კოლმეურნეობებში — კოლმეურნეობათა გამგეობების გადაწყვეტილებებით, და მათ დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები.

2. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირში მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახურის წესდებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, და შესაბამისი ინსტრუქციებით ამ საკითხებზე.

3. საზოგადოებრივ რწმუნებულთა მუშაობის ხელმძღვანელობას და მათი საქმიანობის კონტროლს ახორციელებენ მცენარეთა კარანტინის ინსპექტორები.

4. საზოგადოებრივ რწმუნებულს მცენარეთა კარანტინის ინსპექტორი მცენარეთა კარანტინის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის სახელით გადასცემს პირადობის მოწმობას.

თანამდებობის პირები, რომლებიც განთავისუფლებული არიან მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულის მოვალეობისაგან, მოვალენი არიან ჩააბარონ მიღებული საკარანტინო საბუთები მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს.

5. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან შეუქმნან მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივ რწმუნებულებს საჭირო პირობები მცენარეთა კარანტინის მათზე დაკისრებული დავალებების შესასრულებლად.

## 11. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულებების უფლება-მოვალეობანი

6. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სანერგე და მეთესლეობის მეურნეობებში, სასელექციო და საცდელ სადგურებში, ბოტანიკურ ბაღებში მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები მოვალენი არიან:

ა) განახორციელონ იმისადმი საკარანტინო ზედამხედველობა მათთვის მიჩენილ მეურნეობებში, რომ ზუსტად და დროულად ასრულებდნენ მეურნეობანი საკარანტინო წესებს და დაწესებულ შიგნამეურნეო საკარანტინო ღონისძიებებს;

ბ) შეამოწმონ თანმხლები საკარანტინო დოკუმენტები მეურნეობაში შემოსული მცენარეული წარმოშობის პროდუქციისა, რომელზედაც ვრცელდება საკარანტინო ღონისძიებანი, ხოლო უკეთეს ტვირთს თან არ ახლავს საკარანტინო საბუთები, დაუყოვნებლივ აცნობონ ეს მცენარეთა კარანტინის ინსპექტორს;

გ) მიიღონ მონაწილეობა ნათესების გამოკვლევის მოწყობასა და ჩატარებაში იმ მიზნით, რომ გამოვლინებულ იქნას საკარანტინო მავნებლები, მცენარეთა დაავადებანი და აბეზარი სარეველები სამომსახურეო მეურნეობაში;

დ) საკარანტინო მავნებლების, მცენარეთა დაავადებისა და აბეზარი სარეველების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ ეს სახელმწიფო საკარანტინო სამსახურის ორგანოებს ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

ე) მონაწილეობა მიიღონ ისეთ პროფილაქტიკურ და გამანადგურებელ ღონისძიებათა მოწყობასა და გატარებაში, რომლებიც მიმართულია საკარანტინო მავნებლების, მცენარეთა დაავადებისა და აბეზარი სარეველების გავრცელების თავიდან აცილებისაკენ;

ვ) განახორციელონ იმისადმი საკარანტინო ზედამხედველობა, რომ მეურნეობიდან გაიგზავნოს საკარანტინო მავნებლებისაგან, მცენარეთა დაავადებისა და მავნე სარეველებისაგან თავისუფალი სათესლე და სარგავი მასალა;

ზ) თვალყური ადევნონ საფუმიგაციო კამერების დროულად მომზადებას და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებისაგან სათესლე და სარგავი მასალის გაუვნებლობის ეფექტიანობას, ხოლო მარცვალსაწმენდ პუნქტებში — თესლის დროულად და სრულად გაწმენდას საკარანტინო სარეველებისაგან.

7. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები რკინიგზის სადგურებში, ავტობაზებში, აეროპორტებში, ნავმისად-

გომებზე, პურის მიმღებ პუნქტებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებში მოვალენი არიან:

ა) განახორციელონ იმისადმი მუდმივი კონტროლი, რომ დაცულ იქნას მცენარეთა კარანტინის წესები მცენარეული წარმოშობის ისეთი პროდუქციის მიღებისა და გაგზავნის დროს, რომელზედაც საკარანტინო ღონისძიებანი ვრცელდება;

ბ) არ დაუშვან მცენარეული წარმოშობის პროდუქციის გატანა მეურნეობებიდან, დასახლებული პუნქტებიდან და რაიონებიდან, რომლებშიაც შემოღებულია საკარანტინო შეზღუდვები, მცენარეთა კარანტინის ინსპექციის ნებადაურთველად;

გ) ზედამხედველობა გაუწიონ პროფილაქტიკურ და სხვა საკარანტინო ღონისძიებათა შესრულებას იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების ტერიტორიაზე, რომლებსაც ისინი კონტროლს უწევენ, მცენარეული წარმოშობის იმ პროდუქციის დატვირთვის, გადმოტვირთვის, შენახვისა და რეალიზაციის დროს, რომელზედაც საკარანტინო შეზღუდვები ვრცელდება.

8. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები საფოსტო განყოფილებებში მოვალენი არიან მუდმივი კონტროლი გაუწიონ მცენარეთა კარანტინის წესების მტკიცედ დაცვას ისეთ საფოსტო გზავნილების (ამანათები, მცირე პაკეტები, ბანდეროლები და წერილები) მიღების დროს, რომლებშიაც ჩადებულია მასალები იმ ადგილებიდან, სადაც გამოცხადებულია კარანტინი.

9. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები სასოფლო საბჭოებში, დასახლებულ პუნქტებში, რომლებსაც აქვთ საკარანტინო მავნებლების, მცენარეთა დაავადების და აბეზარი სარეველების კერები, მოვალენი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ და შეამოწმონ, თუ როგორ ახორციელებენ კერძო პირები შიგასამეურნეო საკარანტინო ღონისძიებებს.

10. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივი რწმუნებულები ფაბრიკებში, ქარხნებსა და სხვა სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც ეწევიან კარანტინისდაქვემდებარებული საიმპორტო და სა-



მამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, აგრეთვე კარტოფილის, ძირხვენებისა და ბოლქვის გადამამუშავებას, რომლებიც შემოტანილია ტექნიკური გადამამუშავებისათვის ისეთი ადგილებიდან, სადაც გამოცხადებულია კარანტინი, ახორციელებენ იმისადმი კონტროლს, რომ ზუსტად და დროულად შესრულდეს საკარანტინო წესები გადამამუშავების დროს.

11. საზოგადოებრივი რწმუნებულები პერიოდულად აწვდიან მცენარეთა კარანტინის ინსპექტორს ინფორმაციას მეურნეობებისა და ორგანიზაციების მიერ მცენარეთა კარანტინის მოქმედი კანონდებულებისა და წესების შესრულების შესახებ.

12. მცენარეთა კარანტინის საზოგადოებრივ რწმუნებულებს უფლება აქვთ:

ა) კარანტინსდაქვემდებარებული ადგილებიდან მცენარეული წარმოშობის ისეთი პროდუქციის გატანის დროს, რომელზედაც ვრცელდება საკარანტინო ღონისძიებანი და ამ პროდუქციის გამოყენების შეზღუდვები, მოთხოვონ საკარანტინო ტვირთის გამგზავნ მოქალაქეებს ისეთი საკარანტინო სერტიფიკატების წარდგენა, რომლებსაც მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექცია იძლევა;

ბ) შეადგინონ, მცენარეთა კარანტინის წესების დარღვევის ხასიათის მიხედვით, მოწმეებისა და დამრღვევის მონაწილეობით აქტები, რომლებიც შემდგომ გადაეცემა მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორს დამნაშავე პირთა მისაცემად პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) არ დაუშვან დასათესად ან დასარგავად მეურნეობაში შემოსული სარგავი ან სათესი მასალა თუ ასეთი დაავადებულია საკარანტინო მავნებლებით, რაიმე ავადმყოფობით და მავნე სარეველებით, და მცენარეთა კარანტინის ინსპექტორის მოსვლამდე, მეურნეობის ადმინისტრაციისთან ერთად მიიღონ ზომები, რომლებიც გამორიცხავენ მოცემული მეურნეობის დაავადებას.

### III. წახალისების ზომები

მცენარეთა კარანტინის რწმუნებულებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკარანტინო ღონისძიებათა მოწყობაში და სანიმუშოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, წახალისებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.



ბი მაღლობის გამოცხადებით, სიგელის გადაცემით, საპატიო  
ზე შეტანით, ხოლო განსაკუთრებით წარჩინებულ პირებს წარად-  
გენენ მთავრობის ჯილდოებზე.

**51** „საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლ-  
მეურნეობის ყოფილ წევრთა მუშაობის სტაჟის გამოთვლისა  
და პენსიის დანიშვნის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების  
თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება „საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუ-  
შაოზე გადასულ კოლმეურნეობის ყოფილ წევრთა მუშაობის სტაჟის  
გამოთვლისა და პენსიის დანიშვნის წესის შესახებ.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ა. ზირაძე**.

ქ. თბილისი. 1964 წ. 10 აპრილი, № 201.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 10 აპრილის № 201  
დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლმეურნეო-  
ბის ყოფილ წევრთა მუშაობის სტაჟის გამოთვლისა და პენსიის  
დანიშვნის წესის შესახებ

#### I. მუშაობის სტაჟის გამოთვლა

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კო-  
მიტეტის 1957 წლის 3 მაისის № 495 დადგენილებით დამტკიცებული  
დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც

კოლმეურნეობამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა კოლმეურნეობის  
ზაზე საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, კოლ-  
მეურნეობის ყოფილ წევრებს ჩაეთვლებათ სახელმწიფო პენსიის  
დასანიშნავად საჭირო მუშაობის სტაჟში კოლმეურნეობაში განუ-  
წყვეტელი მუშაობა შემდეგი პირობების არსებობისას:

ა) თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი საბჭოთა მეურნეობაში  
გადავიდა მუდმივ სამუშაოზე მანამდე, ვიდრე მშრომელთა დეპუტა-  
ტების რაიონულმა საბჭოს აღმასკომი დაამტკიცებდა კომისიის ანგა-  
რიშს კოლმეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

საბჭოთა მეურნეობაში სეზონურ სამუშაოზე ჩარიცხული კოლ-  
მეურნეობის ყოფილი წევრები უთანაბრდებიან საბჭოთა მეურნეო-  
ბაში მუდმივ სამუშაოზე ჩარიცხულ მუშებს.

საბჭოთა მეურნეობაში დროებით სამუშაოზე ჩარიცხულ კოლ-  
მეურნეობის ყოფილ წევრს, კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი  
მუშაობის სტაჟში არ ჩაეთვლება;

ბ) თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი დაწესებულ ვადაში გა-  
დავიდა საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე, მაგრამ საპატიო  
მიზეზის გამო (ავადმყოფობა, საბჭოთა მეურნეობის მიერ სამუშაოს  
მიუცემლობა) თავის დროზე ვერ შეუდგა მუშაობას, კოლმეურნეო-  
ბაში მუშაობის პერიოდი ჩაეთვლება მუშაობის სტაჟში მხოლოდ  
იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენს საპატიო მიზეზის დამადასტურე-  
ბელ საბუთს საავადმყოფოდან ან საბჭოთა მეურნეობიდან;

გ) კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობა ჩაეთვლებათ მუ-  
შაობის სტაჟში კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებსაც, რომელთაც  
საბჭოთა მეურნეობაში მუშაობა ფაქტიურად დაწყებული აქვთ  
კოლმეურნეობის გარდაქმნის მომენტიდან, მაგრამ საბჭოთა მეურ-  
ნეობის ადმინისტრაციის მიზეზით თავის დროზე არ იყვნენ გაფორ-  
მებული შესაბამისი ბრძანებით (მუშაობის დაწყების ფაქტი დადას-  
ტურებულ უნდა იქნას ტაბელებითა და ხელფასის უწყისებით).

2. კოლმეურნეობის ყოფილ წევრების მუშაობის სტაჟის დადგე-  
ნასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განიხილება საბჭოთა მეურ-  
ნეობასთან შექმნილი მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიის მიერ,  
რომელიც ფორმდება სათანადო ოქმით.

მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისია იქმნება შემდეგი შემად-  
გენლობით: საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის წარმომადგენე-  
ლი, პროფორგანიზაციის წარმომადგენელი და მშრომელთა დეპუტა-  
ტების სასოფლო ან სადაბო საბჭოს თავმჯდომარე ან მდივანი.

მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიის შემადგენლობას ეყრდნობა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი.

მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაცია ვალდებულია კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს მისცეს მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი სათანადო წლების აღნიშვნით.

მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისია პასუხისმგებელია მუშაობის სტაჟის დადგენის სისწორეზე.

კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაში შეუდგნენ მუშაობას მანამდე, ვიდრე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი დაამტკიცებდა კომისიის ანგარიშს კოლმეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, მუშაობის სტაჟში ჩაეთვლება მუშაობის შემდეგი პერიოდები:

ა) კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობის დრო 1939 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის მომენტამდე.

განუწყვეტელ მუშაობის დროში არ ჩაითვლება მხოლოდ ის წლები, როდესაც კოლმეურნეს საპატიო მიზეზის გარეშე გამომუშავებული არ ჰქონდა შრომადღეების დაწესებული სავალდებულო მინიმუმი, მაგრამ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის არასაპატიო მიზეზით გამოუმუშავებლობა არ სწყვეტს კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟს.

მაგალითი — კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის წევრად ითვლებოდა 1939 წლიდან 1956 წლამდე — კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნის დღემდე. კომისიამ დაადგინა, რომ 1946, 1948 და 1949 წლებში ობოლადეს არ ჰქონდა გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. აღნიშნული სამი წელი მუშაობის სტაჟის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება. ამრიგად, ობოლადის მუშაობის სტაჟი 1939 წლიდან 1956 წლამდე იქნება არა 18, არამედ 15 წელი;

ბ) კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს კოლმეურნეობაში მუშაობის დრო დაუდგინდებათ კოლმეურნეობაში დაცული მასალების ან სარქივო ორგანოების მიერ გაცემული ცნობების, ან იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს გააჩნიათ (კოლმეურნეობის წევრის პირადი წიგნაკი, შრომადღეების დარიცხვის ბარათი და სხვ.);

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტების უქონლობის შეუძლებელია კოლმეურნეობის ყოფილ წევრს ზოგიერთი წლების მუშაობის ფაქტის დადგენა, მუშაობის სტაჟის დამდგენ კომისიის უფლება აქვს მოწმეთა ჩვენებით დაადგინოს მუშაობის სტაჟი კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებისა, რომლებიც კოლმეურნეობაში მუშაობის მთელი დროის განმავლობაში ითვლებოდნენ აქტიურ კოლმეურნეებად და რომლებისთვისაც კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავალი იყო მათი ოჯახის არსებობის ძირითადი წყარო.

საბჭოთა მეურნეობასთან შექმნილმა სტაჟის დამდგენმა კომისიამ ამ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების 118 მუხლით;

დ) კოლმეურნეობიდან გასულ წევრს მუშაობის უწყვეტ სტაჟში ჩაეთვლება მხოლოდ კოლმეურნეობაში დაბრუნების შემდგომი პერიოდი.

მაგალითი — მინდელი კოლმეურნეობის წევრად ითვლებოდა 1939 წლიდან 1947 წლამდე. 1947 წელს გავიდა კოლმეურნეობიდან და სამი წლის განმავლობაში მუშაობდა დაქირავებით. 1950 წელს იგი კვლავ დაუბრუნდა კოლმეურნეობას და მუშაობდა 1957 წლამდე — კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნამდე. მინდელს მუშაობის სტაჟში ჩაეთვლება კოლმეურნეობაში მუშაობა მხოლოდ 1950 წლიდან 1957 წლამდე, ანუ კოლმეურნეობაში განუწყვეტელი მუშაობის პერიოდი;

ე) ვინაიდან შრომადღებების სავალდებულო მინიმუმის გამომუშავება დაწესებულია მხოლოდ კოლმეურნეობის შრომისუნარიან წევრებისათვის მოხუცებულობის ასაკს მიღწეულ კოლმეურნეობის წევრებისათვის შრომადღებების დაწესებული მინიმუმის გამომუშავება სავალდებულო არ არის. თუ კოლმეურნეობის მოხუცი წევრი შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა საკოლმეურნეო შრომაში, მოხუცებულობის პერიოდში კოლმეურნეობაში მუშაობის დრო ჩაეთვლება მუშაობის სტაჟში, მიუხედავად იმისა, გამომუშავებული ჰქონდა თუ არა შრომადღებების სავალდებულო მინიმუმი, ასევე ჩაეთვლება მუშაობის სტაჟში კოლმეურნეობაში მუშაობა კოლმეურნეობის იმ წევრებს, რომლებსაც გარკვეულ პერიოდში საპატიო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, ორსულობა, ჩვილბავშვიანობა) ვერ გამოიმუშავეს შრომადღებების სავალდებულო მინიმუმი;

ამავე საფუძველზე ჩაეთვლებათ მუშაობის სტაჟში სხვა ადგილებიდან ჩამოსახლებულ კოლმეურნეობის წევრებს ჩამოსახლებამდე კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი, თუ კოლმეურნეობა, რომელშიაც ისინი შევიდნენ, მათი ჩამოსახლების შემდეგ გარდაიქმნა საბჭოთა მეურნეობად.

3. გარდა კოლმეურნეობაში მუშაობისა, კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს მუშაობის სტაჟში ჩაეთვლებათ აგრეთვე:

ა) სამსახური საბჭოთა არმიის რიგებში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში, შინაგან და სასაზღვრო ჯარებში;

ბ) მუშაობა არჩევითს თანამდებობებზე;

გ) მრეწველობაში და მშენებლობაზე მუშაობა, თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი გაგზავნილი იყო სამუშაოთ მუშახელის ორგანიზებული წესით შეგროვების შედეგად;

დ) მუშად და მოსამსახურედ მუშაობა, აგრეთვე სხვა საქმიანობა, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების 109 მუხლით.

4. მუშაობის სტაჟში არ ჩაეთვლებათ კოლმეურნეობაში მუშაობის დრო კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებს, რომლებიც გავიდნენ კოლმეურნეობიდან, კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნამდე ან გარდაქმნის მომენტში.

მაგალითი — კიკვიძე 1940 წლიდან იყო კოლმეურნეობის წევრი. 1956 წლის აპრილში იგი გავიდა კოლმეურნეობიდან და მუშაობა დაიწყო მალაროში. 1956 წლის მაისში კოლმეურნეობა, რომლის წევრადაც იგი ითვლებოდა, გარდაიქმნა საბჭოთა მეურნეობად. კიკვიძეს 1940 წლიდან 1956 წლამდე კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი არ ჩაეთვლება მუშაობის სტაჟში, რადგან საბჭოთა მეურნეობის შექმნის მომენტში იგი აღარ ითვლებოდა კოლმეურნეობის წევრად.

კოლმეურნეობაში მუშაობის დრო არ ჩაეთვლებათ მუშაობის სტაჟში აგრეთვე კოლმეურნეობის იმ წევრებს, რომლებიც მოეწყვნენ საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ კოლმეურნეობის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.

მაგალითი — 1957 წლის მარტში კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა. 1957 წლის 30 მარტს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დამ-

ტიცდა კომისიის ანგარიში კოლმეურნეობის მუშაობის შეწყვეტის შესახებ. იმავე წლის 15 აპრილს ძიძიგური მიღებულ იქნა საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე, მაგრამ მას მუშაობის სტაჟში არ ჩაეთვლება კოლმეურნეობაში მუშაობა, ვინაიდან იგი არ ჩაირიცხა საბჭოთა მეურნეობის მუდმივ მუშად 1957 წლის 30 მარტამდე.

5. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს, რომლებიც დაწესებულ დროში ჩაირიცხნენ საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე და მუშაობას შეუდგნენ 1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადებში, კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი ჩაეთვლება მუშაობის სტაჟში, საბჭოთა მეურნეობაში მათი მუშაობის ხანგრძლივობის დამოუკიდებლად.

6. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე ჩაირიცხნენ, საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის პერიოდი ჩაეთვლება მუშაობის სტაჟში მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილი წესის მიხედვით, ე. ი. საბჭოთა მეურნეობაში მხოლოდ ფაქტიური მუშაობის პერიოდი — სამუშაოზე მიღების დღიდან სამუშაოდან განთავისუფლების დღემდე. თუ საბჭოთა მეურნეობის მუშას მთელი კალენდარული თვის ან თვეზე მეტი ხნის განმავლობაში საპატიო მიზეზის (ავადმყოფობა, სამუშაოს მიუცემლობა) გარეშე არ მიუღია მონაწილეობა მეურნეობაში სამუშაოზე, ეს პერიოდი მუშაობის სტაჟში არ ჩაითვლება და გამოიწვევს მუშაობის სტაჟის შეწყვეტას.

7. პენსიების დამნიშვნელი კომისია ვალდებულია შეამოწმოს საბჭოთა მეურნეობასთან არსებული მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიის მიერ დადგენილი სტაჟის სისწორე და თუ აღმოჩნდება, რომ კოლმეურნეობის ყოფილი წევრის სტაჟი დადგენილია არსებული წესის დარღვევით, უფლება აქვს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს გაასაჩივროს მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება, თუ მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება კოლმეურნეობის ყოფილი წევრი, მას შეუძლია მიმართოს საჩივრით მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

## II. პენსიების დანიშვნა

8. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობაში გადავიდნენ მუდმივ სამუშაოდ, შეიძლება დაენიშნოს სახელმწიფო პენსია მოხუცებულობის, ინვალიდობის და მარჩენალის გარდაცვალების გამო.



9. მოხუცებულობის, ინვალიდობის და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიები კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს ენიშნებათ იმავე წესით, როგორც მუშებსა და მოსამსახურეებს.

10. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს და მათი ოჯახის წევრებს, რომელთაც არა აქვთ სრული პენსიის დასანიშნავად საჭირო მუშაობის სტაჟი, დაენიშნებათ პენსია მოხუცებულობის, ინვალიდობის და მარჩენალის დაკარგვის გამო არასრული სტაჟით, იმ წესების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების 98-101 მუხლებით, ამასთან კოლმეურნეობაში მუშაობა ჩაითვლება ისე, როგორც დაქირავებით მუშაობა.

11. საერთო დაავადების შედეგად გამოწვეული ინვალიდობის პენსია კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს ენიშნებათ იმავე პირობებითა და ნორმებით, როგორც მუშა-მოსამსახურეებს.

შრომითი დასახიჩრების შემდეგ მიღებულ ინვალიდობით და პროფდაავადებით, პენსია დაინიშნება იმის მიხედვით, თუ სად და რომელ სამუშაოზე მოხდა დასახიჩრება, ან სად წარმოიშვა პროფდაავადება.

იმ შემთხვევაში, თუ შრომითი დასახიჩრება ან პროფდაავადება წარმოიშვა საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის დროს, პენსია დაინიშნება მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

თუ შრომითი დასახიჩრება ან პროფდაავადება წარმოიშვა კოლმეურნეობაში მუშაობის დროს, ინვალიდობის პენსია დაინიშნება იმავე პირობებში, როგორც საჭიროა საერთო დაავადების შედეგად გამოწვეული ინვალიდობის პენსიის დასანიშნავად.

12. სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების 116 მუხლის შესაბამისად, განუწყვეტელი მუშაობის სტაჟად ითვლება მუშა-მოსამსახურეების განუწყვეტელი მუშაობა წარმოებაში ან დაწესებულებაში. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი არ ეთვლებათ უწყვეტ-სტაჟში, ამიტომ კოლმეურნეობაში მუშაობისათვის უწყვეტი სტაჟის დანამატი არ უწესდებათ. აღნიშნული დანამატი დაუწესდებათ მხოლოდ კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებს, რომელთაც გააჩნიათ მუშად ან მოსამსახურედ მუშაობის უწყვეტი სტაჟი — კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდის გამოკლებით.

მუშაობის საერთო სტაჟისათვის დანამატი კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდის მხედველობაში მიღებით, დაუწესდებათ კოლ-

მეურნეობის ყოფილ წევრებს, თუ გააჩნიათ ყველა პირობები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიების კანონი.

13. თუ კოლმეურნეობის ყოფილი წევრი ჩაირიცხა საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიაღწიოს სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებას (იმუშავა საბჭოთა მეურნეობაში რამდენიმე დღეს, არ გადიოდა სამუშაოდ, მაშინ როცა საბჭოთა მეურნეობა საჭიროებდა მუშა ხელს, და ა. შ.) მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომთან არსებულ პენსიების დამნიშვნელ კომისიებს უფლება აქვთ უარი უთხრან კოლმეურნეობის ასეთ ყოფილ წევრებს პენსიის ღანიშვნაზე.

### III. პენსიების გამოანგარიშება

14. კოლმეურნეობის ყოფილ წევრებს პენსია გამოენგარიშებათ საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავებიდან, რასაც ისინი იღებდნენ საბჭოთა მეურნეობაში პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე.

15. კოლმეურნეობის ყოფილი წევრების საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავების დასადგენად აღებულ უნდა იქნას სახელმწიფო პენსიების ღანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების 122 და 123 მუხლებით გათვალისწინებული პერიოდები, ე. ი. საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავების დასადგენად იღება საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის უკანასკნელი 12 თვის გამომუშავება და ამ დროის გამომუშავების თანხა გაიყოფა 12-ზე, ამავე დროს ის თვეები, როდესაც მუშაკი ფაქტიურად არ მუშაობდა ან არასრული რაოდენობით გამოიმუშავა სამუშაო დღეები (მიუხედავად მიზეზისა: ავადმყოფობა, შვებულება, სამუშაოდან დათხოვნა და სხვა), უნდა ამოღებულ იქნას გაანგარიშებიდან და შეიცვალოს სხვა თვეებით, რომლებიც უშუალოდ წინ უძღოდნენ.

16. საბჭოთა მეურნეობის წარმოების თავისებურობის გამო საბჭოთა მეურნეობის მუშას ხშირად არა აქვს სრული თვეები ნამუშევარი. ასეთ შემთხვევაში გამომუშავება განისაზღვრება შემდეგი წესით: უკეთეს მუშაობის შეწყვეტამდე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში (ხოლო იმათთვის, ვინც მუშაობას განაგრძობს პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე) მუშაკმა საერთო ჯამით 12 სრულ თვეზე ნაკლები იმუშავა, აგრეთვე ყველა იმ შემთხვევაში, როცა მუშაკმა წელიწადზე ნაკლები იმუშავა, პენსია იანგარიშება ფაქტიურად ნამუშევარი ყველა სრული თვის გამომუშავებიდან გამოყვანილი საშუალო თვიური გამომუშავების მიხედვით. ამისთვის აღნიშნული თვეების გამომუშავების თანხა იყოფა ამ თვეების რიცხვზე.

№ 2  
 2025-01-10 10:00:00

მაგალითი — კოლმეურნე თუხარელი 1957 წლის 1 მარტს მუშაობდა წყო საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე. 1957 წლის 1 მარტიდან 1959 წლის 1 მარტამდე ნამუშევარი აქვს 4 სრული თვე და მიიღო 220 მან. აქედან 1957 წლის მარტში 40 მან. აპრილში 60 მან. 1958 წლის მაისში 80 მან. და ივნისში 40 მანეთი. ავადმყოფობის გამო მას შემდგომში არ უმუშავნია, ხოლო 1959 წლის მაისში საექიმო კომისიის მიერ ცნობილ იქნა II ჯგუფის ინვალიდად.

პენსიის გამოსაანგარიშებლად 4 თვეში მიღებული გამომუშავება 220 მანეთი გაიყოფა 4-ზე, მიღებული თანხა (55 მანეთი) იქნება საშუალო გამომუშავება, საიდანაც უნდა გამოუანგარიშდეს თუხარელს პენსიის ოდენობა.

17. თუ კოლმეურნეობის ყოფილმა წევრმა ერთ თვეზე ნაკლები იმუშავა საბჭოთა მეურნეობაში, მთელი ნამუშევარი დროის გამომუშავება იყოფა ნამუშევარი დღეების რიცხვზე და მიღებული თანხა გამრავლდება 25,6-ზე. ამ შემთხვევაში გამომუშავება, რომლის მიხედვითაც იანგარიშება პენსია, არ შეიძლება აღემატებოდეს მოცემული მუშაკის სატარიფო განაკვეთის ერთნახევარ ოდენობას.

მაგალითი — კოლმეურნე საბაშვილი, კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნასთან დაკავშირებით, საბჭოთა მეურნეობაში მუდმივ სამუშაოზე გადავიდა 1957 წლის 10 აპრილს. ამავე წლის 28 აპრილს იგი გარდაიცვალა. 16 სამუშაო დღეში მან მიიღო 51 მანეთი და 20 კაპიკის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის არაშრომისუნარი წევრებისათვის პენსიის დასანიშნავად საჭირო საშუალო გამომუშავება გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 16 სამუშაო დღეში მიღებული ხელფასი 51 მან. და 20 კაპ. გაიყოფა 16-ზე. მიღებული თანხა 3 მან. და 20 კაპ. გამრავლდება 25,6-ზე, რაც უდრის 81 მან. და 92 კაპიკს, საბაშვილის სატარიფო განაკვეთი არის 55 მან. ვინაიდან 81 მან. და 92 კაპ. არ აღემატება საბაშვილის ერთნახევარ განაკვეთს (87 მან. და 60 კაპიკს), მისი ოჯახის წევრებს პენსია გამოუანგარიშებათ 81 მან. 92 კაპიკიდან.

18. ასეთივე წესით გამოეანგარიშებათ პენსია კოლმეურნეობის იმ ყოფილ წევრებს, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის უკანასკნელ ერთ წელიწადში არა აქვთ გამომუშავებული არც ერთი სრული თვე, ე. ი. მთელი მუშაობის პერიოდში მიღებული გამომუშავება გაიყოფა ნამუშევარ დღეებზე და გამრავლდება 25,6-ზე.

მაგალითი — ყოფილმა კოლმეურნემ პეტრიაშვილმა უკანასკნელ წელიწადში გამოიმუშავა:

- |                      |             |
|----------------------|-------------|
| 1. იანვარში 20 დღე   | — 70 მანეთი |
| 2. თებერვალში 18 დღე | — 60 „      |

3. მარტში 15 დღე	— 50	„
4. მაისში 18 დღე	— 58	„
5. ივლისში 12 დღე	— 40	„
6. აგვისტოში 19 დღე	— 65	„
7. ნოემბერში 5 დღე	— 15	„
8. დეკემბერში 17 დღე	— 80	„

სულ 124 დღე — 438 მანეთი

საშუალო დღიური გამომუშავება განისაზღვრება ფაქტიურად მიღებული თანხის ამ დღეებზე გაყოფით —  $438:124 = 3$  მან. და 53 კაპიკი.

საშუალო თვიური გამომუშავება კი საშუალო დღიური გამომუშავების 25,6-ზე გამრავლებით — 3 მან. და 53 კაპ.  $\times 25,6 = 90$  მან. და 36 კაპ.

ვინაიდან ამ საბჭოთა მეურნეობის მუშის სატარიფო განაკვეთია 41 მანეთი, პენსიის გამოსაანგარიშებლად აიღება ერთნახევარი განაკვეთი ე. ი. 61 მან. და 50 კაპიკი.

19. თუ კოლმეურნეობის ყოფილ წევრისათვის არ არის ხელსაყრელი პენსიის ოდენობა განისაზღვროს საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის უკანასკნელი 12 თვის ხელფასიდან, მისი სურვილით პენსიის გამოსაანგარიშებლად აღებულ უნდა იქნას საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავება ყოველი 5 წლისა ზედიზედ იმ უკანასკნელი 10 წლიდან, რაც გავიდა პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე. აღნიშნულ 5-წლიან პერიოდში დაიშვები მუშაობის წყვეტები საერთო ჯამით არა უმეტეს 12 თვისა.

## 52 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილების დამატების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიენიჭათ დააკისრონ მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს საბითუმო და საცალო ფასების პროექტების უშუალოდ წარდგენა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის დასამტკიცებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს პირველი აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია განიხილავს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დასამტკიცებ-



ლად წარუდგენს საბითუმო, დასამზადებელი, შესასყიდი და რეზერვული ფასების პროექტებს, რომლებსაც შეიმუშავებენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილების მე-5 მუხლს დაემატოს პირველი აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო განიხილავს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგენს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების მიერ გამომუშავებული იმ ახალი სახის სამრეწველო პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო და საცალო ფასების პროექტებს, რომელთა ფასებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ამტკიცებს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძე**.

ქ. თბილისი. 1964 წ. 14 აპრილი, № 206.

**53** თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილებისათვის შ. ა. მიქელაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს თბილისის ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მეორე თერაპიულ განყოფილებას მისი დამაარსებლის შალვა ანტონის ძე მიქელაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძე**.

ქ. თბილისი. 1964 წ. 17 აპრილი, № 215.

**54** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაცო-ქიმიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისათვის ი. გ. ქუთათელაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაცო-ქიმიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს იოველ გრიგოლის ძე ქუთათელაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვამძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძამძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 21 აპრილი, № 226.

**55** ფარმაცევტ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 იანვრის № 54 დადგენილება „ფარმაცევტთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვამძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ბ. ზირაძამძე.**

ქ. თბილისი. 1964 წ. 22 აპრილი, № 231.



# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 54

1964 წლის 20 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

**ფარმაცევტ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 ივნისის № 577 დადგენილების დამატებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადებანი, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან იმის შესახებ, რომ:

ა) ამაღლდეს ფარმაცევტ მუშაკთა კვალიფიკაცია წარმოებისაგან მოწყვეტით ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებში, უმაღლეს სამედიცინო და ფარმაცევტულ სასწავლებლებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან არსებულ ფარმაცევტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებსა და კურსებზე, აგრეთვე საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტულ სასწავლებლებთან და ჯანმრთელობის დაცვის დიდ დაწესებულებებთან არსებულ ფარმაცევტთა დახელოვნების კურსებზე;

ბ) შეუნარჩუნდეთ აღნიშნულ ინსტიტუტებში, ფაკულტეტებსა და კურსებზე მივლინებულ ფარმაცევტ მუშაკებს ხელფასი ძირითადი თანამდებობის მიხედვით;

გ) აუნაზღაურდეთ, ამის გარდა, სხვაქალაქელ ფარმაცევტ მუშაკებს, რომლებიც მივლინებული არიან აღნიშნულ ინსტიტუტებში, ფაკულტეტებსა და კურსებზე, მგზავრობის ღირებულება იქით და აქეთ და მიეცეთ მათ დღიურები გზაში ყოფნის დროისათვის იმ ოდენობით, რაც დაწესებულია სამსახურებრივი მივლინებების ასანაზღაურებლად;

დ) მიეცეთ სწავლის დროისათვის სტიპენდიები სხვაქალაქელ ფარმაცევტ მუშაკებს, რომლებიც სწავლობენ აღნიშნულ ინსტიტუტებში, ფაკულტეტებსა და კურსებზე: ვისაც უმაღლესი ფარმაცევტული განათლება აქვს — 30 მანეთი თვეში, ხოლო ვისაც საშუალო

ფარმაცევტული განათლება აქვს — 15 მანეთი თვეში იმ პირობით, თუ მათთვის შენარჩუნებული ხელფასი არ აღემატება თვეში 100 მანეთს;

ე) მიეკუთვნოს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი სააფთიაქო სამმართველოების მიმოქცევის ხარჯებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. სტაპანოვი.**

**56** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს დებულების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 17 სექტემბრის № 603 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს დებულების მე-14 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგორედაქციით:

„ვ) მიყიდოს სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს (კოლმეურნეობების ჩათვლით) საქართველოს სსრ ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სამინისტროებსა და უწყებების საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაგროვილი ზედმეტი და გამოუყენებელი სასქონლო-მატერიალური ფასეულობანი და გაუსაღებელი პროდუქცია, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი გასაღების განრიგებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

## 57 საქონლის ნისიად გაყიდვის საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1964 წლის 1 მაისიდან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ წამოდგენილი ინსტრუქცია მუშებისა, მოსამსახურეებისა და პენსიონერებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ ბლანკები ცნობებისა საშუალო თვიური ხელფასის შესახებ, რომლებსაც ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები მისცემენ თავიანთ მუშაებს, და ცნობებისა პენსიის ოდენობის შესახებ, რომლებსაც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები აძლევენ პენსიონერებს, რათა წარედგინოს ისინი სავაჭრო ორგანიზაციებს (საწარმოებს) საქონლის ნისიად შესაძენად, აღრიცხულ უნდა იქნან მტკიცე ანგარიშგების დოკუმენტების თანაბრად.

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დოკუმენტური რევიზიების ჩატარების დროს შემოწმდება, თუ რამდენად სწორად არის გაცემული ცნობები საქონლის ნისიად შესაძენის შესახებ და დროულად ეწევიან თუ არა სავაჭრო ორგანიზაციები სახსრების გადარიცხვას საგადამხდელ დავალება-ვალდებულებებით.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, მუშათა მომარაგების სამმართველოებმა და მუშათა მომარაგების განყოფილებებმა მიიღონ ზომები საქონლის ნისიად გაყიდვის გაუმჯობესებისათვის, მოაწყონ სათანადო ინფორმაცია საქონლის ნისიად გაყიდვის პირობების შესახებ და გასაყიდი საქონლის რეკლამირება.

4. მუშებისა, მოსამსახურეებისა და პენსიონერებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, 1959 წლის 12 სექტემბრის № 717 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ“, მუხლი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 ნოემბრის № 880 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ქალაქების მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის ისეთი საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება“, მუხლები 1 და 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 აპრილის № 213

დადგენილებისა „მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის დროს საცალო საქონელბრუნვის შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 აპრილის № 213 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ქალაქებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 აგვისტოს № 624 დადგენილება „ქალაქებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ ინსტრუქციის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაძეძე**.

ქ. თბილისი. 1964 წ. 29 აპრილი, № 252.

და მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 29 აპრილის № 252  
დადგენილებით

### ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ

1. ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის გაყიდვა ნისიად წარმოებს რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში იმ მაღაზიების მეშვეობით, რომლებსაც ამ მიზნისათვის გამოყოფენ ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოები სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების სამმართველოები.

2. საქონელი ნისიად შეიძლება მიეყიდოს მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბაში, სადაც იმყოფება მაღაზია, რომელიც ნისიად ვაჭრობს, აგრეთვე პენსიონერებს (არამომუშავეებს), რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამავე ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბაში.



იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ დროებით, სეზონურად ან გამოსაცდელი ვადით, აგრეთვე იმათ, ვინც გაწერილი არ არის მოცემულ ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბაში, — საქონელი ნისიად არ მიეყიდება.

3. ნისიად გასაყიდი საქონლის ნუსხას დააწესებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

4. მუშა-მოსამსახურეებს საქონელი ნისიად მიეყიდება მას შემდეგ, რაც იქინი წარადგენენ პასპორტს და მუშაობის ადგილიდან გაცემულ ცნობებს საშუალო-თვიური ხელფასის ოდენობის შესახებ (უქანასკნელი 4 თვისა), ხოლო პენსიონერებს — მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ პასპორტს და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების ცნობებს პენსიის ოდენობის შესახებ (ცნობების ნიმუშები აღნიშნულია №№ 1 და 2 დანართებში), აგრეთვე ანგარიშსწორების ფორმის — საგადამხდელო დავალების ან საგადამხდელო დავალება-ვალდებულების მიხედვით.

5. ნისიად ნაყიდი საქონლისათვის მყიდველს შეუძლია გაასწოროს ანგარიში შემდეგნაირად:

ა) უშუალოდ შეიტანოს მაღაზიის სალაროში მორიგი გადასახდელები დაწესებულ ვადებში ნაღდ ფულად;

ბ) დაუკავოს მისი ხელფასიდან საწარმომ, ორგანიზაციამ ან დაწესებულებამ მუშაობის ადგილის მიხედვით და გადაურიცხოს შეპირობებულ ვადებში მორიგი გადასახდელები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას).

უშუალო ანგარიშსწორების დროს მყიდველი მაღაზიას აძლევს ვალდებულებას თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი № 2), აღნიშნული ვალდებულება შედგება ორ ცალად, რომელთაგან ერთი დარჩება მაღაზიაში, ხოლო მეორე მიეცემა მყიდველს.

ხელფასიდან დაკავების გზით ანგარიშსწორების დროს მყიდველი გააფორმებს საგადამხდელო დავალება-ვალდებულებას თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი № 3) იმ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების სახელზე, სადაც იგი მუშაობს.

საგადამხდელო დავალება-ვალდებულება შედგება ორ ცალად, რომელთაგან ერთს მყიდველი ჩააბარებს საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას მუშაობის ადგილის მიხედვით ნისიად შექმნილი საქონლისათვის ანგარიშის გასასწორებლად, ხოლო მეორე ცალს, შემოწმებულს საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, წარუდგენს მაღაზიას.



6. საგადამხდელო დავალება-ვალდებულებებს შეამოწმებენ წარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ხელმძღვანელობა, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, ამასთან მხოლოდ იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც მუდმივ სამუშაოზე იმუშავეს არა ნაკლებ 6 თვისა, ხოლო ეს დავალება-ვალდებულებანი არ უნდა შეუმოწმონ იმ პირებს, რომლებსაც აღმასრულებელი ფურცლებით ან სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით ეკავებათ ხელფასის 50 პროცენტი.

ხელფასის ან პენსიის (პენსიონერებისათვის) ოდენობის შესახებ ცნობების განმეორებით გაცემა და საგადამხდელო დავალება-ვალდებულებათა შემოწმება მუშა-მოსამსახურეებისათვის წარმოებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გასწორებული ანგარიში იმ საქონლისათვის, რომელიც მათ ნისიად შეიძინეს წინათ გაცემული ცნობებით და შემოწმებული საგადამხდელო დავალება-ვალდებულებებით.

ბლანკები ცნობებისა საშუალო-თვიური ხელფასის შესახებ, რომლებსაც ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები მისცემენ თავიანთ მუშაკებს, და ცნობებისა პენსიის რაოდენობის შესახებ, რომლებსაც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები მისცემენ პენსიონერებს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (საწარმოებისათვის) წარსადგენად საქონლის ნისიად შეძენის მიზნით, აღირიცხება მტკიცე ანგარიშგების დოკუმენტების თანაბრად.

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დოკუმენტური რევიზიების ჩატარების დროს შემოწმდება, თუ რამდენად სწორად არის გაცემული ცნობები საქონლის ნისიად შესაძენის შესახებ და დროულად ეწევიან თუ არა სავაჭრო ორგანიზაციები სახსრების გადარიცხვას საგადამხდელო დავალება-ვალდებულებებით.

7. მყიდველებს, მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონელი მიეცემათ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გადაიხდიან ამ საქონლის ღირებულების სულ ცოტა 25 პროცენტს. საქონლის ღირებულების დანარჩენი ნაწილის გადახდა უნდა წარმოებდეს, როგორც წესი, 6 თვის ან 12 თვის განმავლობაში, კრედიტის ვადის შესაბამისად.

საქონლის ნისიად გაყიდვა ფულის 6 თვემდე ნაწილ-ნაწილად გადახდის პირობით წარმოებს იმ თანხების ოდენობით, რაც არ აღემატება მყიდველის ორი თვის ხელფასს (პენსიას) და 12 თვემდე ნაწილ-ნაწილად გადახდის პირობით — მყიდველის ოთხი თვის ხელფასის (პენსიის) ფარგლებში.

ისეთი საქონლის ნისიად ყიდვის დროს, რომლის ღირებულებაც აღემატება კრედიტის ზღვრულ თანხას, განსხვავება საქონლის ღირებულებასა და კრედიტის თანხას შორის უნდა აანაზღაუროს მყიდველმა საქონლის მიღების დროს.

8. საქონლის ნისიად გაყიდვის დროს მყიდველს გადახდება სავაჭრო ორგანიზაციის სასარგებლოდ ფაქტიურად მიცემული კრედიტის თანხის ერთი პროცენტი, როდესაც ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა ხდება 6 თვემდე და ორი პროცენტი, — როდესაც მისი ნაწილ-ნაწილად გადახდა ხდება 12 თვემდე.

9. ნისიად გაყიდული საქონლისათვის ანგარიშსწორება წარმოებს გაყიდვის მომენტში მოქმედი ფასების მიხედვით. ნისიად გაყიდულ საქონელზე საცალო ფასების შეცვლისას მყიდველთან გადაანგარიშება არ იწარმოებს.

10. ისეთი წესით ანგარიშსწორების დროს, როდესაც მყიდველებს ნისიად ნაყიდი საქონლისათვის ფული უნდა დაუკავდეთ ხელფასიდან მუშაობის ადგილზე, — საწარმოების (ორგანიზაციების, დაწესებულებების) ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუღალტრები მოვალენი არიან დაუკავონ ხელფასიდან მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც მისცეს საგადამხდელო დავალება-ვალდებულებანი, მორიგი შესატანები და გადაურიცხონ ეს თანხები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს, (მაღაზიებს), ვალდებულებით შეპირობებულ ვადებში.

საწარმოები (ორგანიზაციები, დაწესებულებები) სახელმწიფო ბანკიდან ხელფასის გასაცემად საჭირო სახსრების გატანისას იმავედროულად ჩააბარებენ სახელმწიფო ბანკს საგადამხდელო დავალებებს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (მაღაზიებისათვის) იმ თანხების გადარიცხვის შესახებ, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს დაუკავდათ ხელფასიდან მათ მიერ ნისიად შექმნილი საქონლისათვის. ამ საგადამხდელო დავალებებს უნდა დაერთოს იმ მუშა-მოსამსახურეთა სიები (გვარი, სახელი, მამის სახელი), რომლებსაც ფული დაუკავდათ იმ მაღაზიების აღნიშვნით, სადაც მათ შეიძინეს საქონელი ნისიად, ხოლო თუ ასეთი ოპერაციები არ ჩატარებულა — შესაბამისი ცნობა.

იმ შემთხვევაში, თუ მუშა-მოსამსახურეები დაითხოვეს ან გადაიყვანეს სხვა საწარმოებში (ორგანიზაციებში, დაწესებულებებში), ადმინისტრაცია მოვალეა დაუკავოს მათ საგადამხდელო დავალება-ვალდებულებით დარჩენილი დავალიანება მათ მიერ ნისიად შექმნილი საქონლისათვის და გადაურიცხოს ეს დაკავებული თან-

ხები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას); ამასთანავე დაკავებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებს.

იმ მუშის ან მოსამსახურის დათხოვნის დროს, რომელმაც საქონელი ნისიად იყიდა, ადმინისტრაცია მოვალეა ხუთი დღის ვადაში გადაუგზავნოს სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას) საგადამხდელო დავალება-გაღებულეების პირველი ეგზემპლარი დათხოვნის ცნობასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, თუ მუშა ან მოსამსახურე, რომელმაც ნისიად იყიდა საქონელი, გადაყვანილია სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ან არსებობს სხვა მიზეზები, რომელთა მიხედვითაც შეწყდა მორიგ გადასახდელთა თანხების დაკავება ხელფასიდან, ადმინისტრაცია მოვალეა აცნობოს ეს სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას) ფულის დაკავების შეწყვეტიდან ხუთი დღის ვადაში.

აღნიშნულ შემთხვევებში მყიდველები არ თავისუფლდებიან მორიგი გადასახდელებისაგან და კისრულობენ მატერიალურ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით შესაბამისი სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) წინაშე იმისათვის, რომ დაფარონ დარჩენილ დავალიანება ნისიად ნაყიდი საქონლისათვის.

11. სახელმწიფო ბანკის კანტორები და განყოფილებები მიიღებენ საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისაგან ან დაწესებულებებისაგან ხელფასის გასაცემად საჭირო სახსრების მიღების დღეებში იმის დავალებებს, რომ გადაურიცხონ სავაჭრო ორგანიზაციებს (მაღაზიებს) თანხები, რაც მუშა-მოსამსახურეებს დაუკავდათ ხელფასიდან მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის, და იმავე დღეს გადარიცხავენ დავალებებში აღნიშნულ თანხებს სავაჭრო ორგანიზაციების (მაღაზიების) სპეციალურ სასესხო ანგარიშებზე, დამოუკიდებლად იმისა არსებობს თუ არა სხვა დაუფარავი გადასახდელები, გარდა ხელფასისა, და გადაერიცხათ თუ არა ხელფასიდან დაკავებული გადასახდელთა თანხები საფინანსო ორგანოებს.

საგადამხდელო დავალებებთან დართული სიები მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებსაც დაუკავდათ მორიგი გადასახდელები ნისიად ნაყიდი საქონლისათვის, გადაეცემათ შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს (მაღაზიებს).

12. თუ დროზე არ იქნა შეტანილი მორიგი გადასახდელები ნისიად ნაყიდი საქონლისათვის, მყიდველს სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) სასარგებლოდ გადახდება საურავი ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.



იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის გადასახდელები არ იქნებიან ნილი ზედხედ რომ თვის განმავლობაში, სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას) უფლება აქვს გადაახდევინოს მყიდველს ნისიად ნაყიდი საქონლის მთელი დარჩენილი დავალიანება დარიცხულ საურავიანად იძულებითი წესით აღმასრულებელი სანოტარო წარწერით, ხოლო სანოტარო კანტორები მოვალენი არიან გააკეთონ სანოტარო წარწერა მთელ დარჩენილ დავალიანებაზე დარიცხულ საურავთან ერთად.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც მყიდველმა არ დაფარა ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანება შეპირობებულ ვადებში საპატიო მიზეზებით (დროებით შრომისუუნარობა, ავადმყოფობა, ან ოჯახის წევრთა გარდაცვალება და ა. შ.), სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ განუვადონ მას გადასახდელების შეტანა, მაგრამ არა უმეტეს 6 თვის ვადისა, მას შემდეგ რაც მყიდველი წარადგენს სათანადო ცნობას.

13. ნისიად ნაყიდ საქონელზე ვრცელდება სარგებლობის ის საგარანტიო ვადები და გამოცვლის წესი მყიდველის მიერ საქონლის ფაქტიურად მიღების მომენტიდან, რომლებიც დაწესებულია საცალო სავაჭრო ქსელში ნაღდ ანგარიშზე ნაყიდი ასეთივე საქონლისათვის.

14. ერთ მყიდველს იმავდროულად შეიძლება მიეცეს ნისიად რამდენიმე საგანი, თუ მათი ღირებულების თანხა რა აღემატება: როდესაც ფულის ნაწილნაწილად გადახდა ხდება 6 თვემდე ვადით — მისი ორი თვის და 12 თვემდე ვადით — მისი ოთხი თვის ხელფასს (პენსიას).

15. საქონლის ნისიად გაყიდვის შესახებ მოსახლეობას შეატყობინებენ ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოები, სავაჭრო ორგანიზაციები და მაღაზიები პრესის, რადიოს და ტელეგადაცემის მეშვეობით, რისთვისაც საინფორმაციო ფურცლებს გაუგზავნიან საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, გამოაკრავენ სარეკლამო პლაკატებს იმ მაღაზიების ფანჯრის ვიტრინებში, რომლებიც ეწვევიან საქონლის ნისიად გაყიდვას და ა. შ.

16. საქონლის ნისიად გაყიდვის ოპერაციებისა და გაანგარიშებათა საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს მაღაზიებში ან სავაჭრო ორგანიზაციებში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მითითების თანახმად.

საწარმოს, ორგანიზაციის,  
 დაწესებულების შტამში

დანართი № 1  
 ინსტიტუტისა მუშა-მოსამსახურეობის  
 სათვის ხანგრძლივი სარგებლობის  
 საქონლის ნისიად მიყიდვის წესის  
 შესახებ

**ც ნ ო ბ ა**

საქონლის ნისიად საყიდლად . . . . . ქ. . . . . მალაზიაში  
 მიეცა მოქ. . . . . , რომ იგი  
 (გვარი, სახელი, მამის სახელი)

მუდმივად მუშაობს . . . . .  
 (საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების  
 სრული დასახელება და მათი სრული საფოსტო მისამართი)

თანამდებობაზე . . . . . და რომ მისი საშუალო  
 თვიური ხელფასი 4 უკანასკნელი თვის განმავლ. შეადგენს . . მან.  
 ხელმძღვანელი (თანამდებობა) . . . . .  
 (გვარი, სახელი, მამის სახელი)

მთავარი (უფროსი) ბუღალტერი . . . . .  
 (გვარი, სახელი, მამის სახელი)

ბ. ა.

შტამში სოცუზრუნველყოფის ორგანი-  
 ზაციისა, რომელმაც ცნობა გასცა

დანართი № 2  
 ინსტიტუტისა მუშა-მოსამსახურეობის  
 სათვის ხანგრძლივი სარგებლობის  
 საქონლის ნისიად მიყიდვის წესის  
 შესახებ

**ც ნ ო ბ ა**

მიეცა მოქ. . . . . , რომ იგი  
 (გვარი, სახელი, მამის სახელი).

ნამდვილად არის პენსიონერი (არამომუშავე) და იღებს სახელმწიფო  
 პენსიას თვეში . . . . . მანეთს  
 . . . . . ში  
 (იმ ორგანიზაციის სრული დასახელება, სადაც პენსიას იღებს და მისი  
 საფოსტო მისამართი)

ცნობა გაცემულია საქონლის ნისიად შესაძენად ქალაქ . . . . .  
 . . . . . მალაზიაში  
 ორგანიზაციის ხელმძღვანელი . . . . .  
 ბუღალტერი . . . . .

ბ. ა.



დანართი № 3

ინსტრუქციისა მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ

ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა №

ქალაქი . . . . . „ . . . . . 196 . . . . . წ.  
მე, მოქ. . . . . , რომელიც ვცხოვრობ

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

. . . . . ში . . . . . ქუჩაზე, სახლი, № , ბინა . . . .  
(სრული საფოსტო მისამართი, ქალაქი, რაიონი, დაბა)

და ვმუშაობ . . . . . ,  
(საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების სრული დასახელება და  
. . . . .  
მათი საფოსტო მისამართი)

ვიყიდე მაღაზიაში № . . . . .  
(სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება),

ნისიად ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდით: . . . . . თვის  
განმავლობაში და მივიღე . . . . .  
(საქონლის სრული დასახელება, არტიკული, მარკა და ა. შ.)

საქონლის საცალო ფასი . . . . . მან. . . . . კაპ.  
გადახდილია ნაღდი საქონლის მიღების დროს:  
. . . . . % საქონლის ღირებულებისა . . . . . მან. . . . . კაპ.  
. . . . . % ნაწილ-ნაწილად გადახდისათვის . . . . . მან. . . . . კაპ.  
საქონლის ღირებულების ნაშთი . . . . . ოდენობით  
მოვალე ვარ გადავუხადო ზემოაღნიშნულ მაღაზიას ნაღდ ფულად  
ქვემოჩამოთვლილ ვადებში:

ფულის შეტანის თარიღი	აღნიშვნა გადახდის შესახებ			
	თარიღი	თანხა	ხელწერილი მიღებაზე	ვალის ნაშთი
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			
„ . . . . . 196 . . . . . წ.	„ . . . . . 196 . . . . . წ.			

სულ:

სულ:

საქონლის  
მედიის

უკეთუ აღნიშნულ ვადებში არ დავფარავ დავალიანებას, გვის-  
რულობ გადავიხადო საურავი ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პრო-  
ცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეში.

იმ შემთხვევაში, თუ ჩემს მიერ დაშვებულ იქნა ორი მორიგი  
შესატანის ვადის გადაცილება, დაუფარავი დავალიანების მთელი  
თანხა შეიძლება გადამხდეს იძულებითი წესით, მორიგი გადასახ-  
დვლების ვადების დადგომის მიუხედავად.

ჩემი მისამართის ან მუშაობის ადგილის შეცვლის შესახებ ვა-  
ლდებული ვარ დაუყოვნებლივ ვაცნობო მაღაზიას.

ჩემ მიერ წარდგენილია . . . . . სერიის № . . . . .  
პასპორტი, გაცემული . . . . . დაბადების წელი  
(ვის მიერ და როდის)

ზემოაღნიშნული საქონელი ვალდებულებით მივიღე . . . . .  
საბუთები შეამოწმა, საქონელი გასცა . . . . .

დანართი № 4  
ინსტრუქციისა მუშა-მოსამსახურეები-  
სათვის ხანგრძლივი სარგებლობის  
საქონლის ნისიად მიყიდვის წესის  
შესახებ

**საგადასდელი დავალეზა-ვალდებულება №**

მე. მოქ, . . . . . რომელიც ვცხოვრობ ქალაქ . . . . . ში  
(გვარი, სახელი, მამის სახელი)  
. . . . . ქუჩაზე (პასპორტი სერია № . . . . . გაცემული  
ქალაქ . . . . . მილიციის განყოფილების მიერ 19 . . . . .  
. . . . . წლის „ . . . . .“) და ვმუშაობ . . . . .  
(საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების დასახელება, თანამდებობა)

**ში ვავალეზ**

(საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების დასახელება)

დამიკავოს ყოველთვიურად . . . . . დან დაწყებული . . . . .  
. . . . . მღე ჩემი ხელფასიდან . . . . . მანეთი . . . . .  
. . . . . კაბ. და გადარიცხოს ეს თანხა სპეც. სასესხო ანგა-  
რიშზე № . . . . . სახბანკის განყოფილებაში



იმ საქონლისათვის . . . . . ჩემი დავალების  
(საქონლის სრული დასახელება)

დასაფარავად, რომელიც ნისიად ვიყიდე № . . . . მალაზიაში, უკეთუ ჩემთვის საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს დაუფარავი დარჩება ჩემ მიერ ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანება, მე მეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე დარჩენილი დავალიანების სრულად დაფარვისათვის დაწესებულ ვადებში.

გაფრთხილებული ვარ, რომ მორიგი გადასახდელების ვადების გაშვების შემთხვევაში დამერიცხება მალაზიის სასარგებლოდ საურავი ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეში.

იმ შემთხვევაში, თუ დაშვებულ იქნა ორი მორიგი შესატანის ვადის გადაცილება, დაუფარავი დავალიანების მთელი თანხა დარიცხულ საურავთან ერთად შეიძლება გადამხდეს იძულებითი წესით, მორიგი გადასახდელების ვადების დადგომის მიუხედავად.

196 . . . . . წ. ” “ . . . . .  
(მყიდველის ხელმოწერა)

(საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების დასახელება და მისი

. . . . . თანახმაა დაუკავოს ხელფასიდან  
საფოსტო მისამართი)

ჩვენს მუშავს ამხ. . . . . ამ საგადამხდელო დავალება-  
ვალდებულების № . . . . . თანახმად, ყოველთვიურად  
. . . . . მან. . . . . კაბ. მის მიერ ნისიად ნა-  
ყიდი საქონლის დავალიანების დასაფარავად და გადარიცხოს ეს თან-  
ხები სპეცსასესხო ანგარიშზე № . . . . .  
სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში არა უგვიანეს სამი დღის  
ვადისა.

საწარმოს ხელმძღვანელის ხელმოწერა . . . . .

მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერა . . . . .

**58** ავტოტრანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესებისა და ამ სახის ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებისთვისაც შეიძლება ჯარიმების დადება ადმინისტრაციული წესით

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მოძრაობის უშიშროების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა და ბრძოლა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 დეკემბრის № 751 დადგენილების დამატებით დამტკიცდეს ავტომოტოტრანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესებისა და ამ სახის ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევათა თანდართული ნუსხა, რომლებისთვისაც შეიძლება ჯარიმების დადება ადმინისტრაციული წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი. 1964 წ. 30 აპრილი, № 254.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 30 აპრილის № 254  
დადგენილებით

### ნ უ ს ხ ა

ავტოტრანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესებისა და ამ სახის ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევებისა, რომლებისთვისაც შეიძლება ჯარიმების დადება ადმინისტრაციული წესით

ავტომოტოტრანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების და ამ სახის ტრანსპორტით სარგებლობის ქვემოჩამოთვლილი წესების დარღვევისათვის შეიძლება დადებულ იქნას ჯარიმები ადმინისტრაციული წესით შემდეგი ოდენობით:

ა) იმ წესების დარღვევა, რომელთა თანახმად ქუჩები, გზები და ხელოვნური საგზაო ნაგებობანი შენახულ უნდა იქნას მოძრაობისათვის უშიშარ მდგომარეობაში; ველოსიპედებისა და საჭაპანო საზიდარების მართვა არაფხიზელ მდგომარეობაში; ქვეითად მოსიარულეთა მიერ ქუჩაზე ან გზაზე გადასვლა ამისათვის გაუთვალისწინებელ ადგილებში ან აკრძალულ სიგნალზე, უკეთუ ამ მოქმედებამ გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგები — 10 მანეთამდე;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა არათავისდროზე რეგისტრაცია და ხელახალი რეგისტრაცია; ავტომობილებისა და მოტოციკლების წარუდგენლობა დაწესებულ ვადებში ტექნიკური გასინჯვისათვის საპატიო მიზეზების გარეშე; სატრანსპორტო საშუალებათა თვითნებური გადაკეთება; სატრანსპორტო საშუალებათა დროებით ან მუდმივად გაჩერება აკრძალულ ადგილებში, რაც ხელს უშლის მოძრაობას და საფრთხეს უქმნის მის უშიშროებას; მილიციის მუშაკთა იმ მოთხოვნების შეუსრულებლობა, რომლებიც გამომდინარეობენ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებისათვის დაწესებული მოვალეობიდან — 5 მანეთამდე;

გ) ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების სხვა დარღვევანი ქვეითად მოსიარულეთა მიერ; მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხმის წესების, აგრეთვე ველოსიპედისტებისათვის დადგენილი წესების დარღვევა; საჭაპანო ტრანსპორტის მოძრაობისა და პირუტყვის გარეკის წესების დარღვევა; მექანიკური ტრანსპორტის (ავტომობილები, მოტოციკლები, მოტოროლერები, მოპედები, მოტოეტლები, ტრამვაი, ტროლეიბუსები, ტრაქტორები და სხვა თვითმავალი მანქანები) მძღოლთა მიერ მოძრაობის იმ წესების დარღვევა, რომლებიც მათ შეეხებათ, — 1 მანეთამდე.

აღნიშნული მოქმედებისათვის ადმინისტრაციული წესით ჯარიმების დადება არ იქნება გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე პირები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიცემულ უნდა იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

59

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებაში ზოგიერთი დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თხოვნა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963

წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან შეიძლება სასამართლო წესით გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან დანაშაულის ჩადენისათვის სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით, დაემატოს შემდეგი სასწავლო-საცდელი მეურნეობები: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტისა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისა, აგრეთვე მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 13 მაისი, № 280.

## 60 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:  
 დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 მაისი, № 309.



## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელოვნების ისეთი მაღალი დეურის და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნის უზრუნველყოფა, რომლებიც შეესაბამებიან პარტიისა და მთავრობის დირექტივებს;

ბ) სამხატვრო, ქრონიკალურ-დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა ფილმების დაგეგმვა და მათი წარმოების უზრუნველყოფა რესპუბლიკის კინოსტუდიებში;

გ) კინოქსელის დაგეგმვა და განვითარება რესპუბლიკაში, კინოთეატრებისა და კინოდანადგარების სწორი განლაგების უზრუნველყოფა, ფილმების ჩვენებაში სწორი სარეპერტუარო პოლიტიკის განხორციელება და მოსახლეობის კინომომსახურების ყოველნაირად გაუმჯობესება;

დ) კინემატოგრაფიის კადრების მომზადება და განაწილება რესპუბლიკაში აგრეთვე ლიტერატურის, წიგნების, ბროშურების, პერიოდიკის გამოცემა კინოსაკითხებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად.

ა) მოაწყობს და წარმართავს მუშაობას ფილმებისათვის მაღალი დეური და მაღალმხატვრული სცენარების, კინოფილმების, მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად, შემოქმედებითს დახმარებას გაუწევს კინონაწარმოებთა მომზადებაში; განიხილავს და დადგენი-

ლი წესით დაამტკიცებს სამხატვრო, სამეცნიერო-პოპულარულ-ქრონიკალურ-დოკუმენტური, სამულტიპლიკაციო და სხვა ფილმების ლიტერატურულ სცენარებს, აგრეთვე მხატვრული ფილმების სარეჟისორო სცენარებს, მოაწყობს და ჩაატარებს რესპუბლიკურ კონკურსებს სალკეთესო სცენარებისა და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის, ჩაატარებს კინოფესტივალებს, საბჭოთა კინემატოგრაფიის მიღწევების გამოფენებს, ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში თვითმოქმედი კინემატოგრაფიის განვითარებას, აგრეთვე კინოფიკაციის შესაბამის უწყებებთან ერთად — სწავლების პროცესებს სამშალლო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში;

ბ) შეიმუშავეს და დადგინილი წესით წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული, ქრონიკალურ-დოკუმენტური, სამულტიპლიკაციო და სხვა ფილმების წარმოების პერსპექტიულ და წლიურ თემატიკურ გეგმებს, ყველა ფილმის წარმოების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, სრულმეტრაჟიანი ფილმების დაწყებისა და დამთავრების ვადების, ყველა სახის ფილმების წარმოების ხარჯების მოცულობის აღნიშვნით, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგენს ცვლილებებს, რომლებიც შეტანილი უნდა იქნას ყველა ფილმის წარმოების წლიურ გეგმებსა და დანახარჯების მოცულობაში;

გ) დადგინილი წესით განახორციელებს მხატვრული ფილმების სცენარების ჩაშვებას რეჟისორული ვარიანტის დამუშავებაში, ფილმების ჩაშვებას მოსამზადებელ პერიოდსა და წარმოებაში, ფილმების წარმოების კალენდარულ-დადგმითი გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებას, მათ მიღებას, ფილმების სახეობათა და ჯგუფების დადგენას საზღაურის მიხედვით, აგრეთვე კინოფილმების ტირაჟებს, რესპუბლიკურ ეკრანებზე მათი გამოშვების წესს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისათვის წარადგენს კინოფილმების გასაშვებად საერთო-საკავშირო ეკრანზე;

დ) კონტროლს გაუწევს ფილმების წარმოებისათვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების შესრულებას; განიხილავს და დადგინილი წესით დაამტკიცებს მონაცემებს ფილმების წარმოების, აგრეთვე ფილმებისათვის სცენარებისა და მუსიკალურ ნაწარმოებთა შეკვეთების ხარჯების ჩამოწერის შესახებ;



ე) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დაქვემდებარებული სახელმწიფო დაწესებულებებისა და სასწავლებლების წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს, შრომის გეგმებს, შემოსავალ-გასავლის ბალანსებს, დადგენილი წესით წარუდგენს აღნიშნულ გეგმებს ზემდგომ ორგანოებს და განახორციელებს ღონისძიებებს დამტკიცებული გეგმების შესრულებისათვის;

ვ) შეიმუშავებს და ზემდგომ ორგანიზაციებს წარუდგენს სახელმწიფო კინოქსელის განვითარებისა და ექსპლუატაციის გეგმების პროექტებს იმისათვის, რომ შეტანილ იქნას ისინი სახალხო-სამეურნეო გეგმაში;

ზ) განიხილავს და შესაბამის ორგანოებს წარუდგენს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განაცხადებს, რომლებიც შემოდის კინემატოგრაფიის სისტემის საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან და პროფკავშირული კინოქსელისაგან, აგრეთვე გაანაწილებს და გადაანაწილებს მათ შორის გამოყოფილ ფონდებს; განაგებს საქართველოს სსრ ფარგლებში ბილეთების გამოშვებას და ყველა კინოთეატრისა და კინოდანადგარის მომარაგებას ამ ბილეთებით მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, აგრეთვე კონტროლს გაუწევს მთელ კინოქსელში საბილეთო მეურნეობის სწორად წარმოებას;

თ) შეიმუშავებს და ზემდგომ ორგანოებს წარუდგენს კინემატოგრაფიის სპეციალობის უმაღლესი, საშუალო და დაბალი ტექნიკური განათლების მქონე კადრების მომზადების გეგმებს, რესპუბლიკის კინოწარმოებისა და კინოქსელის მოთხოვნილების შესაბამისად;

ი) დადგენილი წესით განახორციელებს ნებართვების გაცემას კინოთეატრებისა და კინოდანადგარების გახსნის და ექსპლუატაციის შესახებ, დამოუკიდებლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა; განახორციელებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კინოფილმების გაქირავების მონოპოლურ უფლებას; უზრუნველყოფს და კონტროლს გაუწევს იმას, რომ შესრულდეს კინოთეატრებისა და კინოდანადგარების ექსპლუატაციის ყველა სამინისტროსა, უწყებისა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო ტექნიკური ნორმები და წესები, ხოლო აღნიშნული ნორმების დარღვევის შემთხვევებში — შეწყვეტს ამ კინოთეატრებისა და კინოდანადგარების საქმიანობას;

კ) განახორციელებს ფილმების პირების მასობრივ ბეჭდვას მის მიერ დადგენილი ტირაჟებით, რომლებსაც საქართველოს სსრ ეკ-

რანებზე უშვებენ რესპუბლიკის კინოსტუდიები; განახორციელებს კონტროლს, რომ რესპუბლიკის ყველა კინოთეატრმა და კინოდანადგარმა, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, შეასრულოს კინოფილმების გაქირავების, მათი შენახვისა და ტექნიკური ექსპლუატაციის დადგენილი წესი და დამტკიცებული წესები;

ლ) განახორციელებს კონტროლს კინორეპერტუარისა და კინოფილმების დემონსტრაციისადმი სახელმწიფო კინოქსელის კინოთეატრებსა და კინოდანადგარებში, აგრეთვე ყველა სამინისტროს, უწყების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კინოქსელში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე; წარმართავს და კონტროლს გაუწევს მუშაობას საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა კინოხელოვნების პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის;

მ) განახორციელებს საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირთან ერთად, ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს კინოს შემოქმედებით მუშაკთა იდეური და მხატვრული ღონის ამალვებას და მათი შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერებას;

ნ) მოამზადებს და შეიტანს წინადადებებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კინემატოგრაფიის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ, აგრეთვე შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს ამ ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს, პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

ო) ხელს შეუწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას კინემატოგრაფიაში;

პ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების გადიდება, სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობა ფილმების შექმნის დროს და დაქვემდებარებულ საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება;

ჟ) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად აწარმოებს მუშაობას კინემატოგრაფიის დარგში სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, შეიმუშავებს სოციალისტური შეჯიბრების პირობებს და შეაჯამებს მის შედეგებს;

რ) დადგენილი წესით მიაკუთვნებს სატარიფო-საკვალიფიკაციო კატეგორიებს, აგრეთვე განიხილავს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს კინემატოგრაფიის შემოქმედებითი მუშაკებისათვის სატარიფო-საკვა-

ლიფიკაციო კატეგორიების მიკუთვნების საკითხებს; დადგენილი წესით განახორციელებს კინოსტუდიების სამხატვრო-საწარმოო, საშემსრულებლო და ადმინისტრაციულ-სამმართველო მუშაკთა ატესტაციას;

ს) დადგენილი წესით ჩაატარებს მუშაობას, კინემატოგრაფიის მუშაკთა კადრების შერჩევისა, განაწილებისა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისა, კვალიფიკაციის ამაღლებისა და აღზრდისათვის;

ტ) დადგენილი წესით ჩაატარებს საბრუნავი სახსრების, საამორტიზაციო ანარიცხების და კაპიტალური დაბანდებების გადანაწილებას კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, უზრუნველყოფს მათს დაფინანსებას და გაუწევს დროებით საფინანსო დახმარებას, აგრეთვე განიხილავს და დაამტკიცებს მათს ანგარიშებსა და ბალანსებს; ხელმძღვანელობს გაუწევს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას, გამომუშავების ნორმების გადასინჯვასა და დაცვას, შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების ღონისძიებათა განხორციელებას, შრომის კანონმდებლობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების შესრულებას დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. განახორციელებს კონტროლს მათ მიერ საფინანსო, საბიუჯეტო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვისადმი, ჩაატარებს მათი საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს; შეადგენს ნაკრებ პერიოდულ და წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის ყველა სახეობის საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი განახორციელებს კინოქსელისა და კინოფიკაციის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში კინოფიკაციის მთავარ სამმართველოს მეშვეობით, ხოლო კინოგაქირავეების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობას — ფილმების გაქირავეების საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მეშვეობით; ამის გარდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი განაგებს მისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებს: კინოსტუდია „ქართულ ფილმს“, საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიას და კინომექანიკოსთა სკოლას ქ. თბილისში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის ხელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თავმჯდომარის მოადგილეები და კომიტეტის წევრები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საქმიანობას სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათ შესასრულებლად; თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეამოწმებს მათ შესრულებას; შექმნის, გადააკეთებს და დადგენილი წესით გააუქმებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე საჭიროების შემთხვევებში შეცვლის მათს დაქვემდებარებას; დადგენილი წესით დაამტკიცებს დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ტიპობრივ შტატებსა და სტრუქტურას; დაამტკიცებს დებულებებს კომიტეტის მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წესდებებს (დებულებებს); დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომიტეტის აპარატის და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკებს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი თავის სხდომებზე განიხილავს და გადაწყვეტს უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკაში კინემატოგრაფიის განვითარებასთან. კინოხელოვნების მაღალიდურობი და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნასთან, მათი წარმოების ორგანიზაციის, მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებასთან, კინოწარმოებისა და კინოჩვენების ტექნიკის



სრულყოფასთან, შესრულების შემოწმებასთან, კადრების მომზადებასთან და აღზრდასთან, და სხვა საკითხებს, რომლებიც კომიტეტის კომპეტენციაში შედის.

კომიტეტის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

8. სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესა და კომიტეტის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, კომიტეტის თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კომიტეტის წევრებს კი თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურას და საშუალო რაოდენობას, აგრეთვე აპარატის შესანახ სახსრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

**61** საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ცხვრის ზონალური შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგემო კომიტეტმა (1964 წლის 18 მარტს № 31/28 ა-ცო) დაამტკიცა იმ ცხვრების ზონალური შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები, რომლებსაც სახელმწიფოს მიყიდიან საქართველოს სსრ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილების დანართი № 8 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ცხვრის შე-

სასყიდ და ჩასაბარებელ ფასებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მაისის № 363 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი აბზაცი.

2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ უზრუნველყოს სათანადო გადაანგარიშება იმ მეურნეობებთან, რომლებმაც გაყიდეს ცხვარი 1964 წლის 1 აპრილის შემდეგ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 მაისი, № 314.

## 62 ზესტაფონის სახალხო თეატრისათვის უ. ჩხეიძის სახელის მიეკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების და ზესტაფონის შპრო-მელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს ზესტაფონის სახალხო თეატრს უშანგი ჩხეიძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 5 ივნისი, № 336.

63 იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დაეკისროს დაჯილდოება ზეთოვანი კულტურების განვითარების საქმეში საუკეთესო მიღწევებისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 15 მაისის № 381 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:



1. დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სისტემის დუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სოფლის მეურნეობის და დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 29 აპრილის № 965 დადგენილების შესაბამისად, ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირა, სოია) განვითარების დარგში საუკეთესო მიღწევებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინოს საქართველოს სსრ ბიუჯეტით შესაბამისი სახსრები ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ მუშაკთა დასაჯილდოებლად.

1964 წელს (1963 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით) დაჯილდოება მოხდეს იმ ასიგნობათა ფარგლებში, რომლებიც საქართველოს სსრ ბიუჯეტით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დასაჯილდოებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 12 ივნისი, № 345.

**64** საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ პირუტყვის უმეტესად უფრო ძოვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დროს გახშირდა საავტომობილო გზების გასწვრივ პირუტყვის უმეტესად უფრო ძოვების შემთხვევები, რაც საფრთხეს უქმნის ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

ადგილობრივი საბჭოები, მილიციის ორგანოები და საგზაო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხს.

ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით შეუწყნარებელია რესპუბლიკაში ტურიზმის ფართოდ განვითარების პირობებში, როდესაც მნიშვნელოვნად ძლიერდება მოძრაობა მაგისტრალურ საავტომობილო გზებზე, სადაც გადის ტურისტული მარშრუტები.

საავტომობილო გზებზე ნორმალური და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ პირუტყვის (მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხენის, ცხვრის, ღორისა და სხვ.) ძოვება საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ შეიძლება წარმოებდეს:

ა) გზის ვაკისიდან 30 მეტრზე უფრო ახლოს — მხოლოდ დაბმული სახით;

ბ) გზის ვაკისიდან 30-დან 100 მეტრამდე მანძილზე — მხოლოდ მუდმივი მეთვალყურეობით.

2. ის პირები, რომლებიც დაარღვევენ საკავშირო და რესპუბლიკური საავტომობილო გზების გასწვრივ პირუტყვის ძოვების წესს, დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით 5 მანეთამდე.

ყოველი შემდგომი დარღვევისათვის დამნაშავე პირები დაჯარიმდებიან 5-დან 10 მანეთამდე.

ჯარიმას დაადებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

თუ ამ დარღვევებს თან მოჰყვა უბედური შემთხვევა (ადამიანის დაღუპვა, დაშავება ან სხვა მძიმე შედეგები), დამნაშავე პირები მანქანის მძღოლთან ერთად მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 241 და 242 მუხლების შესაბამისად.

3. დაკავებული პირუტყვი, იმ შემთხვევაში, თუ მისი პატრონის ვინაობა დადგენილი არ არის, ჩაბარდება უახლოეს საბჭოთა მეურნეობას ან კოლმეურნეობას, თანახმად წესებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 თებერვლის № 45 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „უზედამხედველო და ირაო პირუტყვის შესახებ“.

4. ამ დადგენილების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებს, მილიციის ორგანოებსა და საგზაო ორგანოებს.

5. დაევალეთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ პირუტყვის ძოვების მოწესრიგებისათვის;

ჩაატარონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ დადგენილებების შესრულების მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი. 1964 წ. 16 ივნისი, № 364.

**65** იმ ღონისძიებათა სისტემის გაფართოების შესახებ, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შუამდგომლობა იმ ღონისძიებათა სისტემის რამდენადმე გაფართოების შესახებ, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე, და შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს აღნიშნულ ღონისძიებათა იმ ნუსხის ქვეჩამოთვლილი პუნქტები, რაც დართული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 იანვრის № 47 დადგენილებას „1959 წლისათვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა 15-პროცენტიანი ანარიცხების ხარჯვისა და განაწილების წესის შესახებ“.

„5. კოლმეურნეობათა ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უფროსების, აგრეთვე შოფრების (მოტორისტების) მომზადების სუბსიდირება, რომლებიც მომსახურებას უწევენ სახანძრო ტექნიკას, იმ პირობითა სამგზავრო ხარჯებისა და დღიურების ანაზღაურების ჩათვლით, რომლებიც იმყოფებიან სასწავლო შეკრებებსა და კურსებზე, იმ წესითა და ოდენობით, რასაც დააწესებს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით“.

„7. ერთდროული დახმარების მიცემა ოჯახისათვის იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო (საკოლმეურნეო) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის ან ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების გამსვლელი

რაზმის წევრი გარდაიცვალა ხანძრის ქრობის დროს, აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობის დროს, ხანძრის ჩასაქრობად წასვლისა და უკან დაბრუნების დროს, ან სასოფლო (საკოლმეურნეო) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის (ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების გამსვლელი რაზმის) წევრისათვის, რომელიც ინვალიდი გახდა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მუშაობის დროს“.

„9. ვეტერინარული სამკურნალოების და ვეტერინარული ლაბორატორიების, ვეტერინარული საწყობების, ვეტერინარული აფთიაქების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი“.

„10. ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის შექმნა ვეტერინარული სამკურნალოებისა და ვეტერინარული ლაბორატორიებისათვის“.

„11. ზოოვეტერინარული ქსელისათვის გამოყოფილი ავტოსადეზინფექციო დანადგარების, სალაშქრო ვეტერინარული ლაბორატორიებისა და ამბულატორიების შექმნა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 16 ივნისი, № 365.

**66** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 სექტემბრის № 664 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 26 სექტემბერს მიიღო დადგენილება № 664 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ბიუროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის გამგებლობაში გადაცემის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) პუნქტი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 თებერვლის № 141 დადგენილებისა „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხები“;



ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 ოქტომბრის № 825 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 თებერვლის № 141 დადგენილების — „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხები“ — ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე.**

ქ. თბილისი. 1964 წ. 25 ივნისი, № 373.

**67** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 მაისის № 256 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

„ხილისა და ბოსტნეულის დამზადების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 მაისის № 256 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) პუნქტი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 11 ოქტომბრის № 581 დადგენილებისა „საკონსერვო მრეწველობის ზონებში ხილის დასამზადებლად ცეკავშირის დაშვების შესახებ“;

ბ) პუნქტები 1 და 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 იანვრის № 87 დადგენილებისა „ხილის, ბოსტნეულის და კარტოფილის დამზადებისა და რეალიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ იმ ცვლილებებით, რომლებიც შეტანილია 1959 წლის 1 აპრილის № 245 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე.**

ქ. თბილისი. 1964 წ. 25 ივნისი, № 374.

## 68 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის ტემბრის № 664 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 სექტემბრის № 664 დადგენილებას „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ბიუროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის გამგებლობაში გადაცემის შესახებ“ პუნქტი 2 შემდეგი შინაარსისა:

„2. მმაჩის ბიუროს გამგეებსა და მმაჩის ორგანოების სხვა მუშაკებს ნიშნავენ და ათავისუფლებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან წინასწარ შეთანხმებით“.

3. დადგენილების მე-2 პუნქტი ჩაითვალოს მე-3 პუნქტად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ზ. ჯაშახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. შირაქაძე**.

ქ. თბილისი. 1964 წ. 25 ივნისი, № 375.

## 69 უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაუსწრებელი და სა- ლამოს განათლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა უმაღლესი საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ და სალამოს განყოფილებებზე სწავლობს 46.130 კაცი — მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 66,1 პროცენტი, ხოლო საშუალო სპეციალური სასწავლებლების იმავე განყოფილებებზე — 11.172 კაცი — 33,9 პროცენტი.

რამდენადმე გაუმჯობესდა სასწავლო-მატერიალური ბაზა და სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა დაუსწრებელ და სალამოს ზოგადტექნიკურ ფაკულტეტებსა და სასწავლო-საკონსულტაციო



პუნქტებში, რამაც აამაღლა მომზადების ხარისხი, აგრეთვე გააძლიერა იმ სპეციალისტთა რაოდენობა, რომლებმაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრეს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში საღამოს და დაუსწრებელი განათლების დაყენებას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს, რაც ამცირებს სპეციალისტთა მომზადების ამ ფორმის ეფექტიანობას.

მთელი რიგი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დაუსწრებელი და საღამოს განყოფილებები, ზოგადტექნიკური ფაკულტეტები და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები ცუდად არიან უზრუნველყოფილი სადგომებით, სასწავლო ლაბორატორიებით, მოწყობილობით, აპარატურითა და ინვენტარით; მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, რომლებთანაც ეს განყოფილებები არსებობენ, სათანადო დახმარებას არ უწყევენ მათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში.

მასწავლებელთა საგრძნობ რაოდენობას (63 პროცენტამდე), რომლებიც პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტებთან, არა აქვს სამეცნიერო წოდება და ხარისხი; დაბალ დონეზეა ზოგიერთი მათგანის სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა, ხოლო სასწავლებლების რექტორატები, დეკანატები და კათედრები არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებების მოსწავლეები საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურითა და პროგრამებით, განსაკუთრებით ქართულ ენაზე. 2.250 დისციპლინიდან, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან, 1.500 დისციპლინისათვის არ მოიპოვება სახელმძღვანელოები და სასწავლო დამხმარე წიგნები ქართულ ენაზე.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა შედეგად, იმ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, დაღნიშნულ ვადაში ვერ ამთავრებს სწავლების სრულ კურსს, ხოლო იმ სპეციალისტთა თეორიული მომზადების ხარისხი, რომლებმაც მიიღეს განათლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, მთელ რიგ შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 285 დადგენილება „უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაუ-

სწრებელი და სალამოს განათლების შემდგომი გაუმჯობესების სახეობა“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა:

ა) დაუსწრებელი და სალამოს განყოფილებების სტუდენტთა და მოსწავლეთა შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით, მიიღონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დაუსწრებელ და სალამოს განყოფილებებზე პირველ რიგში ის პირები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს შესასვლელი გამოცდები და მუშაობენ სხვადასხვა ადგილას უმაღლეს სასწავლებელში არჩეული სპეციალობის მიხედვით.

ბ) გაითვალისწინონ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პროფესორებისა და ყველაზე კვალიფიციური მასწავლებლების უფრო ფართოდ მოზიდვა სტუდენტებთან და მოსწავლეებთან სასწავლო მეცადინეობისათვის სასწავლებლების დაუსწრებელ და სალამოს განყოფილებებზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს:

ა) იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების თვითეული სტუდენტი და მოსწავლე სახელმძღვანელოებით, სასწავლო დამხმარე წიგნებით, აგრეთვე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით, მოამზადოს დასაბეჭდად ორიგინალური, ნათარგმნი სახელმძღვანელოები და სხვა ლიტერატურა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს ამ სახელმძღვანელოების გამოცემა (დანართის თანახმად) საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების თანაბრად პირველ რიგში.

სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემის ტირაჟების დაწესებისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელ-

მწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს ამ ლიტერატურაზე აღნიშნული ლიტერატურული მოთხოვნები;

ბ) შეადგინოს და დაამტკიცოს 1965-66 სასწავლო წლისათვის სასწავლო რადიო და სატელევიზიო გადაცემათა თემატიკური გეგმა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მოაგვაროს ამ გადაცემების მოწყობა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად 1964-1965 სასწავლო წლის დაწყებამდე გაათავისუფლოს მობინადრეებისაგან ის შენობა, რომელიც ქ. რუსთავში უჭირავს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილების ზოგადტექნიკურ ფაკულტეტს;

ბ) გადასცეს ეს შენობა ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკითხი, რომ დაპროექტდეს და აშენდეს სასწავლო ლაბორატორიები და კორპუსები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ზოგადტექნიკური ფაკულტეტებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისათვის ქუთაისის საავტომობილო ქარხანასთან, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან, თბილისის ელექტრომაგალსაშენებელ ქარხანასთან, საფოსტო ყუთის 51 ორგანიზაციასთან, აგრეთვე რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის სასწავლო სახელოსნო, სასწავლო კორპუსები მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების ფილიალისათვის საფოსტო ყუთი 51 ორგანიზაციასთან და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის ქუთაისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტისათვის.

5. დაევალოს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1964-65 სასწავლო წლის დაწყებამდე გაათავისუფლოს მობინადრეებისაგან ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის მიერ დაკავებული შენობა იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნას განთავისუფლებული ფართობი ტექნიკუმის საღამოს განყოფილებისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, ქალაქის ფონდებზე განაცხადების შედგენისა და მათი განაწილების დროს გაითვალისწინოს, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას დანართში აღნიშნული სახელმძღვანელოების, სასწავლო დამხმარე წიგნებისა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს განიხილონ იმ დანახარჯების 1965 წელს დაფინანსების წყაროების საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემასთან, და თავისი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გადააკეთოს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტად, გააფართოოს იგი მუშაკთა იმ საერთო რაოდენობის, ხელფასის ფონდისა და სხვა ასიგნობათა ხარჯზე, რომლებიც დამტკიცებულია 1964 წლისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბიუჯეტით უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესანახად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე.**



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 26 ივნისის № 379  
დადგენილების დანართი

**დავალებათა**

სახელმძღვანელოების გამოშვებისა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის

1966 წელი	— 220	სახელწოდ.	მოცულ.	4400	ნაბეჭდი ფურცელი
1967	— 240	"	"	4800	" "
1968	— 260	"	"	5200	" "
1969	— 280	"	"	5600	" "
1970	— 300	"	"	6000	" "

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ა. ჰირაქაძე.

ასლი

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო  
დადგენილება № 285**

1964 წლის 9 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაუსწრებელი და საღამოს განათლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სპეციალისტების მომზადება სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის წარმოებისაგან მოუწყვეტილად მშრომელთა ფართო მასების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა გახდა. ამასთან დაკავშირებით, უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაუსწრებელი და საღამოს განათლების შემდგომი გაუმჯობესება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს. ამჟამად უმნიშვნელოვანად გაფართოვდა დაუსწრებელი და საღამოს ფაკულტეტებისა და განყოფილებების ქსელი, მათში სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა საერთო კონტინგენტის

ნახევარზე მეტს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაიზარდა სპეციალისტთა რიცხვი, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, ბევრ მათგანს ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია. 1963 წელს ასეთი სპეციალისტების გამოშვება შეადგენდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან სპეციალისტთა საერთო გამოშვების 37 პროცენტს.

მთელ რიგ საწარმოებსა და ცალკეულ ორგანიზაციებში მეტი ყურადღება ექცევა მუშაკთა სწავლებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

მაგრამ, ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სპეციალისტთა მომზადების საქმეს ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი დანიშნულ ვადაში ვერ ამთავრებს სწავლების სრულ კურსს; ადგილი აქვს სტუდენტთა და მოსწავლეთა დიდ განთესვას, განსაკუთრებით უმცროს კურსებზე; იმ სპეციალისტთა თეორიული მომზადების ხარისხი, რომლებმაც განათლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღეს, მთელ რიგ შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს.

დაუსწრებელ და საღამოს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღებისას საკმაოდ არ ითვალისწინებენ შემსვლელთა სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას; დაუსწრებელი სასწავლებლების სტუდენტები და მოსწავლეები არაა დამაკმაყოფილებლად არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებითა და სასწავლო დამხმარე წიგნებით; ამ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხავად და სხვა სახის სასწავლო მეცადინეობის ჩასატარებლად ცოტა რაოდენობით იწვევენ პროფესორებს, კვალიფიციურ მასწავლებლებსა და წარმოების სპეციალისტებს; ძალიან მცირეა ლექციების გადაცემა რადიოთი და ტელევიზიით იმ პირობათვის, რომლებიც საღამოსა და დაუსწრებელ სასწავლებლებში სწავლობენ.

დაუსწრებელ და საღამოს განათლებას აგრეთვე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბევრი ხელმძღვანელი; ცალკეული ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოო და საზოგადოებრივი დავალებებით ტვირთავენ მუშაკებს, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, არ უქმნიან მათ საჭირო პირობებს სწავლებისათვის, დროზე არ გადაჰყავთ ისინი ერთი თანამდებობიდან მეო-



რეზე კვალიფიკაციის ამალღების მიხედვით, არ ეხმარებასაქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომ უფრო წარმატებით დაეუფლონ წარმოების ტექნიკას, ტექნოლოგიას და ორგანიზაციას მუშაობის ადგილზე.

არსებული სასწავლო-მატერიალური ბაზა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ უზრუნველყოს დაუსწრებელ და საღამოს სასწავლებლებში მოსწავლეთა გაზრდილი კონტინგენტის ნორმალური მეცადინეობა. ბევრი სახალხო მეურნეობის საბჭო და საწარმო სუსტად ეხმარება სასწავლებლებს სასწავლო და ლაბორატორიული ბაზის შექმნის საქმეში; სრულად ვერ იყენებს მინიჭებულ უფლებებს — გამოუყონ სასწავლებლებს სადგომები ფილიალებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მოსაწყობად, გადასცენ მათ ლაბორატორიული და სხვა მოწყობილობა. ახალი ფილიალები, განსაკუთრებით სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები, ხშირად ისე ეწყობა, რომ მათთვის არ არის გამოყოფილი შესაბამისი სადგომები. ყოველთვის როდია შექმნილი საჭირო პირობები მათი ნორმალური მუშაობისათვის.

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაუსწრებელი და საღამოს განათლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და სახალხო მეურნეობის საბჭოებს, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ:

ა) უზრუნველყონ დაუსწრებელი და საღამოს განათლების შემდგომი გაფართოება, რისთვისაც უმთავრესად განამტკიცონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების არსებული ფილიალები, ზოგადტექნიკური, ზოგადსამეცნიერო და სხვა ფაკულტეტები და განყოფილებები, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები და შექმნან ახლები მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოებთან, აგრეთვე დიდ საბჭოთა მეურნეობებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან;

ბ) შეიტანონ მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სოფლის მეურნეობის დიდი საწარმოების მშენებლობის გენერალურ გეგმებში სასწავლო ლაბორატორიული და სხვა შენობების მშენებლობა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავ-

ლებლების დაუსწრებელი და საღამოს ფილიალებისათვის, სტუდენტური, ზოგადსამეცნიერო და სხვა ფაკულტეტებისა და განყოფილებებისათვის, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისათვის იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რომლებიც გამოიყოფა სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების მიხედვით;

გ) მიიღონ ზომები უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაუსწრებელი და საღამოს სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, გამოყონ საჭირო სადგომები სასწავლო მიზნებისათვის, მოწყობილობა-ლაბორატორიებისა და სასწავლო კაბინეტებისათვის და შესაბამისი კაპიტალური დაბანდებანი.

2. დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალოს სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მათი მომზადების თეორიული და პრაქტიკული დონის ამაღლების მიზნით, დაევალოთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ:

ა) მიიღონ დაუსწრებელი და საღამოს სწავლებისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, განსაკუთრებით ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სპეციალობაზე პირველ რიგში ის პირები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს შესასვლელი გამოცდები და მუშაობენ სასწავლებელში არჩეული ან მონათესავე სპეციალობის მიხედვით;

ბ) შექმნან პირობები მუშაკთა მოსამზადებლად უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდებისათვის, რისთვისაც მოაწყონ დადგენილი წესით საწარმოებთან მოსამზადებელი კურსების ფართო ქსელი;

გ) მიიღონ ზომები, რათა უფრო ფართოდ იქნან მოზიდული პროფესორები, ყველაზე კვალიფიციური მასწავლებლები და წარმოების სპეციალისტები სტუდენტებთან სასწავლო მეცადინეობის ჩასატარებლად დაუსწრებელ და უმაღლეს სასწავლებლებში.

3. იმ მიზნით, რომ სრულად და სისტემატურად იქნან უზრუნველყოფილი დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებების სტუდენტები და მოსწავლეები სახელმძღვანელოებით, დამხმარე სასწავლო წიგნებითა და სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი



სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების დირექტორთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ, უზრუნველყონ სასწავლო წლის დამდეგისათვის დაუსწრებლად მოსწავლე თვითეული სტუდენტი და მოსწავლე საჭირო სახელმძღვანელოების, დამხმარე სასწავლო წიგნებისა და სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის სრული კომპლექტით;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა:

უზრუნველყოს პირველ რიგში, საშუალო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემასთან ერთად, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო წიგნების, აგრეთვე სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის გამოცემა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის, ამასთან დააწესოს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, სასწავლო ლიტერატურის ტირაჟები იმ სტუდენტთა და მოსწავლეთა საერთო კონტინენტის გათვალისწინებით, რომლებმაც ამ ლიტერატურით უნდა ისარგებლონ.

გახსნას 1964-1965 წლებში მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და იმ ქალაქებში, რომლებსაც აქვთ უნივერსიტეტები და დიდი სასწავლებლები, სპეციალური მაღაზიები განყოფილებით „წიგნი-ფოსტით“ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო წიგნების გასაყიდად.

უზრუნველყოს წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებსა და უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს შორის დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, გამოსაცემ სასწავლო ლიტერატურაზე შეტანილი განაცხადების დაკმაყოფილება პირველ რიგში.

უზრუნველყოს გამოსაცემი სტაბილური სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო წიგნების მატრიცების დამზადება და შენახვა დამატებითი ტირაჟების დასაბეჭდად, თუ ეს საჭირო გახდა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გეგმებით ქალაქის ფონდების გამოყოფა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისათვის, იმ ანგარიშით, რომ სრულად იქნან უზრუნველყოფილი სტუდენტები და მოსწავლეები საჭირო ლიტერატურით;

გ) ნება დაერთოს უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს შეიძინონ ორგანიზებული წესით საბითუმო საწყობებში სავაჭრო ფასდაკლებით სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო

წიგნები, დახარჯონ ამ მიზნისათვის სასწავლო ხარჯებისა და ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შესაძენად გაღებულ ასიგნობათა 20 პროცენტამდე სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვით და მიჰყიდონ ისინი დაუსწრებლად მოსწავლე სტუდენტებსა და მოსწავლეებს, აღნიშნულ ასიგნობათა სათანადო ანაზღაურებით.

4. დაევალოთ დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს — შეიმუშაონ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით, განათლების შესაბამისი დარგის სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაცია დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის. იმ სასწავლებლების უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, რომლებშიაც ისინი სწავლობენ. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ:

ფართოდ გამოიყენონ სტაციონარული სასწავლებლების სასწავლო მატერიალური ბაზა, განსაკუთრებით ლაბორატორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სწავლებისათვის.

მოაწესრიგონ დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფილიალებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ქსელი, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა აღმოიფხვრას გაუმართლებელი პარალელიზმი დაუსწრებელ და სტაციონარულ სასწავლებლებში კადრების ერთსა და იმავე სპეციალობაზე მომზადების საქმეში.

5. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს მოაწიოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მონაწილეობით სისტემატური სასწავლო გადაცემები რადიოთი და ტელევიზიით დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის.

6. დაეკისროს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისათვის სასწავლო კინოფილმების მომზადების კოორდინაცია სასწავლებლების, უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად, შეიმუშაოს სასწავლო და სამეცნიერო ფილმების კინოგაქირავეების ერთიანი სისტემა.

7. რჩევა მიეცეთ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ღრმად ათვისებისა და საკმაო პრაქტიკული ჩვევების მიღების მიზნით, გადაადგილონ, როგორც წესი, მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე პირები სამუშაო ადგილებსა და თანამდებობებზე უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის შეძენის კვალობაზე წარმოებისაგან მოუწყვეტილ სწავლების პროცესში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 19 მარტის № 304 დადგენილების დამატებით უფლება მიენიჭოთ იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომლებთანაც იქმნება საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფილიალები და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები, უსასყიდლოდ გამოუყონ საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფილიალებს და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებს სასწავლო მიზნებისათვის სადგომები, მოწყობილობა და მასალები, აგრეთვე განახორციელონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ძალებით და მათი სახსრების ხარჯზე ამ ფილიალებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისათვის გამოყოფილი სადგომების სამეურნეო მომსახურება და რემონტი.

8. ნება დაერთოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გადააკეთოს საშუალო სპეციალური განათლების ცენტრალური მეთოდური კაბინეტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტად.

9 უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეთანხმებით შეცვალოს, როგორც გამონაკლისი, დამატებითი შვებულების ხანგრძლიობა კურსებზე ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების პერიოდში, სპეციალობის გათვალისწინებით, უმაღლესი და საშუალო სპეციალური

სასწავლებლების (ფაკულტეტების, განყოფილებების) სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის სწავლების მთელი ვადისათვის, ამ შვებულებათა საერთო ხანგრძლიობის ფარგლებში.

10. ნება დაერთოს საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს აძლიონ შვებულება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს, რომლებიც სამუშაოზე იმყოფებიან და ამავე დროს სწავლობენ დაუსწრებელ ან საღამოს სასწავლებლებში, სამუშაოს დაწყებიდან 11 თვის გასვლამდე, ნამუშევარი დროის პროპორციულად, არდადეგების პერიოდში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიბინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

**70** იმ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და რთული მანქანების ნუსხების დამტკიცების შესახებ, რომელთა წარმოებისა და გამოყენების მაჩვენებლები უნდა დაედოს საფუძვლად „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციათა მუშაკების საქმიანობის შეფასებას დაჯილდოების დროს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ნუსხები საქართველოს სს რესპუბლიკის ცალკეული რაიონების სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტებისა და რთული მანქანებისა, რომელთა წარმოებისა და გამოყენების მაჩვენებლები უნდა დაედოს საფუძვლად რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციათა მუშაკების საქმიანობის შეფასებას დაჯილდოების დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე.**



და მთავრობის  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 26 ივნისის № 383  
დადგენილებით

## ნ უ ს ხ ა

საქართველოს სს რესპუბლიკის ცალკეული რაიონების სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტებისა, რომელთა წარმოების მაჩვენებლები უნდა დაედოს საფუძვლად „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციათა მუშაკების საქმიანობის შეფასებას დაჯილდოების დროს

„საქსოფლტექნიკის“

სისტემის

ორგანიზაციები:

სას. სამ. პროდუქტები და ნედლეული:

„აფხაზსოფლ-  
ტექნიკის“

— ხორცი, რძე, კვერცხი, ჩაი, თამბაქო, ხილი, ციტრუსები ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული, აბრეშუმის პარკი, დაფნა, მარცვალი, ტუნგო, ყურძენი, ბოსტნეული

„აჭარსოფლ-  
ტექნიკის“

— ხორცი, რძე, კვერცხი, ჩაი, თამბაქო ხილი, ციტრუსები, ტუნგო, მარცვალი.

„სამხრეთ ოსეთის-  
სოფლტექნიკის“

— მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ხილი, შაქრის ჭარხალი, ყურძენი, ბოსტნეული

რაიონული

გაერთიანებები:

გურჯაანის

— მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ყურძენი

ყვარლის

— მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი მატყლი, ყურძენი, ხილი, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული, აბრეშუმის პარკი, თამბაქო

თელავის

— მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ყურძენი, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული, აბრეშუმის პარკი, ხილი

- გარდაბნის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ბოსტნეული, ხილი
- ახალქალაქის — მარცვალი, ხორცი რძე, კვერცხი, მატყლი, კარტოფილი
- თეთრიწყაროს — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, კარტოფილი ბოსტნეული, ხილი
- ბოლნისის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ყურძენი, თამბაქო, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული, კარტოფილი, ბოსტნეული
- ახალციხის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი
- სიღნაღის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ყურძენი
- გორის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ხილი, შაქრის ჭარხალი, ყურძენი, ბოსტნეული
- ხაშურის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ხილი, ყურძენი
- დუშეთის — ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი
- გეგეჭკორის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ჩაი, აბრეშუმის პარკი, ეთერზეთები, ყურძენი
- ზესტაფონის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ყურძენი, აბრეშუმის პარკი
- საჩხერის — ხორცი, რძე, კვერცხი, ყურძენი, მარცვალი
- წყალტუბოს — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ჩაი, ბოსტნეული, ხილი, აბრეშუმის პარკი, ყურძენი, დაფნა
- წულუკიძის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ჩაი, ბოსტნეული, ხილი, აბრეშუმის პარკი, დაფნა, ყურძენი
- შიაკოვსკის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ყურძენი, ხილი, აბრეშუმის პარკი, დაფნა
- მახარაძის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ჩაი, ხილი, ციტრუსები, აბრეშუმის პარკი, დაფნა, ტუნგო, ყურძენი



- ცხაკაიას — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, აბრეშუმის პარკი, დაფნა, ეთერზეთები, ტუნგო, ყურძენი, ხილი
- ამბროლაურის — ხორცი, რძე, კვერცხი, ყურძენი, ხილი, მარცვალი
- ზუგდიდის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ჩაი, აბრეშუმის პარკი, დაფნა, ხილი, ყურძენი, ტუნგო
- ლანჩხუთის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ჩაი, ხილი, აბრეშუმის პარკი, ტუნგო
- მცხეთის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ბოსტნეული, ყურძენი, ხილი, შაქრის ჭარხალი
- საგარეჯოს — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ყურძენი, ბოსტნეული, ხილი

#### განყოფილებები:

- ახმეტის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ყურძენი
- წითელწყაროს — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ყურძენი
- ლაგოდეხის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, თამბაქო, ეთერზეთები, ხილი, ბოსტნეული
- კასპის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ხილი, შაქრის ჭარხალი, ყურძენი, ბოსტნეული
- წალკის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, კარტოფილი
- თიანეთის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, კარტოფილი
- ვანის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ბოსტნეული, ყურძენი, დაფნა, ხილი
- სართიჭალის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ყურძენი, ხილი, ბოსტნეული
- აგარის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, შაქრის ჭარხალი

- მარნეულის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, თამბაქო, ბოსტნეული, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული, ყურძენი
- თერჯოლის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, ყურძენი
- აბაშის — მარცვალი, ხორცი, რძე, კვერცხი, აბრეშუმის პარკი, ეთერზეთები, ბოსტნეული,
- ჩრდილოეთ კავკასიის — ხორცი, რძე, მატყლი, თევზი
-



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 26 ივნისის № 383  
დადგენილებით

**ნ უ ს ხ ა**

რთული მანქანებისა, რომელთა მწარმოებლურობის გადიდებისათვის დაჯილდოვდებიან „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანება-განყოფილების მუშაკები

გაერთიანება-განყოფილებების დასახელება	სამუშაოს დასახელება	რთული მანქანების დასახელება
1. „აფხაზსოფლტექნიკა“	საგაზაფხულო ხენა ჩაის კრეფა სიმინდის აღება სასილოსე მასის აღება ჩაის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება	ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ სიმინდის ასაღები კომბაინი კკბ-3 სასილოსე მასის ასაღები კომბაინი სკ-2,6 ტრაქტორი ს-80, ს-100
2. აჭარსოფლტექნიკა“	საგაზაფხულო ხენა ჩაის კრეფა ჩაის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება	ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ ტრაქტორი ს-80, ს-100
3. „სამხრეთ ოსეთსოფლტექნიკა“	საგაზაფხულო ხენა საშემოდგომო ხენა მზრალად ხენა თავთვიანი კულტ. აღება სასილოსე მასის აღება	ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100 ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100 ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100 მარცვ. ასაღები კომბაინი ს-6, სკ-3, სკ-4 სასილოსე მასის ასაღები კომბაინი სკ-2,6
4. გურჯაანის, ყვარლის, თელავის, გარდაბნის გაერთიანებები	ვენახის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება ვენახის ხენა საგაზაფხულო ხენა საშემოდგომო ხენა მზრალად ხენა თავთვიანი კულტ. აღება სასილოსე მასის აღება სიმინდის აღება	ტრაქტორი ს-80, ს-100 ტ-50 ვ დტ-54, ს-100, ს-80 " " " " " " მარცველულ. ასაღები კომბაინი ს-6, სკ-3, სკ-4 სასილოსე მასის ასაღ. კომბ. სკ-2,6 სიმინდის ასაღები კომბ. კკბ-3

გაერთიანება-განყოფილებების დასახელება	სამუშაოს დასახელება	როული მანქანების დასახელება
5. ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, ახალციხის, სიღნაღის, გორის, ხაშურის, დუშეთის გაერთიანებები	<p>საგაზაფხულო ხენა</p> <p>საშემოდგომო ხენა</p> <p>მზრალად ხენა</p> <p>თავთავიანი კულტურების აღება</p> <p>სასილოსე მასის აღება</p> <p>სიმიონდის აღება</p>	<p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>მარცვ. კომბიანი ს-6, სკ-3, სკ-4</p> <p>სასილოსე მასის ასაღები კომბიანი სკ-2,6</p> <p>სიმიონდის ასალ. კომბ.</p> <p>კვხ-3</p> <p>ტრაქტორი ს-80, ს-100</p>
6. გეგეპკორის ზესტაფონის, წყალტუბოს, სამტრედიის, შაიაკოვსკის, მახარაძის, ცხაკაიას, ზუგდიდის და ლანჩხუთის გაერთიანებები	<p>ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად ვენახების მომზადება</p> <p>საგაზაფხულო ხენა</p> <p>ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა</p> <p>სასილოსე მასის აღება</p> <p>სიმიონდის აღება</p>	<p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“</p> <p>სასილოსე მასის ასაღები კომბიანი სკ-2,6</p> <p>სიმიონდის ასაღები კომბ.</p> <p>კვხ-3</p> <p>ტრაქტორი ს-80, ს-100</p>
7. საჩხერის გაერთიანება	<p>ჩაის გაშენებისათვის ნიადაგის მომზადება</p> <p>საგაზაფხულო ხენა</p> <p>სასილოსე მასის აღება</p> <p>სიმიონდის აღება</p>	<p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>სასილოსე მასის ასაღები კომბ. სკ-2,6</p> <p>სიმიონდ. ასალ. კომბ. კვხ-3</p>
8. წითელწყაროს, ახმეტის, ლაგდეხის, საგარეჯოს, მცხეთის, კასპის, თიანეთის, სართიჭალის, აგარის და მარნეულის გაერთიანება-განყოფილებები	<p>საგაზაფხულო ხენა</p> <p>საშემოდგომო ხენა</p> <p>მზრალად ხენა</p> <p>თავთავიანი კულტურების აღება</p> <p>სასილოსე მასის აღება</p> <p>სიმიონდის აღება</p>	<p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>მარცვ. ასალ. კომბიანი ს-6, სკ-3, სკ-4</p> <p>სასილოსე მასის ასაღები კომბ. სკ-2,6</p> <p>სიმიონდის ასალ. კომბ.</p> <p>კვხ-3</p> <p>ტრაქტორი ს-80, ს-100</p>
9. წალკის	<p>ვენახისა და ბაღების გასაშენებლად ნიადაგის მომზადება</p> <p>საგაზაფხულო ხენა</p> <p>თავთავიანი კულტურების აღება</p> <p>სასილოსე მასის აღება</p>	<p>ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100</p> <p>მარცვ. ასალ. კომბ. ს-6, სკ-3, სკ-4</p> <p>სასილოსე მასის ასალ. კომბ. სკ-2,6</p>

გაერთიანება-განყოფილებების დასახელება	სამუშაოს დასახელება	რთული მანქანების დასახელება
10. ვანის თერჯოლის, ამბროლაურის	საგაზაფხულო ხენა სასილოსე მასის აღება სიმინდის აღება	ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100 სასილოსე მასის ასაღები კომბ. სკ-2,6 სიმინდის ასაღ. კომბ. კკ-3 ტრაქტორი ს-80, ს-100
11. აბაშის	ვენახის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება საგაზაფხულო ხენა ჩაის კრეფა სასილოსე მასის აღება სიმინდის აღება	ტრაქტორი დტ-54, ს-80, ს-100 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ სასილოსე მასის ასაღ. კომბ. სკ-2,6 სიმინდის ასაღ. კომბ. კკ-3
12. „საქსოფლტექნიკის“ განყოფილება ჩრდილოეთ კავკასიაში	თივის აღება	სათიბი სკ-2,1 — სკნ-2,1

**71** საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1964 წლის 1 ივნისიდან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 ივნისი, № 386.

დ ა მ ტ კ ი ც ი ა  
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1964 წლის 26 ივნისის № 386  
 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

### I. ძირითადი ამოცანები

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის ძირითადი ამოცანებია: კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სისტემისა და უწყების საბითუმოდ საცალო ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათ მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულების საქმეში — არ დაუშვან ისეთი საქონლის მიღება, მოსაზღვრებისათვის მიწოდება და მიყიდვა, რომლის გამომუშავების დროს დარღვეულია სახელმწიფო სტანდარტები, ტექნიკური პირობები, დამტკიცებული ნიმუშები, საწარმოო რეცეპტურები, ტექნოლოგიური ინსტრუქციები და სხვა ტექნიკური დოკუმენტაცია, ნაკეთობათა შეფუთვის, მარკირების, გარეგანი გაფორმების წესებისა და სასაქონლო სახის უზრუნველყოფის ჩათვლით;

შეამოწმოს პროდუქციის შენახვის პირობები და განახორციელოს ამ პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი;

შეამოწმოს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი უშუალოდ სამრეწველო საწარმოებში, ბაზებში, საწყობებსა და ექსპედიციებში, მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ცუდი ხარისხის პროდუქციის გაგზავნა სავაჭრო ქსელში და სხვა დანიშნულებით;

კონტროლი გაუწიოს იმას, თუ როგორ იცავენ საბითუმო, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები და საწარმოები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ვაჭრობის მარეგულირებელ კანონმდებლობას; კონტროლი გაუწიოს დაწესებული საცალო ფასებისა და ფასნამატის დაცვას, საქონლის მიცემას მყიდველებისათვის წმინდა წონით და სრული ზომით, აგრეთვე მყიდველებთან ანგარიშის წესიერად გასწორებას მიყიდული საქონლისათვის; საწონი და საზომი ხელსაწყოების მდგომარეობას და მათ სწორად სარგებლობას, ვაჭრობის დადგენილი წესების შესრულებას საცალო სავაჭრო ქსელში და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში;

განიხილოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საქონლის დაბალი ხარისხის, უწყესიერობისა და ბოროტმოქმედების შესახებ შემოსული საჩივრები, აგრეთვე მიიღოს გადაწყვეტილებანი ამ საჩივრების გამო.

## II. ინსპექციის უფლებანი და მოვალეობანი:

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექცია მოვალეა:

ა) აწარმოოს სტანდარტების, ტექნიკური პირობების, რეცეპტურებისა და ტექნოლოგიური ინსტრუქციების დაცვის ერთჯერადი შემოწმება, ყველა სისტემისა და უწყების იმ საწარმოებში, რომლებიც ამზადებენ სახალხო მოხმარების სამრეწველო, სასურსათო და არასასურსათო საქონელს, თუ მოიპოვება ფაქტები, რომ ეს საწარმოები ამზადებენ არასტანდარტულ და ცუდი ხარისხის საქონელს:

ბ) განახორციელოს ყველა სისტემისა და უწყების მაცივრებში, საბითუმო ბაზებში, საწყობებსა და საცალო სავაჭრო საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის ამორჩევითი შემოწმება, კონტროლი გაუწიოს იმას, თუ რამდენად იცავენ აღნიშნული სა-

წარმოების მუშაკები პროდუქციის მიღების, გაგზავნის, შეფუთვის, შენახვის წესებსა და რეალიზაციის ვადებს;

გ) გასინჯოს საიმპორტო საქონლის ხარისხი სავაჭრო ორგანიზაციების მიერ მისი ხარისხიანობის დადგენის სისწორისადმი კონტროლის წესით საერთო-საკავშირო სახელმწიფო სტანდარტების ან რესპუბლიკური ტექნიკური პირობების შესაბამისად (თუ მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ არ არის გაკეთებული შენიშვნა მიმწოდებლის ხელშეკრულებებსა და კონტრაქტებში), აგრეთვე აძლიოს დასკვნები ამ საქონლის ხარისხის შესახებ, თუ წამოიჭრა უთანხმოება საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციებსა და მყიდველებს შორის;

დ) მიიღოს მონაწილეობა რკინიგზების იმ საკონტროლო პუნქტების მუშაობაში, რომლებიც შეიქმნება დიდ სადგურებში, გადასაზიდი სწრაფფუტეხადი ტვირთების ხარისხობრივი მდგომარეობის შესამოწმებლად და რკინიგზების თხოვნით აძლიოს ცალკეულ შემთხვევებში დასკვნები არატრანსპორტტაბელური ტვირთების შემდგომი გადაზიდვის შესაძლებლობის ან დამუშავებისა და რეალიზაციისათვის მათი გაჩერების აუცილებლობის შესახებ;

ე) მონაწილეობა მიიღოს სამხატვრო საბჭოებისა და სადგუსტაციო კომისიების სხდომებში. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენელი არ ეთანხმება სამრეწველო საქონლის სამხატვრო საბჭოს ან სასურსათო საქონლის სადგუსტაციო კომისიის გადაწყვეტილებას, პროდუქცია არ გაიშვება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ნებადაურთველად;

ვ) შეამოწმოს, თუ რამდენად იცავენ ყველა სისტემისა და უწყების საბითუმო და საცალო სავაჭრო საწარმოები, ორგანიზაციები და საზოგადოებრივი კვების საწარმოები დაწესებულ ფასებს, ფასნამატებს და ვაჭრობის წესებს;

ზ) შეამოწმოს ყველა სისტემისა და უწყების სავაჭრო-ორგანიზაციების მუშაობა იმ მხრივ, თუ როგორ ახორციელებენ ისინი ღონისძიებებს ვაჭრობის წესების დარღვევისა და ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილებისათვის.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციას უფლება აქვს:

ა) გამოიტანოს გადაწყვეტილებანი საბაზრო და ბაზრის გარეშე მომხმარებლების მიერ ისეთი საქონლის მიღების აკრძალვის, აგრეთვე სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების მიერ ისეთი საქონლის გაგზავნის შეწყვეტის შესახებ, რომლის გამომუშავების დროს და-

რღვეულია მოქმედი სტანდარტები, ტექნიკური პირობები, საწარმოო რეცეპტურები, ტექნოლოგიური ინსტრუქციები, დამტკიცებული ნიმუშები და სხვა ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე შემოიღოს ასეთ შემთხვევებში წესი სასურსათო საქონლის მიღებისა გადასახიდად მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას წინასწარ გაინიჯავს სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენელი და პროდუქციის ხარისხის შესახებ ვიზას გაუკეთებს დოკუმენტს, რომელსაც გამგზავნი გასცემს; დააწესოს სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საწარმოებისაგან საქონლის მიღების განსაკუთრებული რეჟიმი. თავის გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ინსპექცია გააფორმებს ბრძანებებით, რომელთა შესრულება სავალდებულოა მრეწველობისა და ვაჭრობის ყველა საწარმოსათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

ბ) გააფრთხილოს სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები, რომ საჭიროა ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და ზომების მიღება პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ამასთან მისცეს მათ ამისათვის განსაზღვრული ვადა;

გ) აძლიოს დასკვნები საქონლის ხარისხის შესახებ, თუ წამოიჭრა უთანხმოება დამამზადებლებსა, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, მათ უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; აძლიოს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობანი პროდუქციის მიმართულებისა და გამოყენების შესახებ, როდესაც მისი მდგომარეობა არ იძლევა შემდგომი შენახვის ან გადაზიდვის შესაძლებლობას, ამასთან გააფორმოს აღნიშნული დასკვნები და მიწერილობანი სახელმწიფო ინსპექციის აქტებით და გადასცეს ისინი მყიდველს, მიმწოდებელსა და დამამზადებელს;

დ) აძლიოს ყველა სისტემისა და უწყების სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებს მათთვის სავალდებულო მიწერილობანი, რათა შეწყვიტონ ცუდი ხარისხის საქონლის რეალიზაცია, გაყიდვა და გაგზავნა, აგრეთვე ისეთი საქონლისა, რომლის ფაქტიური ხარისხიანობა არ შეესაბამება მიმწოდებლის საბუთებს ან აღნიშვნას;

ე) გამოიტანოს გადაწყვეტილებანი სექციების, განყოფილებების, მაღაზიების დროებით დახურვის შესახებ, რომლებიც სისტემატურად ყიდიან ცუდი ხარისხის საქონელს და აფუჭებენ მას შენახვის პირობებისა და ვადების დარღვევის გამო მანამ, ვიდრე არ აღმოფხვრება შემჩნეული ნაკლოვანებანი;

ვ) გადასცეს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს თავისი ბრძანებები ცუდი ხარისხის საქონლის მიღების და საბაზრო და

ბაზრისგარეშე მომხმარებლებისათვის მისი გაგზავნის შეწყვეტი-  
შესახებ, რომელთა მიხედვით სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი  
შეწყვეტენ სამრეწველო საწარმოების საგადამხდელო მოთხოვნების  
მიღებას ინკასოზე, აგრეთვე სავაჭრო და სხვა ორგანიზაციების  
საგადამხდელო დავალებების მიღებას ამ საწარმოებისათვის სახს-  
რების გადასარიცხავად ისეთი საქონლისათვის, რომლის რეალიზა-  
ცია აკრძალულია;

ზ) ამილოს მითითებანი რკინიგზის, წყალთა და საავტომობილო  
ტრანსპორტის ორგანოებს ცუდი ხარისხის პროდუქციის გაგზავნის  
შეწყვეტის, აგრეთვე იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას წესი სა-  
ქონლის მიღებისა გასაგზავნად მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას  
წინასწარ გასინჯავს სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენელი და  
ვიზას გაუკეთებს ხარისხის შესახებ შედგენილ დოკუმენტს, რომე-  
ლსაც გამგზავნი გასცემს;

თ) საჭიროების მიხედვით ამილოს მზა ნაწარმის ნიმუშები,  
აგრეთვე მათი წარმოებისათვის გამოსაყენებელი ნედლეული, მასა-  
ლები, ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი დეტალები სინ-  
ჯების, გამოცდისა და ანალიზების ჩასატარებლად და გაუგზავნოს  
ისინი საფაბრიკო (საქარხნო) ლაბორატორიებს, სამეცნიერო-საკვ-  
ლევ ინსტიტუტებს და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ლაბო-  
რატორიებს იმ ანგარიშით, რომ ნიმუშების ღირებულებისა და შეს-  
რულებულ სამუშაოთა ანაზღაურება მოხდეს იმ საწარმოებისა და  
ორგანიზაციების ხარჯზე, რომლებსგანაც წაღებული იყო ნიმუშები.  
ნიმუშების ამოღების წესი და მათი რაოდენობა დაწესდება სახელ-  
მწიფო სტანდარტებით, რესპუბლიკური ტექნიკური პირობებით,  
ტექნიკური პირობებით, საუწყებო ტექნიკური პირობებით და საქა-  
რთველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვა-  
ჭრობის სახელმწიფო ინსპექციის ინსტრუქციით;

ი) მოიწვიოს შემოწმების ჩასატარებლად საქართველოს რეს-  
პუბლიკისადმი დაქვემდებარებული ადგილობრივი სავაჭრო საწარ-  
მოებისა და ორგანიზაციების მუშაკები, ამასთან აუნაზღაუროს მათ  
სამივლინებო ხარჯები მათი ძირითადი მუშაობის ადგილზე, აღნი-  
შნული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შე-  
თანხმებით;

კ) გამოვიდეს წარმომადგენლად საქართველოს სსრ ვაჭრობის  
სამინისტროს სახელით ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში,  
რომლებიც ამუშავებენ და ამტკიცებენ მოსახლეობისათვის მისაყი-  
დად განკუთვნილი საქონლის ტექნიკურ დოკუმენტაციას (სახელმ-

წიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს, რეცეპტურებს, ნიმუშებსა და სხვ.);

ლ) აძლიოს დასკვნები სტანდარტების, რესპუბლიკური და უწყებრივი ტექნიკური პირობების და მზა პროდუქციის სხვა ტექნიკური დოკუმენტაციის პროექტების გამო;

მ) მიიღოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისაგან, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიებისაგან ტექნიკური დოკუმენტაცია და მთელი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ პროდუქციის, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, მზა პროდუქციის წარმოებისა და კომპლექტაციისათვის გამოსაყენებელი დეტალებისა და მასალების ხარისხს, აგრეთვე გაეცნოს ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს;

ნ) მიიღოს სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან მათ მიერ გამოცემული საინფორმაციო ბიულეტენები, ბროშურები და სხვა ლიტერატურა გამოცდილების გაზიარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის;

ო) განახორციელოს საჭირო შემთხვევებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის გამოსაყენებელი ნედლეულის, მასალებისა და მკომპლექტებელი დეტალების ხარისხის შემოწმება საწარმოებში, რომლებიც ეწევიან მათ მიწოდებას საწარმოო კოოპერაციის წესით;

პ) მიიღოს სახელოსნოებისა, საწარმოებისა და უწყებებისაგან, რომლებიც ეწევიან საგარანტიო ვადის ფარგლებში კულტურული, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობათა ექსპლუატაციას და რემონტს, მათი რემონტის მთელი სააღრიცხვო მასალები, აგრეთვე მასალები, რომლებიც ახასიათებენ მათი ხარისხის ნაკლოვანებებს;

ჟ) შეიტანოს საწარმოთა დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი ორგანიზაციების განსახილველად საკითხები ამ საწარმოების მიერ უხარისხო საქონლის გამოშვებისა და მიწოდების ფაქტების შესახებ შესაბამისი ზომების მისაღებად და დამნაშავე პირთა დასასჯელად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი სისტემატურად ან დიდი რაოდენობით უშვებენ ცუდი ხარისხის საქონელს, გადასცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა მისაცემად სამმართველო პასუხისგებაში;

რ) გადასცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისგებაში და შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინაშე დააყენოს საკითხი, რომ თანამდებობიდან იქნან გადაყენებული ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაკები, რომლებმაც დაუშვეს საცალო ფასების დარღვევა, საქონლის ხარისხიანობის შეცვლა, მყიდველთა მოტყუება ზომასა და წონაში, აშკარად უხარისხო საქონლის წინასწარი განზრახვით მიღება და გაყიდვა და სხვა ბოროტმოქმედებანი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვაჭრობის წესების დარღვევა აშკარად მცირემნიშვნელოვანია, დააყენოს საკითხი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წინაშე დამნაშავეებზე მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ;

ს) გადასცეს მასალები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ადმინისტრაციულ კომისიებს, რათა ფულადი ჯარიმა დაადონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკებს (დირექტორებს, გამგეებს, მათ მოადგილეებს, განყოფილებების, სექციების გამგეებს და სხვ.), აგრეთვე გამყიდველებს ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, თუ ეს დარღვევანი არ შეიცავენ ისეთ ქმედობათა ნიშნებს, რომლებიც სისხლის სამართლის წესით ისჯება;

ტ) თუ შეუძლებელია დაუბრუნდეს მყიდველს საცალო ფასების დარღვევის შედეგად გადახდევინებული ზედმეტი თანხები, გამოიტანოს გადაწყვეტილებანი ამ თანხების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში გადარიცხვის შესახებ და აცნობოს ეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ორგანოებს აღნიშნული თანხების ამოსაღებად;

უ) აძლიოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებსა და საწარმოებს წერილობითი ფორმით (შემოწმების აქტების მიხედვით გამოტანილ გადაწყვეტილებებში, საკონტროლო უბრალოებში და ა. შ.) მათთვის სავალდებულო მითითებანი იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვრან ვაჭრობის წესების აღმოჩენილი დარღვევები;

ფ) აწარმოოს საჭირო შემთხვევებში საქონლის ნაშთებისა და სალაროს ნაღდი ფულის მოხსნა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოებში, სადაც აღმოჩენილია მყიდველთა ზომასა და წონაში მოტყუებისა და ფასების გადამეტების ფაქტები, ამოიღოს ხმარებიდან არასწორი ან ისეთი სასწორები და საზომი ხელსაწყოები, რომლებსაც არა აქვთ დაწესებული დამლა, ამოიღოს დოკუმენ-

ტების დედნები, ცუდი ხარისხის პროდუქტებისა და სხვა ნივთიერებები, რომლებიც მოწმობენ წესების დარღვევებს ან ბოროტ-მოქმედებებს, ამასთან ყოველ ცალკე შემთხვევაში გააფორმოს ასეთი ამოღება სათანადო აქტით;

ქ) გაგზავნოს საჭიროების შემთხვევაში სპეციალური გამოკვლევისა და ექსპერტიზის მოსახდენად ცუდი ხარისხისა და ფალსიფიცირებული საქონლის ამოღებული ნიმუშები, ამასთან ექსპერტის ხარჯები დააკისროს შემოწმებულ საწარმოს;

ღ) მიიღოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან წამოღებულ შემოწმებასთან დაკავშირებული ყოველგვარი საჭირო დოკუმენტები, ცნობები და ახსნა-განმარტებანი.

### III. საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი

4. სახელმწიფო ინსპექტორების გადაწყვეტილებებზე შეტანილ საჩივრებს განიხილავენ სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილეები, ხოლო სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს გადაწყვეტილებებზე შეტანილ საჩივრებს განიხილავს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, რომლის გადაწყვეტილებანი საბოლოოა.

5. საჩივრები სახელმწიფო ინსპექციის გადაწყვეტილებებზე სასურსათო საქონლის ხარისხის საკითხების გამო შეიტანება სახელმწიფო ინსპექციის აქტის მიღებიდან ორი დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო სამრეწველო საქონლის საკითხის გამო ხუთი დღე-ღამის განმავლობაში.

იმავე ქალაქში ბრუნვის დროს საჩივრები სწრაფფუჭებადი საქონლის ხარისხის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე შეიტანება იმ ვადაში, რომელიც არ აღემატება ამ საქონლის რეალიზაციის დაწესებული ვადის ნახევარს აქტის შედგენის მომენტიდან.

გადაწყვეტილებანი სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების ამოღების საკითხზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნას იმ დღიდან ორი კვირის ვადაში, რაც ამ გადაწყვეტილებებს მიიღებენ ორგანიზაციები და საწარმოები.

6. იმ შემთხვევაში, თუ სახსრების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი გასაჩივრებულ იქნა დაწესებულ ვადაში, სახსრების ამოღება შეჩერდება მანამ, ვიდრე ამ საკითხს გადაწყვეტს ზემდგომი ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის ყველა სხვა გადაწყვეტილების გასაჩივრება ვერ შეაჩერებს მათს შესრულებას.

#### IV. საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანიზაციული სტრუქტურა

7. საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექცია წარმოადგენს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციას, რომელსაც ჰყავს აპარატი დადგენილი წესით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად და მისდამი დაქვემდებარებული აპარატი საინსპექციო პუნქტებისა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქალაქ ქუთაისში, აგრეთვე აქვს ლაბორატორია ქ. თბილისში.

სახელმწიფო ინსპექციის ფუნქციებს ახორციელებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექცია და მისდამი დაქვემდებარებული საინსპექციო პუნქტები აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქ. ქუთაისში, რომლებსაც სათავეში უდგანან მთავარი და უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები.

საინსპექტორო პუნქტების რიცხვს, მათს ტერიტორიულ განლაგებას და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია რესპუბლიკის ბიუჯეტით სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიხედვით ამ ინსპექციისათვის.

სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს უფროსს, მის მოადგილეს, მთავარ სახელმწიფო ინსპექტორებს და სახელმწიფო ინსპექტორებს დანიშნავს და სამუშაოდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს შენახვა ხდება რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე. ამ სამმართველოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბიუჯეტო ანგარიშები ბანკში და ასრულებს საბანკო და საკასო ოპერაციებს.

სამმართველოს შესანახად გაღებული კრედიტების განმეორება  
 ლებელია საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის  
 სამმართველოს უფროსი განაგებს იმ კრედიტებს, რომლებიც გამო-  
 ყოფილია სამმართველოს შესანახად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა  
 და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს აქვს ბეჭედი,  
 რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სა-  
 ხელწოდება. მთავარ სახელმწიფო ინსპექტორებს აფხაზეთის ასს  
 რესპუბლიკასა, აჭარის ასს რესპუბლიკასა და ქალაქ ქუთაისში, აგ-  
 რეთვე უფროს სახელმწიფო ინსპექტორს სამხრეთ ოსეთის ავტო-  
 ნომიურ ოლქში აქვთ მრგვალი ბეჭდები შესაბამისი დასახელების  
 აღნიშვნით.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარის-  
 ხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოს აღგი-  
 ლსამყოფელია ქალაქი თბილისი.

## 72 რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში საქონლის ჩამოფა- სებისა და ჩამოფასებული საქონლის დაყიდვის მოწესრი- გების ზომების შესახებ

აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა გარ-  
 კვეული მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ აეთვისებინათ მოძველე-  
 ბული ფასონებისა და მოდულების საქონლის და ისეთი საქონლის  
 ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდი, რო-  
 მელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვთ თავისი პირვანდელი ხარისხი.

1963 წელს სავაჭრო ორგანიზაციებმა საქონლის ჩამოფასების  
 ფონდებიდან გამოიყენეს 5 მილიონ მანეთზე მეტი, მათ შორის სა-  
 ქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით — 3.755 ათასი მან-  
 ეთი და ცეკავშირის ხაზით 2.021 ათასი მანეთი.

მაგრამ, როგორც საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა  
 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო  
 კონტროლის კომიტეტისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინი-  
 სტროს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვანახვა, საქონლის ჩა-  
 მოფასების სახსრების გამოყენებისა და ამ საქონლის დაყიდვის ორ-  
 განიზაციის საქმეს სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევები  
 ახასიათებს.

ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციები არადანიშნულები ნებენ საქონლის ჩამოფასების სახსრებს, ხდება ისეთი საქონლის ჩამოფასება ფონდის ხარჯზე, რომელსაც დაკარგული აქვს პირვანდელი ხარისხი უყაირათობისა, დაუდევრად შენახვისა და ტრანსპორტირების გამო.

იმის ნაცვლად, რომ საქონლის გაფუჭების შედეგად მიღებული ზარალი გადაახდევინონ დამნაშავე თანამდებობის პირებსა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელები ამ ზარალს ანაზღაურებენ ჩამოფასების ფონდის ხარჯზე. ამრიგად, ფაქტიურად ეს ფონდი გადაქცეულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის საშუალებად.

ზესტაფონის რაიკოოპკავშირის ჩხარის სასოფლო კოოპერატივში ჩამოფასებულია ტრანსპორტირების დროს დაზიანებული კარადები, ტრელიაჟები, ავტოკალმები 204 მანეთის საერთო თანხით. ამის გარდა, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიზეზით დაზიანებული საქონლის ჩამოფასების ზარალი 43 მანეთის ოდენობით ანაზღაურებულია ჩამოფასების ფონდის ხარჯზე, ასევე მოიქცნენ ლანჩხუთის რაიკოოპკავშირშიც.

სოხუმის მრეწვევაჭრობაში ჩამოფასებული იყო 14.900 მანეთიდან 7.893 მანეთამდე ჩამოფასების ფონდის ხარჯზე არაკომპლექტური, ტექნიკურად უწესივრო, ჩრჩილით დაზიანებული, დასველებული და ნახშირი საქონელი, მათ შორის კულტსაქონელი, საათები, ხალიჩები, ფოტოსაქონელი.

„საქტანსაცმელვაჭრობის“ საბითუმო ბაზამ 10487 მანეთით ჩამოაფასა ფონდის ხარჯზე სამკერვალო ნაწარმი, რომელსაც დაუდევარი მოპყრობისა და უყაირათობის შედეგად დაკარგული აქვს საქონლის სახე.

ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა სასურსათო საქონლის ჩამოფასებას, ხოლო მახარაძის რაიკოოპკავშირის ნატანების სასოფლო კოოპერატივში ჩამოფასების ფონდის ხარჯზე ჩამოწერილია 347 მანეთის კონფეტი, რომელიც უვარგისი გახდა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიზეზით. გამოვლინებულია მოსახლეობისაგან ნაყიდი საქონლის ჩამოფასების ფაქტები. რუსთავევაჭრობაში ჩამოფასებული იყო მოსახლეობისაგან ნაყიდი ხელით ნაქსოვი 40 ცალი ხალიჩა.

საქონლის ჩამოფასების დროს ყოველთვის როდი აწესებენ საქონლის რეალურ ფასს, რომელიც უზრუნველყოფს მის სწრაფ რეალიზაციას, ეს კი იწვევს განმეორებითი ჩამოფასების საჭიროებას.



მთელ რიგ შემთხვევებში ირღვევა ინსტრუქცია ჩამოფასების წესის შესახებ, დაუდევრად ფორმდება ჩამოფასების აქტები, მათში არ აღინიშნება ნაწარმის გამოშვების წელი, არტიკული, ხარისხი, არ არის მოყვანილი საქონლის მდგომარეობის დახასიათება და ჩამოფასების მიზეზები, არ არის წაშლილი იარლიყებზე წინანდელი ფასები და ახალი ფასები დაწერილი.

მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში არ არის უზრუნველყოფილი ერთი და იმავე საქონლის ჩამოფასების ერთნაირი დონე და ამ საქონელს უგზავნიან მაღაზიებს გასაყიდად სხვადასხვა ფასებში.

„საქტანსაცმელვაჭრობის“ ბაზამ ჩამოაფასა 75 პალტო თვითეული 50 მანეთამდე, ხოლო ჩამოფასებული საქონლის მაღაზიაში ასეთივე პალტო იყიდებოდა 40 მანეთად. მთელი რიგი სამკერვალო ნაწარმის მიხედვით ერთი და იმავე არტიკულის ფასში განსხვავება შეადგენდა 2-დან 60 მანეთამდე.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები არ იღებენ ზომებს ჩამოფასებული საქონლის დაყიდვის უკეთ მოწყობისათვის. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში არ მოიპოვება შესაბამისად გაწყობილი მაღაზიები, ჩამოფასებული საქონელი თავის დროზე არ ეგზავნება სავაჭრო ქსელს, ასეთი საქონელი მაღაზიებში გასაყიდად გამოაქვთ დამატებითი დამუშავების გარეშე, სასაქონლო სახის მიუცემელ მდგომარეობაში, რის შედეგადაც ჩამოფასებული საქონლის დაყიდვა რესპუბლიკაში არადაძაქმაყოფილებლად მიმდინარეობს.

არარეალიზებული ჩამოფასებული საქონლის ნაშთები 1964 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით — 3.099 ათას მანეთს, ანუ ჩამოფასებული საქონლის საერთო თანხის 44,4 პროცენტს და ცეკავშირის ხაზით — 1.565 ათას მანეთს, ანუ 42 პროცენტს.

თბილმრეწვევაჭრობის ხელმძღვანელობის უდარდებლობის შედეგად, ამ სავაჭრო ორგანიზაციის რკინა-კავეულის საქონლის საწყობში უმოძრაოდ ეწყობა ჯერ კიდევ 1962 წელს ჩამოფასებული საქონელი, ხოლო ცეკავშირის თბილისის სარაიონთაშორისო ბაზაში 1964 წლის 1 აპრილისათვის არ ყოფილა გადაცემული გასაყიდად 1962-1963 წლებში ჩამოფასებული საქონელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, მუშათა მომარაგების სამმართველოებსა და განყოფილებებს:

განიხილონ შემოწმების მასალების მიხედვით სავაჭრო ორგანიზაციებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასების მდგომარეობა;

მიიღონ ზომები საქონლის ჩამოფასების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მკაცრად დასაჯონ ის პირები, რომლებმაც დაუშვეს ჩამოფასების დადგენილი წესის დარღვევა;

გააძლიერონ სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საქონლის სწორად ჩამოფასებისათვის. არ დაუშვან გაფუჭებული და რეალიზაციისათვის უვარგისი საქონლის ჩამოფასება. ისეთი საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურება, რომელსაც დაკარგული აქვს პირვანდელი ხარისხი უყაირათობის გამო, დააკისრონ დამნაშავე თანამდებობის პირებს და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს;

უზრუნველყონ ჩამოფასებული საქონლის დროულად გადაცემა სარეალიზაციოდ სპეციალურად გამოყოფილი მაღაზიებისათვის;

საქონლის ჩამოფასებისას დააწესონ რეალური ფასი, რომელიც უზრუნველყოფს ჩამოფასებული საქონლის გასაღებას;

მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ მოძველებული ფასონებისა და მოდელების ერთნაირი საქონლის ჩამოფასების დროს ერთნაირი ფასების დაწესებას;

ინსტრუქტაჟი გაუწიონ მიმდინარე წლის ივლისში ვაჭრობის მუშაკებს მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის ჩამოფასების წესების საკითხზე, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვთ თავისი პირვანდელი ხარისხი;

მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს საქონლის დაყიდვა დაკლებულ ფასებში და შექმნან სათანადო პირობები ჩამოფასებული საქონლის რეალიზაციისათვის გაწყობილ სადგომებში, ამასთან გახსნან სპეციალიზებული მაღაზიები ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ასეთი მაღაზიები არ არსებობს;

მოაწყონ შესაბამისი რეკლამირება და მოსახლეობისათვის შეტყობინება საქონლის დაკლებულ ფასებში დაყიდვის შესახებ;

უზრუნველყონ ჩამოფასებული საქონლის სათანადო დამუშავება და მისთვის საქონლის სახის მიცემა გასაყიდად გამოშვების წინ;

მიიღონ ზომები, რათა არ იქნას შეტანილი სავაჭრო ქსელში უხარისხო საქონელი და ისეთი საქონელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას;

გაუმჯობესონ საქონლის დეცენტრალიზებული შესყიდვის განიზაცია, არ დაუშვან ზედმეტი რაოდენობის და ძნელადგასასაღებელი საქონლის შესყიდვა;

უზრუნველყონ სასაწყობო მეურნეობისა და საქონლის შენახვის გაუმჯობესება სავაჭრო ორგანიზაციებსა და სავაჭროებში; შეწყვიტონ სამკერვალო ნაწარმის მიტანა ჩაყრით ფაბრიკებიდან ბაზებსა და მაღაზიებში;

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად დააწესონ საბითუმო ბაზების წუნმდებელი საქონელმცოდნეებისათვის შემოწმების ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის ხარისხის გულმოდგინე კონტროლს სამრეწველო საწარმოებში, და უზრუნველყონ საცალო სავაჭრო საწარმოებში შემოსული საქონლის ხარისხის სრულად შემოწმება.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ძნელად გასასაღებელი საქონლის გამოშვება, რაც ქმნის ჩამოფასების წანამძღვარებს, დააზუსტონ სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მიწოდების შესახებ უშუალოდ წარმოების გეგმების დამტკიცების წინ, ცალკეული სამრეწველო საწარმოების მიხედვით.

3. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1964 წლის 1 ივლისიდან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია „სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ“.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 აპრილს № 283 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია „სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა“.

გან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე**.

ქ. თბილისი. 1964 წ. 26 ივნისი, № 391.

და მ თ ა ი ც ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
1964 წლის 26 ივნისის № 391  
დადგენილებით

### ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

„სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონები-  
სა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი  
ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარა-  
ლის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯის წესის შესახებ“

#### 1. ზოგადი დებულებანი

1. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრე-  
თვე ისეთი საქონლის ჩამოფასება და დაყიდვა, რომელსაც ნაწილო-  
ბრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, წარმოებს  
სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
სათანადო დადგენილებების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო რესპუბლიკური  
დაქვემდებარების ორგანიზაციების, აგრეთვე გორის უნივერსიტეტის,  
გორივაჭრობის და ფოთივაჭრობის მიხედვით (რომლებიც მოქმედე-  
ბენ ისეთ ქალაქებში, სადაც არ არის სავაჭრო განყოფილებანი), აფ-  
ხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროები, სამხრეთ  
ოსეთის ავტონომიური ოლქის სავაჭრო საოლქო განყოფილება,  
თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო, ქუთაის-  
ისა და რუსთავის საქალაქო აღმასკომების სავაჭრო განყოფილებე-  
ბი, მუშათა მომარაგების სამმართველოები, მუშათა მომარაგების გან-



ყოფილებები და სხვა სავაჭრო სისტემები გაანაწილებენ, საქონლის მარაგის ანალიზის საფუძველზე, საფინანსო გეგმებით საქონლის ჩამოფასების მათთვის გათვალისწინებულ სახსრებს დაქვემდებარებულ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის (სავაჭრო ორგანიზაციები, კანტორები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვები) და შეიტანენ ამ თანხებს მათს საფინანსო გეგმებში.

აღნიშნული ორგანიზაციები ჩამოფასების განხორციელებამდე ჩაატარებენ მოსამზადებელ მუშაობას:

გამოარკვევენ მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის არსებულ რაოდენობას;

გადაანაწილებენ ამ საქონლის რესპუბლიკის იმ რაიონის, ქალაქის, ოლქის, განყოფილების ფარგლებში, სადაც ისინი შეიძლება გაყიდულ იქნას ჩამოუფასებლად;

მოაწყობენ სარესპუბლიკათაშორისო და რესპუბლიკურ საბითუმო ბაზრობებს ზედმეტი საქონლის გასაყიდად;

ოპერატიულად განსაზღვრავენ ჩამოფასებული საქონლის რაოდენობას და ჩამოფასების საორიენტაციო ოდენობას;

შეიტანენ დაზუსტებებს მრეწველობის საბითუმო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის მიცემულ შეკვეთებში.

3. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასება და გაყიდვა წარმოებს ასეთი საქონლის გამოვლინების მიხედვით, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ: გაზაფხულის დამდეგს და შემოდგომის დამდეგს;

ისეთი საქონლის ჩამოფასება და დაყიდვა, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, წარმოებს სისტემატურად, ასეთი საქონლის გამოვლინების კვალობაზე;

სავაჭრო ორგანიზაციებმა არ უნდა დაუშვან აღნიშნული საქონლის დაგროვება სავაჭრო ქსელში და უზრუნველყონ ჩამოფასებული საქონლის დროულად გაყიდვა.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მიიღონ ზომები საქონლის ჩამოფასებისა და მისი დაყიდვისათვის რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით.

4. მოძველებულ ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასება წარმოებს ერთსა და იმავე დროს ქალაქის ყველა სავაჭრო ორგანიზაციაში. ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას ერთი და იგივე არტიკულების, ხარისხისა და სხვა საქონლის ჩამოფასების ერთნაირი დონე.

წინათ ჩამოფასებული, მაგრამ გაუყიდავი საქონელი შეისრულება ხელმეორედ ჩამოფასდეს იმავე წესით.

არ უნდა იქნას ჩამოფასებული ფონდის ხარჯზე შემდეგი საქონელი: რომელსაც დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი სავაჭრო საწარმოების ან ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ან ვაჭრობის სხვა მუშაკთა მიზეზით; სასურსათო; მოსახლეობისაგან შესყიდული; ვიტრინებისა და რეკლამებისათვის გამოყენებული საქონელი; ისეთი საქონელი, რომელიც დამზადებულია ძვირფასი ლითონებისა და ქვების გამოყენებით (გარდა ვერცხლისაგან დამზადებული მცირე ნაკეთობებისა).

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სავაჭრო განყოფილებას, თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსს, ქუთაისის და რუსთავის აღმასკომების სავაჭრო განყოფილებათა გამგეებს, სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის სწორად ჩამოფასებისა და დაყიდვისათვის, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, და იმ სახსრების სწორად გამოყენებისათვის, რომლებიც გამოყოფილია ამ საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად.

## II. საქონლის ჩამოფასების წესი

6. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასების ჩასატარებლად მზადებისათვის სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში (სავაჭრო ორგანიზაციებში, მუშათა მომარაგების სამმართველოებში, განყოფილებებში და ა. შ.) შეიქმნება კომისიები საწარმოთა დირექტორების, საქონელმცოდნეებისა და სხვა სპეციალისტების შემადგენლობით.

აღნიშნული კომისიები მოამზადებენ მოძველებული ფასონების, მოდელების საქონლის სიებს და წინადადებებს თვითეთლი საქონლის ჩამოფასების რაოდენობის შესახებ, რათა წარედგინოს ისინი აღმასკომის ვაჭრობის საქალაქო სამმართველოს (განყოფილებას) დასამტკიცებლად.

აღმასკომების ვაჭრობის საქალაქო სამმართველოების (განყოფილებების) ხელმძღვანელები, სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების სამმართველოებისა და მუშათა მომარაგების განყოფილებების ხელმძღვანელები განიხილავენ და დაამტკიცებენ მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის აღნიშნულ სიებს და თვითეული საქონლის ჩამოფასების ოდენობას მოცემული ქალაქის სახელმწიფო ვაჭრობის ყველა სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით.

მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის სიებს, რომლებსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვთ თავისი პირვანდელი ხარისხი, აგრეთვე ჩამოფასების ოდენობას მუშათა მომარაგების განყოფილებების და სურსათმომარაგების სავაჭრო საწარმოებში, რომლებიც სოფელ ადგილებში მდებარეობენ, განიხილავენ და დაამტკიცებენ ამ მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და სურსათმომარაგების უფროსები.

7. წარმოებიდან მოხსნილი, ისეთი ტექნიკურად რთული საქონლის ჩამოფასება, რომელიც არ სარგებლობს მოსახლეობის მოთხოვნილებით (რადიომიმღებები, რადიოლები, ფოტოაპარატები, საათები და სხვ.) წარმოებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ნებართვით, რომელიც ამტკიცებს ჩამოსაფასებელი საქონლის რესპუბლიკისათვის საერთო სიებს, ჩამოფასების ოდენობას და მისი ჩატარების თარიღს.

აღმასკომების ვაჭრობის საქალაქო სამმართველოები (განყოფილებები), ავტონომიური სს რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სავაჭრო განყოფილება, მუშათა მომარაგების სამმართველოები და სახელმწიფო ვაჭრობის სხვა ორგანიზაციები, მათდამი დაქვემდებარებული სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების წინადადებათა საფუძველზე, წარუდგენენ მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს წინადადებებს ტექნიკურად რთული საქონლის ჩამოფასების შესახებ.

8. სავაჭრო ორგანიზაციების, განყოფილებების, მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და სხვა სავაჭრო საწარმოების ხელმძღვანელები გზავნიან სავაჭრო საწარმოებში სამუშაო კომისიებს, რომლებიც მოახდენენ მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასებას ზემოაღნიშნული წესით, დამტკიცებული სიების თანახმად.

კომისიებში სამუშაოდ საქირო შემთხვევებში მოწვეული იქნებიან საქონელმცოდნე სპეციალისტები ან საქონლის ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლები.

საქონლის ჩამოფასების სამუშაო კომისიების შემადგენლობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისიები დადგენილი წესით შეადგენენ ჩამოფასების აქტებს და საქონლის იარლიყებზე აღნიშნავენ ახალ ფასებს. ჩამოფასების აქტები დამასმტკიცებლად წარედგინება სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

9. სავაჭრო საწარმოებში ისეთი საქონლის გამოვლინების მიხედვით, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, სავაჭრო ორგანიზაციების, განყოფილებების, მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და სხვა სავაჭრო საწარმოების ხელმძღვანელები ჩამოფასების ჩასატარებლად შექმნიან კომისიებს სპეციალისტების მონაწილეობით და გაგზავნიან მათ სავაჭრო საწარმოებში ამ საქონლის ჩამოფასების შესახებ აქტების შესადგენად.


ისეთი საქონლის ჩამოფასების ოდენობა, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, დაწესდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკარგა ხარისხი თვითეულმა ნაკეთობამ და რამდენად შესაძლებელია ამ ნაკეთობის გაყიდვა.

ამ საქონლის ახალ, დაკლებულ ფასებს საქონლის იარლიყებზე აღნიშნავს კომისია მას შემდეგ, რაც ჩამოფასების აქტებს დაამტკიცებენ სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საქონელი, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს პირვანდელი ხარისხი, შეიძლება ჩამოფასდეს აღნიშნული წესით როგორც მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის ჩამოფასების ვადების დამოუკიდებლად, ისე მასთან ერთადაც.

10. ჩამოფასების დამთავრებისა და დოკუმენტების სათანადოდ გაფორმების შემდეგ ყველა ჩამოფასებული საქონელი ამოიღება იმ მაღაზიებიდან, რომლებიც სრულფასოვანი საქონლით ვაჭრობენ და გადაეცემა სპეციალურ მაღაზიებსა და დუქნებს.

ეს საქონელი რეკლამირებული იქნება როგორც ისეთი საქონელი, რომლის რეალიზაცია წარმოებს დაყიდვის წესით უფრო იაფ ფასებში.



ცალკეული საქონლის ჩამოფასების ოდენობა დაწესდება მიხედვით, თუ რამდენად დაკარგა მან პირვანდელი ხარისხი და რამდენად შესაძლებელია მისი გაყიდვა.

11. გასაყიდად გამოუსადეგარი საქონელი არ უნდა იქნას ჩამოფასებული ამ ინსტრუქციის შესაბამისად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, არამედ ჩამოიწერება ბალანსიდან შესაბამისად დებულებისა სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოების და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ.

12. ჩამოფასებულ საქონელს უნდა გაუკეთდეს იარლიყები, რომლებზედაც აღინიშნება საქონლის პირვანდელი საპრეისკურანტო ფასი და ჩამოფასების შემდგომი ფასი. საქონლის იარლიყებზე ახალ ფასს აღნიშნავს კომისია, რომელმაც საქონელი ჩამოაფასა, და დადასტურებს თავისი ხელმოწერით ამ კომისიის თავმჯდომარე. ჩამოფასებული საქონლის გაყიდვა, თუ ასეთი იარლიყები არ ექნება, აკრძალულია.

ცალკეული საქონლის მიმართ, რომელიც დეფექტიანობის გამო წინათ უკვე იყო ჩამოფასებული და რომლის გასაყიდი ფასი საპრეისკურანტო ფასზე გაცილებით ნაკლებია, აღწერილობა-აქტებში აღინიშნება დაკლებული გასაყიდი ფასი.

13. ჩამოფასებული საქონელი უნდა იყოს გადათვლილი და გადაზომილი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ კომისიის წევრების თანდასწრებით, რომლებიც შეამოწმებენ გადათვლისა და გადაზომვის სისწორეს.

14. ცნობები საქონლის ჩამოფასების შესახებ შეიტანება აღწერილობა-აქტებში იმ ფორმის მიხედვით, რომელიც დართული აქვს ამ ინსტრუქციას. აღწერილობა-აქტები შედგება საწარმოს თვითეული განყოფილების (სექციის) მიხედვით სამ ცვლად, რომლებსაც ხელს მოაწერენ იმ კომისიის წევრები, რომელმაც მოახდინა ინვენტარიზაცია და საქონლის ჩამოფასება, აგრეთვე მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.

აღწერილობა-აქტები დაიწერება მეღნით ან ქიმიური ფანქრით, ნათლად და გარკვეულად. არ დაიშვება არავითარი წაშლა და გადაფხეკა. დაშვებული შეცდომების გასწორება უნდა მოხდეს აღწერილობის ყველა ეგზემპლარში შეცდომით გაკეთებული ჩანაწერების წაშლისა და ზემოთ სწორი ცნობების დაწერის გზით.

გასწორებანი საქონლის დასახელების, მისი რაოდენობის და ფასის შესახებ უნდა იყოს ცალკე აღნიშნული და კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით დადასტურებული.

15. საქონლის ჩამოფასების აღწერილობა-აქტები გადაეცემა:

პირველი ეგზემპლარი — ზემდგომი ორგანიზაციის ბუღალტერიას, მეორე ეგზემპლარი — იმ ორგანიზაციის (საწარმოს) ბუღალტერიას, სადაც წარმოებს ფასეულობათა აღრიცხვა, მესამე ეგზემპლარი — მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.

16. აღწერილობა-აქტების მიღების შემდეგ საწარმოს (ორგანიზაციის) ბუღალტერია და სავაჭრო განყოფილება, სადაც ფასეულობათა აღრიცხვა წარმოებს, შეამოწმებენ კომისიის მიერ საქონელზე აღნიშნული იმ ფასების სისწორეს, რომლებიც შემოწმების დღისათვის მოქმედებენ, დანიხვისა და გამოანგარიშების სისწორეს და დასამტკიცებლად წარუდგენენ მათ ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

ზემდგომი ორგანიზაციები საქონლის ჩამოფასების აღწერილობა-აქტების დამტკიცების შემდეგ იძლევიან ნებართვას, რომ ჩამოფასების თანხა ჩამოიწეროს სავაჭრო ორგანიზაციის ბალანსიდან საქონლის ჩამოფასების შედეგად მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის სახსრების ხარჯზე.

საქონლის ჩამოფასების თანხა, რომელიც ანაზღაურებულ უნდა იქნას ამ ფონდის სახსრების ხარჯზე, გამოირკვევა აღწერილობა-აქტის მიხედვით, როგორც განსხვავება წინანდელ საცალო ფასებში (ჩამოფასებამდე) და ახალ საცალო ფასებში (ჩამოფასების შემდეგ) საქონლის ღირებულებას შორის, ამასთან აღნიშნული თანხიდან გამოირიცხება სავაჭრო ფასდაკლება.

17. საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან კონტროლი გაუწიონ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ძნელადგასასაღებელი საქონლის ჩამოფასებას და მის დაყიდვას.

ძნელადგასასაღებელი საქონლის ჩამოფასების დადგენილი წესის გამოვლინებული დარღვევებისა და მისი დაყიდვის დაგვიანების შესახებ საფინანსო ორგანოებმა უნდა აცნობონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ადგილობრივ აღმასკომებს ზომების მისაღებად.

### III. საქონლის დაყიდვა მისი ჩამოფასების შემდეგ

18. საქონლის დაყიდვა მისი ჩამოფასების შემდეგ უნდა წარმოებდეს ცალკეულ მაღაზიებში, პავილიონებსა და სექციებში, ამ საქო-

ნლის დაყიდვასათვის სპეციალურად მოწყობილ ბაზრობებსა და ბაზრებში, საკოლმეურნეო ბაზრებში.

19. გასაყიდად შემოსული ჩამოფასებული საქონელი უნდა იქნას წინასწარ გულმოდგინედ გასინჯული, გაწმენდილი, დაუთოებელი, სავაჭრო დარბაზში დალაგებული ჯგუფების, ნაწარმის სახეობის, ზომისა და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით, ხოლო საჭიროების შემთხვევებში — შეკეთებული.

20. ჩამოფასებული საქონლის გაყიდვისას გამოყენებულ უნდა იქნას ღია გამოფენა, მყიდველებს უნდა მიეცეთ საქონელთან თავისუფალი მისვლის შესაძლებლობა და გამოყენებულ იქნას რეკლამის ყველა სახეობა (პრესა, რადიო, განცხადებები), რომლებიც მოსახლეობას აუწყებენ საქონლის გაყიდვას დაკლებულ ფასებში. ამასთან არ უნდა იქნას დაშვებული ისეთი სარეკლამო ტექსტები, რომლებიც დაუკარგავენ მყიდველს ამ საქონლის შეძენის სურვილს („ძნელად გასასაღებელი“, „მოძველებული“ საქონელი და ა. შ.).

21. გაყიდული ჩამოფასებული საქონელი, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვთ თავისი პირვანდელი ხარისხი, არ გამოიცვლება და მაღაზიებში უკან არ მიიღება, რის შესახებაც მყიდველები უნდა გაათრთხილონ გამყიდველებმა ასეთი საქონლის გაყიდვის დროს.

მოდველებული ფასონების და მოდელების გაყიდული საქონელი გამოიცვლება საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის მოქმედი წესების შესაბამისად.

22. ნებადართულია მიეყიდოს ჩამოფასებული საქონელი წვრილი საბითუმო ვაჭრობის წესით ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს დადგენილი და უნაღდო ანგარიშსწორების წესით, აგრეთვე მიეყიდოს იგი მოსახლეობას ნისიად ჩამოფასებული საქონლის გასაყიდად განკუთვნილ სპეციალურ მაღაზიებში.

#### IV. საქონლის ჩამოფასების ფონდის შექმნა და ხარჯვა

23. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის ჩამოფასება, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, წარმოებს იმ სპეციალური ფონდის სახსრებიდან, რომელიც დადგენილი წესით შეიქმნება მოგების ხარჯზე საცალო სავაჭრო ქსელის ბრუნვის 0,5 პროცენტის ოდენობით (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის

ბრუნვისა სამომხმარებლო კოოპერაციაში იმ ფასების მიხედვით, რომლებიც შეიქმნება ადგილობრივ ბაზრებზე);

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს უფლება ეძლევა გამოიყენოს აღნიშნული ფონდის ფარგლებში საქონლის ჩამოფასების სახსრები საბითუმო ორგანიზაციებშიაც.

24. სავაჭრო ორგანიზაციები და სავაჭროები (სავაჭრო ორგანიზაციები, კანტორები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვ.), რომელთა საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულია მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის და ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასების შედეგად მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნა, ყოველთვის უნდა აწარმოებენ ანარიცხებს ამ ფონდში კვარტალური საფინანსო გეგმებით გათვალისწინებული თანხის ერთი მესამედის ოდენობით.

25. ფონდის სახსრების ხარჯვა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ წლის განმავლობაში დარიცხული თანხების ფარგლებში, აკრძალულია საქონლის ჩამოფასება საქონლის ჩამოფასების შედეგად მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდში მომავალი ანარიცხების ხარჯზე.

• ფონდის სახსრები, რომლებიც არ არის გამოყენებული მიმდინარე წელს, გადადის შემდეგი წლისათვის და გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით.

26. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სავაჭრო განყოფილებას, ვაჭრობის საქალაქო სამმართველოებს, მუშათა მომარაგების სამმართველოებს და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს საჭირო შემთხვევებში შეუძლიათ გადაანაწილონ საქონლის ჩამოფასების ფონდის სახსრები მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის.

27. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, მუშათა მომარაგების სამმართველოებს, მუშათა მომარაგების განყოფილებებს და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს ნება ეძლევათ დაგროვების გეგმის მიხედვით გაითვალისწინონ თავიანთი სისტემის საფინანსო გეგმებით ჩამოფასების ფონდი დიფერენცირებული სახით.

28. სავაჭრო ორგანიზაციებს უფლება აქვთ აწარმოონ საჭირო შემთხვევებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის და ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასება დაწესებული ფონდის გადამეტებით ზეგეგმითი დაგროვების ხარჯზე.

ორგანიზაცია \_\_\_\_\_  
 ხაზარბო \_\_\_\_\_  
 განყოფილება (სექცია) \_\_\_\_\_

### აღწერილობა-აქტი

მოძველებული ფასონებისა და მოძღვლების საქონლის, აგრეთვე ამ საქონლის ჩამოფასებისა, რომელსაც ნაწილობრივ დაყარვული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი

კომისიამ შემდეგი შემაჯგუნლობით: \_\_\_\_\_ ჩაატარა მოძველებული ფასონებისა და მოძღვლების საქონლის, აგრეთვე ამ საქონლის ინვენტარიზაცია და ჩამოფასება, რომელსაც ნაწილობრივ დაყარვული აქვს პირვანდელი ხარისხი, ამის შედეგადაც ჩამოფასებული საქონელი აღმოჩნდა: საცალო ფასებში

ჩამოფასებამდე \_\_\_\_\_ მანეთისა ანაღ საცალო ფასებში ჩამოფასების შემდეგ \_\_\_\_\_ მანეთისა.

საპროცენტო	არაპროცენტო	საქონლის დასახელება	ხარისხი	საქონლის დახასიათება და ხარისხი	ხომისი ერთეული	რაოდენობა	ჩამოფასებამდე გასაყიდი		ჩამოფასების შემდეგ გასაყიდი		ჩამოფასების შემდეგ დასახელება და რაოდენობა	სავაჭრო ფასდაკლება ჩამოფასებას თანხიდან	
							ფასი	თანხა	ფასი	თანხა		%	თანხა

კომისიის თავმჯდომარე:  
 კომისიის წევრები:  
 მატერიალურად პასუხისმგებელი პირი:

**73** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხილის, ბოსტნეულის კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1964 წ. 30 ივნისი, № 393.

დ ა მ ტ კ ი ც ი ა ლ ი ა  
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
 1964 წლის, 30 ივნისის № 393  
 დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. ხილის (ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩათვლით), ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 11 დეკემბრის № 762 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შემადგენლობაში.

2. ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას ეკისრება:

ა) კონტროლი გაუწიოს იმ ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხს, რომლებიც საქართველოს სსრესპუბლიკაში მზადდება;

ბ) აწარმოოს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის ინსპექტირება და სერტიფიკატების გაცემა ამ პროდუქციის რკინიგზით, წყალთა ტრანსპორტით ან ავიატრანსპორტით გაგზავნის დროს, როგორც შიგარესსპუბლიკური, ისე რესპუბლიკის გარეშე მრეწველობისათვის, აგრეთვე ამორჩევით შეამოწმოს ამ პროდუქტების ხარისხი, როდესაც მათ აბარებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ადგილზე, აგრეთვე ბაზებისა, საწარმოებისა და საცალო სავაჭრო ქსელისათვის გაგზავნის დროს;

გ) კონტროლი გაუწიოს იმას, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მიმღებ-დამამზადებელმა პუნქტებმა და ბაზებმა სწორად განსაზღვრონ შესასყიდი ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხი და წონა, რომ დროზე გაუსწორდეთ ანგარიში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა ჩამბარებლებს მათ მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდულ პროდუქციაში;

დ) კონტროლი გაუწიოს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების დაბინავების, შენახვის, დაცალიბრების, დახარისხების, მარკირების, შეფუთვის, ტრანსპორტაბელობის წესების, აგრეთვე რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ (გარდა საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, ბაზებისა და საცალო სავაჭრო ქსელისა) მათი ტრანსპორტირების წესების დაცვას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად;

ე) შეამოწმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და როგორ მიმდინარეობს მისი მომზადება ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების მისაღებად, შესანახად, გადასამუშავებლად და გასაგზავნად სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების დამამზადებელ პუნქტებში;

ვ) კონტროლი გაუწიოს იმას, რომ სწორად იქნას ასახული სახელმწიფო ანგარიშგებასა და სხვა დოკუმენტებში ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხი მათი დამზადების, მიღების, შენახვის, პირველადი გადამუშავების, გაგზავნისა და რეალიზაციის დროს;

ზ) ინსტრუქტაჟი გაუწიოს საქართველოს სსრ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციებისა და საწარმოების მიმღებ-დამამზადებელი პუნქტების მუშაკებს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ჩასაბარებლად მომზადების, მიღების, შენახვისა და ტრანსპორტირების საკითხებზე;

თ) განიხილოს უთანხმოებანი, რომლებიც წამოიჭრება ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ჩამბარებლებსა და მიმღებთა შორის ამ პროდუქციის ხარისხის საკითხებზე;

ი) მონაწილეობა მიიღოს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების სახელმწიფო სტანდარტების, დროებითი ტექნიკური პირობების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობების პროექტების შემუშავებაში და აძლიოს მათ გამო დასკვნები;

კ) კონტროლი გაუწიოს იმას, თუ რამდენად გამოსადეგია დასატვირთავად მიწოდებული ვაგონები, კარჭაპები, ავტოტრანსპორტი და მათი მოწყობილობა ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების გადასაზიდად, და აკრძალოს ამ პროდუქტების გადაზიდვა ამ მიზნებისათვის გამოუსადეგარი სატრანსპორტო საშუალებებითა და ტარით;

ლ) შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება ტარა სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს, აგრეთვე ამორჩევით შეამოწმოს ტარის წონა (იმ ტარის რაოდენობის სულ ცოტა 5 პროცენტი, რომელიც დატვირთულია მოცემულ ვაგონში);

მ) მიიღოს საქართველოს სსრ შესაბამისი საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან საჭირო მასალები და ახსნა-განმარტება ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის საკითხებზე, აღნიშნული პროდუქტების დამზადებისა და შენახვისათვის ტექნიკური ბაზის მომზადების, აგრეთვე ფულადი ანგარიშსწორების საკითხებზე;

ნ) შეარჩიოს და საჭირო შემთხვევებში სპეციალური გამოკვლევის მოსახდენად გაგზავნოს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ნიმუშები, ამასთან ამის ხარჯები დააკისროს საქართველოს სსრ იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთა შემოწმება წარმოებს;

ო) აკრძალოს ისეთი ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების გაგზავნა, რომლებიც არ შეესაბამებიან სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, თუ ეს არ არის

გათვალისწინებული სახელშეკრულებო პირობებითა და მთავრობის სპეციალური მითითებებით;

3) აძლიოს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობანი ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციის, ჩასაბარებლად და გასაგზავნად მომზადების წესების დარღვევების აღმოფხვრის შესახებ.

ინსპექციის აღნიშნული მიწერილობანი სავალდებულოა საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის (გარდა საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და საცალო სავაჭრო ქსელისა), მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად;

ე) გააუქმოს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების წონაში კლების უმართებულო ჩამოწერა, დაუსაბუთებელი გადახარისხება რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მიმღებ-დამამზადებელ პუნქტებში;

რ) შეიმუშაოს მასალები ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების შენახვისა და ტრანსპორტის დროს ბუნებრივი კლების ნორმების დასაწესებლად;

ს) კონტროლი გაუწიოს და მონაწილეობა მიიღოს იმ ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მიღებაში, რომლებიც რესპუბლიკის გარედან შემოდის.

3. ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორებს უფლება ენიჭებათ:

ა) დაუბრკოლებლივ დაათვალიერონ და გასინჯონ ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების დამზადების, შენახვის, გადამუშავების, გასაღებისა და გაგზავნის ყველა ადგილი;

ბ) ისარგებლოს საჭირო შემთხვევებში ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის დასადგენად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სისტემის, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების ყველა საწარმოსა და დაწესებულების ლაბორატორიებით;

გ) საჭირო შემთხვევებში მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტები დასკვნების მისაცემად ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის, შენახვის, გადამუშავებისა და გაგზავნის საკითხებზე.

ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორებს მიეცემათ სპეციალური მოწმობები.

4. ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია ინფორმაციას მიაწვდის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელობას, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შემოწმების დროს აღმოჩენილი იმ ნაკლოვანებებისა და ბოროტმოქმედებათა შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების მიღების, დაბინავების, შენახვისა და გაგზავნის დროს, აგრეთვე მათ წინაშე დააყენებს საკითხს, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირები, რომლებმაც დაუშვეს უყაირათობა, პროდუქტების გაფუჭება, ჩამბარებელთა ანგარიშში მოტყუება მათგან ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების მიღების დროს ცუდი ხარისხის პროდუქტების გაგზავნა.

5. ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორების მიერ პროდუქციის ხარისხის საკითხების გამო გამოტანილ გადაწყვეტილებებზე საჩივრები შეიტანება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის სახელზე აქტის მიღების დღიდან ორი დღე-ღამის განმავლობაში; სახელმწიფო ინსპექციის უფროსის გადაწყვეტილება საბოლოოა.

6. ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის წარდგენით.

ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი გამოსცემს ერთმმართველობის საფუძველზე ბრძანებებს, განახორციელებს ყველა უფლებას და ასრულებს ინსპექციაზე დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე ყოველგვარ მოვალეობას.

7. ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შენახვა ხდება იმ სპეციალური სახსრების ხარჯზე, რომლებსაც გადარიცხავენ ცეკავში-

რი, საქონსერვტრესტი, თბილხილბოსტანვაჭრობა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები იმ ოდენობით, რასაც ყოველწლიურად დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას აქვს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ბანკში თავისი ოპერაციების საწარმოებლად და იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე.

ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის ინსპექციის შენახვის ხარჯთაღრიცხვას ყოველწლიურად დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი. აღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესრულებას განახორციელებს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

9. ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

**СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА  
ГРУЗИНСКОЙ ССР**

№ 2 за 1964 год

---

**გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა**

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IX-64 წ. ქალაქის ზომა 60 X 90,  
ქალაქი 12.400, ნაბეჭდი თაბახი 9,25, სააღრიცხვო თაბახი 9,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2500

შეკვეთა № 915

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა  
თბილისი, რუსთაველის სახ. პრესპ. № 8.